K 3268
1a

ბ. ჩხეიძე

ქმარი

სახელგამი

Ზ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

9(47.92)

ბ. ჩხეიძე

3 9(47.92)
ჩ-96ბ.



ფარსულიდან

К 32608/10
2548/41
60447
Ш.Ш. 2019-29306

19 საახალწლამი 30
ფ ი ლ ი ს ი

სახელგამის მე-2 სტამბა
ლენინის ქუჩა, № 3
ტირაჟი 2000 შეკვეთა 104
მთავლიტი № 1255

I.

„გლეხის ბიჭი ვარ პატარა
მჭადითა გამოზრდილია“...

სწორედ ჩემზე უთქვამს პოეტს. მამაჩემი ივანე ნამდვილი გლეხი იყო, ლარიბი, ბოგანო. თავისი დღენი თავჩაღუნული მიწას ამუშავებდა, მაგრამ წვრილ ცოლ-შვილს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. სიღარიბეში დავიბადე და სიღარიბეში ვსცხოვრობდი. მამა უსწავლელი კაცი იყო და სრულებითაც არ ფიქრობდა ჩემს სწავლაზე, სამაგიეროდ დედა მწიგნობარი იყო და ძალიან უყვარდა კითხვა. „ვეფხის ტყაოსანი“ თითქმის ზეპირად იცოდა. მას გულით სურდა, ჩემთვის რამე ესწავლებინა და ნასწავლი კაცი გამოვსულიყავი, მაგრამ სიღარიბე ამის ნებას არ აძლევდა. დედა გამრჯელი ქალი იყო და მეც პატარაობიდანვე შემაჩვია შრომას. ხუთი წლისა უკვე ვშველოდი დედას. აკვანს ვარწევდი, პატარა სურებით წყალი მომქონდა და ბატ-იხვებს ვმწყევმსავდი. მეშვიდე წელში რომ გადავდექი, დედამ სწავლა დამაწყებინა. ის გულმოდგინედ მასწავლიდა. რადგან ერთადერთი ვაჟი მე ვყავდი, თავს მევლებოდა, ძალზე ვუყვარდი, მაგრამ როდესაც შემამჩნევდა, რომ სწავლაზე გულს ვიცრუებდი ან ეშმაკობას ვიწყებდი, ჩემს სიყვარულს განზე გადასდებდა და კაი კაის მომარტყამდა.

შვიდ ნახევარი წლისა რომ გავხდი მიმაბარეს სოფლის სამ განყოფილებიან სამინისტრო სკოლაში (მაშინ

ორი ტიპის სკოლა იყო სოფლად: სამინისტრო, ე. ი. განათლების სამინისტროს უწყების, და საეკლესიო-სამრევლო სკოლა) ამ სკოლის მასწავლებელი იყო ვინმე შენგელია (ეხლა მღვდელია), კაცი განუვითარებელი და ნამდვილი მაშინდელი „ჩინოვნიკი“. გვასწავლიდა ძველი მეთოდით. როგორც ყოველგან, აქაც ამ დროს გამეფებული იყო „ცემის მეთოდი“. მასწავლებელ შენგელიას კარაბადინში სწავლების ერთ მთავარ საშუალებად ცემა ეწერა, როცა გაკვეთილს კარგად ვერ ჩავაბარებდით ან ეშმაკობას შეგვამჩნევდა, გვცემდა ხელისგულზე ბრტყელ სახაზავს. როცა ამას შევეჩვიეთ, ხელის ზურგზე დაგვიწყო ცემა. ამ პროცედურას თავდაპირველად თვითონ ასრულებდა, ხოლო ბოლოს მოწაფეებსაც იშველიებდა და აცემინებდა ერთი მეორეს. ამ უკანასკნელმა საშუალებამ ცუდი შედეგი გამოიღო: მოწაფეები ურთიერთს გადაეკიდენ და უმოწყალოდ სცემდენ ერთმანეთს ჯავრის ამოსაყრელად.

აი ასეთ სკოლაში და ასეთი უხეში მასწავლებლის ხელმძღვანელობით დავიწყე სწავლა. სიღარიბის გამო არ მომეპოებოდა სასწავლო წიგნები და წვალებით გამქონდა თავი. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ შევუდგებოდი მუშაობას, ვშველოდი მამას, ვთოხნიდი, ვბარავდი, შეშას ვჭრიდი და სხვა. დედ-მამას გული სტკიოდათ, რომ ვმუშაობდი, მაგრამ მეტი ჩარა არა ჰქონდათ, სიღარიბე მუდამ თავში გვიკაკუნებდა და იძულებული ვიყავით ყველას გვემუშავნა.

ასე იყო თუ ისე, სამ განყოფილებიანი სასწავლებელი გავათავე 1887 წელს. მამა ჩემი ტრაბახობდა: „ჩემმა შვილმა კურსი გაათავა“-ო. დედაჩემი გრძნობდა და იცოდა, როგორიც იყო ეს „კურსი“ და რადგანაც იგი ძალიან მოწადინებული იყო, რომ სწავლა განმეგრძო, მი-

მართა ჩემს ნათლიას, ალექსანდრე ჩხეიძეს ფეოდალს (ძალიან მდიდარს) რომ დამხმარებოდა, ისიც შემპირდა, წამიყვანა ქუთაისში და მიმიყვანა ერთ ქართველ ფრანგთან, გვარად ჩარექოვთან. საღამოზე დაიწყეს საწოლების გადადგმა-გადმოდგმა. ვიფიქრე, ალბად ჩემთვის დასაძინებელ ალაგს ამზადებენ-მეთქი, მაგრამ ეს მომზადება თურმე ამ ფეოდალის შვილისთვის იყო. განსხვავება იმის შვილისა და ჩემს შორის „ძალიან ცოტა“ იყო. ის იყო დიდი თავადი ფეოდალის შვილი—გიორგი ჩხეიძე, მე კი უბრალო გლეხის—გიორგი ჩხეიძე. იმავე ღამეს თავი მიკრეს სამზარეულოში. იქ იდგა ერთი პატარა ტახტი, რომელზედაც ეძინა მათ მოსამსახურე ქალს. მე კი მიწის იატაკზე მომიხდა წოლა. აქ ჩემ სკოლად გადაიქცა სამზარეულოში საინების და ქვაბების რეცხვა-ხეხვა.

ასე გავიდა ორი თვე, რომლის განმავლობაში ჩემს სწავლაზე არავინ ფიქრობდა. ეს დედაჩემს გაეგო და გამოეგზავნა მამაჩემი, რომელმაც წამიყვანა სახლში. ამ დროს გარდაიცვალა ბიძაჩემი. ჩემმა ბიძაშვილმა მოინდომა მისი ქონების გაყიდვა (ამ ქონებას ერთი ეზო შეადგენდა). მამაჩემის და დედაჩემის აზრით, ბიძაჩემის ქონება რომ სხვას ეყიდნა, სირცხვილი იყო. რის მიზეზითაც აიღეს ვალი და იყიდეს ეს მიწა. ახლა ვალს გადახდა უნდოდა. საჭირო გახდა ხარების გაყიდვა, თუმცა ხარების გაყიდვა ოჯახის დაქცევას უდრიდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ხარების გაყიდვამაც არ უშველა. ვალი კიდევ დარჩა.

II.

გავიდა ხანი. მშობლებმა ჩემი თანდასწრებით გამართეს თათბირი და გულის ტკივილით გადასწყვიტეს ჩემი მოჯამაგირედ დაყენება. ეს იყო 1888 წელს. მალე გადა-

წყვეტილება მოიყვანეს სისრულეში და დამაყენეს მოჯამაგირედ სოფ. კუხში ერთ მდიდარ გლეხ-ვაჭართან, კაკაბაძესთან. ამ წლიდან დაიწყო ჩემი ოჯახს გარედ მუშაობა. ეს კაკაბაძე თუმცა მდიდარი იყო, მაგრამ მეტის-მეტად ძუნწი.

როცა სახლში ვიყავი, დედაჩემი სცდილობდა მჭადი და ლობიო მაინც საძღომად მქონოდა, აქ ეგეც მომნატრდა. მომცემდენ ერთ ნაჭერ მჭადს და ცოტა ლობიოს და ამით უნდა დავკმაყოფილებულიყავი.

კაკაბაძეს მოხუცებული მამა ჰყავდა, რომელიც წამიყვანდა ხოლმე სამუშაოდ, წამოიღებდა სკამს, დაბრძანდებოდა ზედ და მითვალყურებდა, რომ არ მეცულლუტნა. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მამუშავებდა: მათოხნიებდა, მაბარვინებდა, საყანე ალაგს მაწმენდინებდა და სხვადასხვა.

ერთხელ ავად გახდა და სახლში წავიდა „დასასვენებლად". ზაფხული იყო. პაპანაქება სიცხე იდგა. სიმინდის თოხნაში დავიღალე და წამოვწექი იქვე ხის ძირში. ბებერს ჩემი დარდით ვერ მოესვენა და გამოეგზავნა თავის პატარა შვილის-შვილი ჩემს დასათვალიერებლად ვმუშაობდი თუ არა. ბავშიც შოსულიყო, ბევრი ეძახნა, მაგრამ რას გამაგონებდა. ბავშის ძახილი კი არა, ზარბაზნები რომ დაეცალათ ჩემ ყურთან, მაინც ვერ გავიგებდი, ისე ვიყავ დაღლილ-დაქანცული. ბავშსაც სახლში ამბავი მიეტანა, რომ მე არხეინად მეძინა. ავადმყოფი ბებერი მოვიდა, გამაღვიძა და გამლანძღა: „არა გრცხვენია, ერთი წუთით მოგცილდი და შენ, მუშაობის მაგიერ, დაგიძინია"-ო. რას ვიზამდი, მეც შემრცხვა, ჩემის აზრით, ის მაშინ მართალი იყო და რომ ჩემი შეცდომა გამომესწორებინა, მაშინვე შევუდექი მუშაობას.

როგორც იყო, ამ ტანჯვაში შევასრულე ერთი წელიწადი. ავიღე ჩემი ერთი წლის ჯამაგირი 31 მანეთი და წავუღე მამაჩემს, რომელმაც ის ფული ვალში გადაიხადა. ამ დროს ვიყავი ცამეტი წლის.

III.

რადენიმე ხანი დავყავი სოფელში. ბევრი ფიქრისა და თათბირის შემდეგ დედმამამ გადასწყვიტა ჩემი ქუთაისში წაყვანა. ქუთაისში ვაჭრობდა ჩემი ბიძაშვილი. პატარა საწვრიმალო დუქანი ჰქონდა. წამიყვანა მასთან, რომელმაც თავის „ნოქრად“ ამიყვანა. თვითონ დაეხეტებოდა სადღაც კარტის სათამაშოდ და სალოთაოდ, მე კი მტოვებდა დუქანში. ერთხელ „ხაზეინის“ არყოფნის დროს გავყიდე 10 გირვანქა შაქარი. მე, „კურს“ დამთავრებულმა, ვიანგარიშე და გამოვართვი 80 კაპ. გირვანქა ღირდა სამ შაურად, როგორი ნაანგარიშევია, მკითხველი თვითონ მიხვდება. ამაზე ჩემმა ბიძაშვილმა „ხაზეინმა“ ერთი კარგი წამითაქა. ჩემი მასთან ყოფნა ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა. მივედი ერთ მასწავლებელთან სანებლიძესთან, იმ იმედით, რომ მას ვემსახურებოდი კიდეც და მასწავლიდა კიდეც, მაგრამ ჩემი იმედი ტყუილი გამოდგა. იმანაც შემაგდო სამზარეულოში და ჩამაბარა თეფშები, ქვაბები, დანა-ჩანგალი და სხვა სახეხად და სარეცხად. მის სახლში მუდამ იხვები და ქათმები მზადდებოდა. მართალი უნდა ითქვას—აქ საჭმელი ბევრი იყო, ხსნილში ჩემი საქმე კარგად იყო, მაგრამ მარხვა დღეებში სახსნილოს არ გიახლებოდით, რადგანაც ეს მომაკვდინებელ ცოდვად მიმაჩნდა. მოვიტანდი სამი კაპეიკის ლობიოს და ეს იყო ჩემი საზრდო. ამაში მასწავლებელი სანებლიძე არ იყო დამნაშავე. ყოველთვის მეუბნებოდა:

„სჭამე ხორცი, ეს ცოდვა არ არის, შენ ჩემზე მეტი ხომ არ იცი“. მაგრამ მე დედაჩემის დარიგება უფრო მრწამდა, ვიდრე მასწავლებელ სანებლიძის. დედაჩემი სულ იმას მიქადაგებდა: „შვილო მარხვა არა სჭამო, ღმერთს არ შესცოდო“-ო. ამას დაუმატეთ მღვდლის ქადაგება, რომელიც ყოველ ზიარების დროს ამასვე გვიჩიჩინებდა, და ზიარება ხომ აუცილებლად სავალდებულო იყო, როცა სკოლაში ვსწავლობდი. ჩვენი მასწავლებლისათვის ასე აუცილებელი, როგორც ზიარება, სწავლა რომ ყოფილიყო, რაღა გვიშავდა. მასწავლებლისათვის წელიწადში ორჯერ, მარიამობისთვეში და დიდ მარხვაში უეჭველად მოწმობა უნდა მიგვეტანა ზიარების შესახებ.

თუმცა ზიარების მისაღებად, ყველა მოვალეობას სინდისიერად ვასრულებდით, მაგრამ სანამ ჩვენგან მღვდელი ანდრია ლეჟავა პატარა ქრთამს არ აიღებდა, ისე მოწმობას არ მოგვცემდა. მე რა ქრთამის მიცემა შემეძლო. ამის საშუალება თვით მღვდელმა იპოვა ორი დღე მამუშავებდა ყანაში და მოწმობას მერე მომცემდა. ასე ვიყავი ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილი მაშინ და აბა ხორცს რა მაჭმევდა.

სწავლა ძალიან მწყუროდა. მასწავლებელ სანებლიძეს სახლში მოწაფეები ჰყავდა, რომლებსაც ასწავლიდა და ინახავდა კიდეც. ამისთვის რასაკვირველია, იღებდა შესაფერ სასყიდელს. ამ მოწაფეებს ვთხოვდი ხოლმე, რომ ჩემთვის ესწავლებინათ. არც ისინი მეუბნებოდენ უარს, მაგრამ მე ამისთვის დრო არა მრჩებოდა. სანებლიძეს რუსეთიდან ჩამოუვიდა სტუდენტი ძმა, რომელმაც პატარა წიგნაკი მომცა: „ჩხუბი ერთი კვერცხისათვი“-ს. ძალიან მომეწონა. რამდენჯერმე წავიკითხე და ზეპირად უთხარი მერე მომცა რუსული წიგნი: „Руское слово“ და მითხ-

რა: „ეს შეისწავლე რუსულად და რუსული გეცოდინებ-ბა“-ო. ამით გათავდა მისი პროპაგანდა ჩემზე. ახლა რომ ვფიქრობ, ის ალბად ახალი თაობის სტუდენტი იყო.

ამ მასწავლებელთანაც, როგორც ხედავთ, არაფერი არ გამოვიდა. ქვაბებისა და იატაკის წმენდის მეტი. ჩამოვიდა მამაჩემი, შემომისვა ცხენზე და წამიყვანა სახლში. ისევ გაიმართა ბჭობა, თუ რა უნდა ექმნათ ჩემთვის.

IV.

ამ დროს ტფილისიდან ჩვენ მეზობელ ბიბილეიშვილს ჩამოუვიდა მოყვარე მანჯგალაძე. სუფთათ იყო გამოწყობილი ჩოხა-ახალუხში (ეს იყო 1889 წელს) და საათიც ჰქონდა. ის მაშინ სოფელში დიდ განათლებულ კაცად ითვლებოდა, რადგან საათიანი იყო. დედაჩემმა მიმართა თხოვნით მანჯგალაძეს, წავეყვანე ტფილისში და როგორმე მთავარ სახელოსნოში დავეყენებინე. ისიც დასთანხმდა პატარა ხაჭაპურის შემდეგ.

ისესხეს ხუთი მანეთი ჩემ სამგზავროდ (თუმცა ბილეთი სამტრედიიდან ტფილისამდე ექვსი მანეთი ღირდა). ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა რკინის გზით. ვდგევარ სამტრედიის სადგურზე სალაროს წინ ფულით ხელში, ბილეთი უნდა ვიყიდო. მოვიდა ჩემთან ვიღაც კონდუქტორი (ბრჭყვიალა ღილებიანი პალტო ეცვა). მე რა ვიცოდი ვინ იყო, ვიღაც დიდი კაცი მეგონა. მკითხა სად მივდიოდი. უპასუხე. „ფული რამდენი გაქვს“-—კვლავ შემეკითხა. ამაზედაც მიიღო პასუხი. „სულ ერთია, მაგ ფულით ტფილისის ბილეთს ვერ იყიდი, დაჯექი უბილეთოთ, მე წაგიყვან“-ო, და რადგანაც ფულს წინდაწინვე მთხოვდა, მე ვერ ვენდე და ვუთხარი: „ჯერ წამიყვანე და მერე მოგცემ“-მეთქი. მოვრიგდით. დავჯექი. დაიძრა მა-

ტარებელი თუ არა, სთქვეს, კონტროლი მოდისო. შეიქნა ჩოჩქოლი. წამიყვანა ამ კონდუქტორმა და შემიყვანა სადღაც. ისე იყო ხალხით გაჭედილი ეს ადგილი, რომ ნემსი ალარ ჩაეტეოდა. ბოლოს აღმოჩნდა ფეხის ალაგი. ასე ჩავედი ტფილისში, ხან ამ ფეხისალაგში და ხან სკამქვეშაც შემაძვრენდა ხოლმე კონდუქტორი. მგზავრობაში გამოირკვა, რომ კონდუქტორს ჩემგან თურმე ერგებოდა სამი მანეთი. ეს უკვე ნიხრი ყოფილიყო დადებული. მერე გავიგე, უბილეთოებსა და კონდუქტორებს შორის ეს ჩვეულება ისე ყოფილიყო განმტკიცებული, თითქოს სადმე ამის შესახებ კანონი ყოფილიყოს გამოცემული. ერთ კაპეიკს ნაკლებს არ აიღებდა კონდუქტორი და არც ერთ გროშს მეტს არ მისცემდა უბილეთო მგზავრი.

როგორც იყო, ჩავედი ტფილისში. ახლა ალაგის შოვნა იყო საქმე. როგორ მივიდე, როგორ ვთხოვო. მანჯგალაძემ მხოლოდ ოთახში დამაყენა. სხვა არაფერი არ გაუკეთებია. როგორც გამოირკვა ის თურმე ჯიხაისში იყო დიდი კაცი, თორემ ტფილისში, რკინისგზაში ძალიან პატარა. მუშებმა მასწავლეს, როგორ უნდა მეთხოვნა ადგილი უფროსი ხელოსნისთვის, ოსტატისთვის. უბედურება ის იყო, რომ ყველგან უფროსები რუსები იყვენ და თხოვნა რუსულად იყო საჭირო. „კურს“ დამთავრებულს როგორი რუსული უნდა მეთქვა. მასწავლეს ასე: Господин мастер, дай мне место, я очень бедный человек“. ამ რუსულით შემოვიარე ყველა საამქრო და ყველა ოსტატები, მაგრამ ყველგან ერთი პასუხი მივიღე: „нет места“.

ასე ვიარე ორ თვეს. მითხრეს ერთი თუმანი რომ გქონდეს ადვილია ადგილის შოვნაო. ჩემთვის კი ეს შეუძლებელი იყო. გავახშირე სიარული სამხატვრო საამ-

ქრომში, რადგანაც იქაურმა ოსტატმა ქართული კარგათ იცოდა, თუმცა თვითონ რუსი იყო, გვარად გარბენკო. ორი თვის შემდეგ, როგორც იყო, მიმიღო სამუშაოთ. ჯერ გამომცადა: „პორუსკი ზნაეშ“? ვუპასუხე „მალენკი ზნაიუ“. კვლავ შემეკითხა: „ა ბალშოი ნე ზნაიშ“?-ო. იქ ერთი ორ-ღერძიანი ვაგონი იდგა. მკითხა; ეს რა ნომერიაო ეხლაც მახსოვს, ვუპასუხე—70. პატარა ნომერი იყო. გამგზავნეს ექიმთან. შემამოწმეს. ეს იყო 1889 წელს. „ხვალ სამუშაოთ გადიო“, მითხრეს. ამან ისეთი სიხარული გამოიწვია ჩემში, რომ იქვე ლეკური ჩამოუარე. ალბად ამან თუ იქონია „ოსტატზე“ გავლენა. დამინიშნეს დღეში შვიდი შაური. ეს ამბავი ყველას გაუკვირდა, რადგან ერთ აბაზზე მეტს არავის უნიშნავდენ,—პირველად მულებულს, იშვიათათ ექვს შაურს. მე კი ერთბაშად შვიდი შაური დამინიშნეს.

ვმუშაობდი რაც შეიძლება ერთგულად. სანახევროდ მშიერი ვიყავი. საკმაოდ რომ მეჭამა, შვიდი შაური მაინც არ იყო სამყოფი, მე კი ნახევარს უეჭველად ვინახავდი სახლში გასაგზავნად.

სააღდგომოდ წავედი სახლში და წავიღე ხუთმეტი მანეთი. როცა ამოვიღე ჯიბიდან, მამაჩემს ხუთ თუმნათ მოეჩვენა და როცა გაიგო, რომ მხოლოდ თხუთმეტი მანეთი იყო, ცოტა ეწყინა ეცოტავა. დედაჩემმა წამიყვანა იმ ჩემ კეთილის მყოფელ ნათლიასთან, რომელმაც ჩარექოვის სამზარეულოში დამაყენა სასწავლებლად. მახსოვს, შეეკითხა დედაჩემს ჩემზე, ჭკვიანად თუ იქცევაო. დედაჩემმა ჩემი ჭკუის გასაზომად, უპასუხა, რომ 15 მანეთი მომიტანაო. ფეოდალმა ნათლიამ ღიმილით უპასუხა: „თუ შვიდ-შაურიდან კიდევ მოგიტანა და შენ არ გთხოვს დახმარებას, მართლა ჭკვიანი ყოფილაო“. ამის შემდეგ და-

მერქვა ჭკვიანი კაცი. ეს სიჭკვიანე შემდეგში გამოიხატებოდა: ტფილისიდან სოფელში ჩასული ჩემი ამხანაგები, ჩემი ტოლები უსათუოდ შედიოდენ იქაურ დუქნებში და ქეიფობდენ ღვინით და არყით. მე კი რასაც გადავარჩენდი ტანისამოსს და საჭმელს, მიუტანდი მამაჩემს. მათი ქეიფობა და ჩემი დუქანში არ შესვლა აიხსნება იმით, რომ იმ ჩემ ტოლებს ამით სურდათ დაემტკიცებინათ დამოუკიდებელი ცხოვრება თავისი შრომით, რითაც ყოყოჩობდენ, ხოლო მეორე, და უმთავრესი ის იყო, რომ იმათი ოჯახი, შედარებით ჩვენ ოჯახთან მდიდარი იყო.

ხანდახან ჩემი ტოლები მეც დამიძახებდენ, მივსულიყავ მათთან დუქანში საქეიფოდ, რაც მეც გულით მსურდა, მაგრამ მეშინოდა, არ დამეკარგა „ჭკვიანი კაცის“ სახელი. დედაჩემი სულ იმას ჩამჩიჩინებდა: „განათლებული კაცი დუქანში სალოთაოდ თავის დღეში არ შევაო, განათლებული კაცები კითხულობენ წიგნებს და გაზეთებს“-ო. ეს დედაჩემმა პატარაობითვე ჩაბმინერგა და მეც ვასრულებდი ამას ფანატიკურად. დედაჩემი ძალიან მიყვარდა, პატივს ვსცემდი და ამისათვის მის სიტყვას არ გავტეხდი. ამით აიხსნება ჩემი მარხვის არ გატეხვა. მეც ისე ვიქცეოდი დიდხანს, როგორც მოსწონდა დედაჩემს. ერთმა შემთხვევამ გამომიყვანა დედაჩემის ზეგავლენიდან. მაგრამ ამაზე ქვემოდ.

სამხატვრო საამქროში ვიმუშავე 1892 წლამდე—ხოლერიანობამდის. ხოლერა ძალიან მოდებული იყო ამ წელს. ვთქვათ ელაპარაკებოდით ვინმეს, ძალღონით სავსე ადამიანს, რომელსაც ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა; რამდენიმე ხნის შემდეგ იტყოდენ, რომ ეს კაცი გარდაიცვალა ხოლერისაგანო. ასეთი შემთხვევა ბევრი იყო.

სახელოსნოში იყვენ „ბრიგადირები“, დარგების ხელ-

მძღვანელები, რომელთაც შეგირდები ებარათ. ეს ბრიგადირები ისე აგინებდენ თავიანთ ქვეშევრდომ მუშებს დედას, თითქოს ეს გინება მუშაობის ნაწილი ყოფილიყოს. ამას მე როგორღაც ვერ მიბედავდენ, ალბად იმიტომ, რომ ყოველ მათ ბრძანებას უსიტყვოდ ვასრულებდი. მაგრამ ერთი ბრძანება აღარ შევასრულე:—ერთხელ „ბრიგადირმა“ არაყი მთხოვა, მე უარი ვუთხარი: ამის შემდეგ ჩამასო კბილი და ყოველ მოხერხებულ დროს „შემიკუთთხებდა“ ხოლმე. ვუთხარი: „ნუ მაგინებ, თორემ ვერ მოგითმენ“-მეთქი. ამაზედაც რამდენიმე სართულიანი გინებით მიპასუხა. მეც ავიღე და „მივაფეთქე“ სახეში. წაიქცა. იქაც ერთი წიხლი მივაყოლე. წამოდგა, გაიქცა და მიჩივლა უფროს ხელოსანთან. დამიძახა ხელოსანმა, ერთი იმანაც შემიკურთხა და მითხრა: „წადი ეხლავე „რასჩოტი“ აიღე, დღეს მაგასა სცემე, ხვალ მე დამიწყებ ცემასო“. ასე გამომაგდეს სახელოსნოდან დავბრუნდი სოფელში. დედაჩემს ძალიან გაუხარდა. „კარგი გიქნია, რადგან ხოლერა მუსრს ავლებს ქალაქში ყველას“-ო. მას ძალიან შეშინებოდა— შვილი ხოლერამ არ მომიკლასო.

V.

სოფელში დიდხანს ვერ გავძელი. ჩამოვედი ისევ ტფილისში. რკინის გზაზე არ მიმიღეს, როგორც „ბუნტოვჩიკი“. მივედი თავად ჩხეიძესთან, რომელსაც ალექსინდროვის ბაღის პირდაპირ სასტუმრო ჰქონდა. ეს იყო 1893 წლის დასაწყისში. იმანაც სამზარეულოში მიკრა თავი. მზარეულობა და ლაქიობა მეჯავრებოდა, ლაქიობა იმიტომ, რომ ყველასათვის „ბატონო“ უნდა მეძახა, მზარეულობა იმიტომ, რომ მას ყოველთვის ქვაბებთან და ქოთნებთან აქვს საქმე. ჯერ რკინის გზაზე დადგომამდის

ვერ შეურიგდი ამ ხელობას და ახლა მით უმეტეს, როცა სახელოსნოში ნამუშევარი ვიყავი და ხელობაც ვიცოდი. ისევ დავიწყე სახელოსნოში სიარული და ადგილის ძებნა. ახლა სამხატვრო საამქროში აღარ მივდიოდი, რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემი იქ დადგომა აღარ შეიძლებოდა. მივმართე ვაგონების საამქროში „ოსტატს“ (გერმანელი იყო), რომელმაც დანახვისთანავე მიცნო და დამიყვირა: „დაიკარგე აქედან“-ო.

ამის შემდეგ დავიწყე დეპოში სამუშაოს თხოვნა, რადგანაც ეს მთავარ სახელოსნოსთან განცალკევეაული იყო, ვთხოულობდი მხატვრის თანაშემწეობას. უფროსმა მითხრა „ადგილი არ არის, თუ გინდა შავ მუშად დადექი“-ო. მეც კბილის სინჯვა არ დამიწყია და მაშინვე მივიღე ეს წინადადება. შავი მუშის ჯამაგირი მაშინ გადაწყვეტილი იყო 60 კაპ. მე, როგორც მცირე წლოვანს, დამინიშნეს 55 კაპ. ამითაც კმაყოფილი დავრჩი, რადგანაც ლაქიობას ვშორდებოდი. როცა სასტუმროს პატრონს გამოვეთხოვე, მან დამიწყო: „სად მიდიხარ, ლაქიობაზე კარგი ხელობა არ არის, ამით გამდიდრება შეიძლება, მე რომ თავადიშვილი არ ვიყო, მე თვითონ ლაქიად დავდგებოდი“-ო ვუპასუხე: „გამდიდრების წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მაგრამ ლაქიობით გამდიდრება არ მინდა“-მეთქი. ამით გავშორდით.

დავიწყე ტფილისის დეპოში მუშაობა შავ მუშად. საზოგადოდ მუშები ცხოვრობდენ ნაძალადევში და დიდუბეში. ნაძალადევში მაშინ ორი სამი სახლი თუ იქნებოდა, დანარჩენი მინდორი იყო. ამ მინდორზე, რადგანაც სხვა გასართობი არ იყო და გართობა ადამიანისათვის კი ისეა საჭირო, როგორც პური, იმართებოდა ცეკვა, თამაში, სიმღერა, ჭიდაობა, ბურთის თამაში. ეს იყო

საშუალება ფიზიკური განვითარებისთვის, თუმცა ამისთვის საკმარისი იყო მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ჩვეულებრივ 10—12 საათს და 16-საც. გონების განსავითარებლად არაფერი იყო და არც არავინ ფიქრობდა ამაზე. წიგნების და გაზეთების ხსენებაც კი არ ყოფილა. თუ სადმე ვინმესთან იპოვნიდით წიგნს, ეს იქნებოდა აუცილებლად ზღაპარი „ყარამნიანი“ და ესეც ძალიან იშვიათად. მეც „ყარამნიანს“ ვკითხულობდი. გროვდებოდენ მუშები და მისმენდენ. წავიკითხე ათი თუ თორმეტი კარი. ძალიან მოსწონდათ ის ადგილები, სადაც გარდანქეშანი და ყარამანი მთას-მთას შემოჰკრავდენ და ამ დროს დედამიწას ზანზარი გაჰქონდა. თამაშობა და „ყარამნიანი“ იყო ჩვენი მთელი ჭკუის და ტვინის საზრდო. ეს იყო ჩვენთვის თეატრიც, კლუბიც, ლექციაც, სწავლა-განათლებაც და ყველაფერი.

VI.

ამ დროს, ერთმა კაცმა, ვანიჩკა მალაქოვმა „კეთილი უყო მუშებს“. „გააბედნიერა ისინი“ და გააღო ტრაქტირი. დადგა შიგ ბილიარდი, გააჩალა ბანქოს თამაში და შეიტანა „განათლება“ მუშებში. ამ „განათლებამ“ ცოტათი მეც გამიტაცა. მუშაობის შემდეგ შევუდგებოდი ბილიარდის თამაშს. მერე ბანქოსაც შევეჩვიე. აქ უკვე ამავიწყდა დედაჩემის დარიგება. ზოგიერთი უფრო ხნიერი მუშა გვარიგებდა: „ნუ თამაშობთ, კარგი არ არის“-ო, მაგრამ ვინ უჯერებდა. ერთმა მჭედელმა გვარად რატიანმა, ამ დარიგებაზე ხუმრობით უპასუხა: „სახლიდან, რაჭიდან, შემომითვალეს, რომ უეჭველად ბილიარდის და ბანქოს თამაში ისწავლეო და მეც ამიტომ ვცდილობ“-ო. ხნიერი მუშების დარიგებამ ჩემზე ვერ იმოქმედა, მაგრამ

ნივთიერმა პირობებმა კი მოახდინეს გავლენა. ჯამაგირს რომ მივიღებდი, გავეშურებოდი ტრაქტირში, სადაც წავაგებდი და თუ მოვიგებდი, სულ ერთია, ისიც წაგებული იყო; რადგან მოგროვდებოდენ „ძმა ბიჭები“ და აბა მოგებული ხარ და დახარჯეო. თამაშობის ეთიკაც ამას მოითხოვდა უნდა დაგეხარჯა. მეც კეთილსინდისიერათ ვასრულებდი ამ ეთიკას. ამ ეთიკამ იქამდე მიმიყვანა, რომ არც ტანისამოსი მქონდა, არც ფეხსაცმელი, დედამამა სულ დამავიწყდა.

ამ „ბედნიერებამ თითქმის ერთ წელიწადს გასტანა. მუშაობაზედაც იშვიათათ ვცხადდებოდი და თუ არ მაგდებდენ ადგილიდან, ეს იმით აიხსნება, რომ ჩემი ბრიგადირი, ვერტაუზოვი, ცოტა მშიშარა იყო, რომელსაც გაგებული ჰქონდა, მე რომ სამხატვრო საამქროს ბრიგადირს ვცემე. მეც ვსარგებლობდი ამით და ვეუბნებოდი: „თუ რაიმე ცუდი გითქვამს ჩემზე „გცემ“-მეთქი. ისიც მიპასუხებდა: „შენთვის არ არის კარგი, თორემ მე არაფერს არ ვიტყვი“-ო.

როგორც ზემოთა ვსთქვი, ამგვარმა ჩემმა ცხოვრებამ გასტანა ერთ წელიწადს. ბოლოს დავინახე, რომ ჩემი „ჭკვიანი კაცობა“ გაბათილდა. დავფიქრდი და გადავწყვიტე, თავი დამენებებინა ასეთ უმსგავსო ცხოვრებისათვის. თუმცა თავის დანებება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ბოლოს საკუთარ „მე“-სთან დიდი ბრძოლის შემდეგ გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე.

VII.

დეპოში სამკითხველო იყო, რომელსაც განაგებდა ერთი ქისტი, დოლგიევი, მეტად პატიოსანი კაცი და მასთან განვითარებულიც, მაგრამ საუბედუროდ, ქართული

ენა არ იცოდა. ჩავეწერე სამკითხველოში 1894 წლის დასაწყისში. როდესაც წიგნი ვთხოვე გამგეს, იგი შემეკითხა, თუ რა წიგნები მქონდა წაკითხული. „ყარამნიანი“-მეთქი, ვუპასუხე. პირველად მომცა „ელგუჯა“ ყაზბეგის თხზულებიდან, რამაც ძალიან დამაინტერესა. რამდენიმე ღამეში წავიკითხე. შემდეგ მთელი ყაზბეგის თხზულება წამაკითხა. ყაზბეგის შემდეგ მომცა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“... და სხვა. ასე დავეწაფე ქართულ ლიტერატურას და ვკითხულობდი გულმოდგინეთ. ჩემ ბრიგადირს უკვირდა, რომ მუშაობას ისევ ერთგულად მოვკიდე ხელი და განცვიფრებული შემეკითხა: „რაშია საქმე, რა მოგვიდა“-ო. —„წიგნებს ვკითხულობ, ბილიარდსა და ბანქოს თავი დავანებე“-მეთქი. მანაც მირჩია, ასევე მოვქცეულიყავ შემდეგში და განმეგრძო წიგნების კითხვა.

გავიცანი დეპოშივე მომუშავე მჭედელი მიხა ბოჭორიძე და არაქელა ოქუაშვილი. ისინი მაშინ ცოტათი პოეტობდენ და ბევრს ქეიფობდენ. მიხა ქალაქში გამოჩენილი “დამრტყმელი“, მოკრივე იყო, და სულ იმაზე ლაპარაკობდენ. ახლა შეიძლება ახალგაზრდებს გაუკვირდეთ: „კრივი რა სალაპარაკო იყო“-ო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, კრივზე ლაპარაკი მუშებში ისე იყო გახშირებული მაშინ როგორც ახლა მარქსზე და ლენინზე. ქალაქში იყო ოთხი ძმა აფარდიაშვილები, რომელთა დამმარცხებელი კრივში არავინ იყო. მიხამ კი ამ ოთხსავე ძმას ერთად სცემა, ე. ი. დაამარცხა კრივში, და აბა წარმოიდგინეთ, რა სახელი ექნებოდა გავარდნილი. ყველა მოწიწებით ექცეოდა და მეც თავი მომწონდა, რომ ამნაირი განთქმული კაცი ჩემი მეგობარი იყო.

მიხა არსად სკოლაში ნამყოფი არ იყო. ქართული

წერა-კითხვა მას თვით შეესწავლა, ისე რომ წიგნების კითხვა შეეძლო. მოვკიდეთ ერთად სწავლას და კითხვას ხელი. მიხამ ანგარიში ოთხი მოქმედება არ იცოდა. მოინდომა შესწავლა. სამუშაოზე გარნოს ახლო იარაღის დიდი ყუთი ჰქონდა, ამ ყუთის სახურავს გადაკრული ჰქონდა „ჟესტი“, და რადგანაც ცარციც ბევრი იყო, დავიწყე მასთან ანგარიშში მეცადინეობა, ვასწავლიდი ოთხ მოქმედებას. დიდად ნიჭიერი კაცი იყო. ამ ვაჟკაცმა რომელმაც ოთხი მოქმედება არ იცოდა, ბოლოს მშვენივრად შეისწავლა მათემატიკა და მერე მე მასწავლიდა. უვიცი მჭედელი შემდეგში შესანიშნავი ბუხჰალტერი გამოვიდა, აგრეთვე კარგი შეგნებული რევოლუციონერი და სოციალისტი.

VIII.

მასწავლებელი არავინ მყავდა. ჩემი მასწავლებელი მარტო წიგნი იყო. სხვათა შორის, წავიკითხე აგრეთვე თარგმანი „ცეცხლითა და მახვილით“. თითქმის ყველა ჩემ მიერ წაკითხული წიგნი პატრიოტულ-ნაციონალისტური შინაარსისა იყო. საზოგადოებაც, თუ კი მაშინ ჩემთვის იყო რაიმე საზოგადოება, ნაციონალისტურათ იყო განწყობილი. მეც ვფიქრობდი სამშობლოს განთავისუფლებაზე. ეს სამშობლოს განთავისუფლება გამოიხატებოდა იმაში, რომ თავიდან მოგვეშორებინა როგორმე რუსეთის სულთამხუთავი ჩინოვნიკები. მე მაშინ ყოველი რუსი ჩვენი მტერი მეგონა, რადგანაც სოციალისტური მუშური მოძრაობისა არაფერი გამეგებოდა. ოთახში ვცხოვრობდით მე და დათიკო დვალი. სახარატო საამქროში მუშაობდა და ისიც იმას ცდილობდა, როგორმე ილია ჭავჭავაძე გაგვემეფებია საქართველოში. ასეთი უკულმართობისაკენ იყო მიქცეული ჩვენი ყურადღება.

1896 წლის დასაწყისში ერთ საღამოს, დათიკო დვალმა მითხრა: „წრე სდგება, შვიდ კაცამდე შედის შიგ და შენც წამოდი-“ ო. მე, რასაკვირველია, სიხარულით დავეთანხმე და ვუთხარი, რომ მიხა ბოჭორიძეც წავიყვანოთ-მეთქი. მე წრიდან სამშობლოს განთავისუფლებას მოველოდი. „აქ შევიკრიბებით, მოვემზადებით, გავრეკთ რუსებს და გავამეფებთ ქართველს“-მეთქი ვფიქრობდი. პირველ წრეში სულ მუშები შედიოდენ, შვიდი კაცი: მიხა ბოჭორიძე, გ. ჩხეიძე, ვანო სტურუა, დათიკო დვალი, დათიკო როსტომაშვილი, ალექსანდრე კარიანი და ილიკო კოპალეიშვილი. მოვიდა ჩვენთან ვასო ცაბაძე. როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც ვასომ გვითხრა, რომ მუშა, ვინც უნდა იყოს ის რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ებრაელი ყველას საერთო ინტერესები აქვთ, ყველანი ერთად უნდა შეერთდენ და იბრძოლონ მტრის წინააღმდეგ, ეს მტერი არის ყველა მდიდარი, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ეს იყო პირველი ჩვენი საუბარი. მეტიც არ გვინდოდა. ამ დღიდან გადავსწყვიტეთ, გვემუშავნა ყველა მუშების შესაერთებლად და გვებრძოლა. ამ ერთ საღამოს შემდეგ ჩვენი პატრიოტობა გაჰქრა.

აქედან დაიწყო ჩემი სოციალისტურ-პოლიტიკურ-რევოლიუციონური მოღვაწეობა.

IX.

ამ გვარად შესდგა წრეები, სადაც გვამზადებდენ, რომ ჩვენ შემდეგში თვითონ მოგვემზადებინა მუშები. ჩვენც ჩქარა გამოვედით მასწავლებლის როლში. როცა მუშების ახალ წრეს შევადგენდით, ჩვენ თვითონ ვმეცადინეობდით, ვუკითხავდით იმავე წიგნებს, რომლებიც

ჩვენც წაგვიკითხეს: „8 საათის სამუშაო დღე“-ს, „ვინ რითი სცხოვრობს“, დიკშტეინისა, „პოლიტიკურ ეკონომიას“ ბოგდანოვისა და სხ.

1897 წ. ჩვენი წრიდან თითქმის ყველანი დავდიოდით სხვა წრეებში და ვამზადებდით მუშებს, თუმცაღა ჩვენ თითონ ვერ ვიყავით საკმაოდ მომზადებულნი. ვუხსნიდით მათ, თუ ვინ იყო მუშების მტრები და როგორ უნდა გვებრძოლა მათ წინააღმდეგ, როცა საუბარი პრაქტიკულ საკითხს შეეხებოდა, მუშები გულდასმით გვისმენდენ, მაგრამ, სხვისი რა მოგახსენოთ და ჩემი ცოდნა კი ჩქარა იწურებოდა და დავიწყებდი ხოლმე პოლიტიკური ეკონომიის კითხვას ბოგდანოვიდან. როცა რთულ საკითხებზე დავიწყებდი მსჯელობას, მუშებს ძილი მოსდიოდათ და ეს არც გასაკვირვალი იყო, რადგანაც მეც ცოტა გამეგებოდა პოლიტიკური ეკონომიისა.

იმ დროს ჩემთვის ვკითხულობდი ასტრონომიას, მეტ წილად ფლამარიონს, რადგან პოლიტიკურ ეკონომიაზე უფრო კარგად ეს გამეგებოდა. როდესაც დავიწყებდი მუშებს საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ ბრუნავს დედამიწა, ავუხსნიდი მზეს, ვარსკვლავებს, წვიმას, ქარს და სხ. მუშებს ძალიან მოსწონდათ. მთელი ღამე რომ მესაუბრნა ამ თემაზე, მუშები დაუღალავად და გულმოდგინეთ ისმენდენ.

მაგრამ, საუბედუროდ, მაშინ კი არა, ახლაც ცოტა გამეგება ამ დარგში. რუსული ენა ხომ ნაკლებად ვიცოდით ჩვენ ყველამ. ყველაზე კარგად რუსული ვანო სტურუამ იცოდა, რადგანაც მას კულაშის ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული. ჩვენ წრეში დადიოდა და რუსულ გრამატიკას გვასწავლიდა მაშინ სტუდენტი, ახლა ვექილი ვანო ზედგინიძე. მე პირველად მისგან

გავიგე, რომ რუსულ ენაზე სქესები არსებობენ. ამ დრომდე სულ ერთი იყო: Один лампа და არა одна, один лйцо და არა одно. სქესის გარჩევა პირველად დიდათ გამიჭირდა, მაგრამ მასწავლებელი მაიმედებდა: „ჩქარა გაიგებ, ნუ გეშინიან“-ო, და მართლაც, თუ რამე ვიცი რუსული გრამატიკის, ვანო ზედგინიძის წყალობით, არა თუ მე, ბევრმა სხვა მუშებმაც.

ზედგინიძე ჩვენთან დიდხანს არ დარჩენილა, რადგანაც ტომსკის უნივერსიტეტში წავიდა სწავლის დასამთავრებლად. მანვე წაგვიკითხა პირველად დიკშტეინის წიგნი, მაგრამ გამაფრთხილა, არავისთვის გვეთქვა ეს ამბავი, რადგანაც მისთვის ჩვენთან პოლიტიკაზე ლაპარაკი ვასო ცაბაძეს და სხვებს აეკრძალათ—დღესაც არ ვიცი რისთვის.

ასე ვსწავლობდით ჩვენ როგორც გრამატიკას, ისე სხვა საგნებსაც, მაგალითად, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას და სხ. ექიმი ალექსანლრე შატილოვი გვიკითხავდა და გვიხსნიდა დარვინიზმს. პოლიტიკურ ეკონომიას ჯერ ვასო ცაბაძე გვასწავლიდა, შემდეგ—სილიბისტრო ჯიბლაძე. საზოგადოდ, ინტელიგენტური ძალები ცოტანი გვყვანდენ, მაგრამ ჩქარა მოგვემატენ, როგორც მაგ. ახალგაზრდა ინტელიგენტი ბარონ ბიბინეიშვილი, რომელმაც დაიწყო წრეებში მუშაობა, ეწეოდა პროპაგანდას მუშებში როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ თემაზე, ისე საზოგადოდ.

ჩვენი ასეთი მეცადინეობა სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ ერთი პირობები ხელს არ გვიწყობდა და მერე უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ სილ. ჯიბლაძემ გამოგვიცხადა: „რად გინდათ მეტი სწავლა, თქვენ ახლა იცით თქვენი ინტერესები. იცით, ვინ არის თქვენი

მტერი და მოყვარე. ახლა გეყოფათ. მუშებისთვის მეტი არ არის საჭირო. ახლა თქვენ თითონ ასწავლეთ სხვებსა“-ო. მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი სწავლას. ჩემს მასწავლებელს გიორგი კუპრაშვილს, რომელიც თვითონ სწავლობდა, ვაძლევდი თვეში თუმანს, და ასე გადაწყვეტილი მქონდა სწავლის გაგრძელება. მაგრამ იძულებული გავხდი შემეწყვიტა მეცადინეობა: მასწავლებლისთვის თვეში თუმნის მიცემა იმ დროს, როცა მე თითონ სამ თუმანს ვიღებდი, ვერ შევძელი. ოჯახი, ცოლშვილი მყავდა შესანახი. ამას გარდა, უკვე რამდენჯერმე მიმაბრძანეს ჟანდარმთა სამმართველოში.

ჩვენი სწავლა შესწყდა 1900 წლის დასაწყისში. აღარ გვეცალა ამისთვის, რადგან წრეები გაიზარდა. გაფართოვდა და ხელმძღვანელები, ე. ი. ინტელიგენტური ძალები კი ცოტა იყო, ამის გამო ზოგჯერ საღამოობით სამ წრეში გვიხდებოდა თითოეულ ჩვენგანს სიარული. ქართველ მუშებში, როგორც იყო, ვახერხებდით მუშაობას და ვაკმაყოფილებდით მათ ასე თუ ისე, მაგრამ საჭირო იყო სომეხი და რუსი ხელმძღვანელები. შესაძლებელი იყო როგორც სომეხ, ისე რუს მუშათა წრის შედგენა. მაგრამ ვის უნდა ემაცადინა? ჩვენთან მაშინ ერთადერთი შეგნებული რუსი მუშა იყო ალილუევი, რომელსაც წრეებში მეცადინეობა შეეძლო. ამასაც არც დღე, არც ღამე მოსვენება არა ჰქონდა. რომელიმე ჩვენგანს კიდევაც რომ შესძლებოდა რუსულად ან სომხურად მეცადინეობა, მაშინ მაინც მოუხერხებელი იყო, რადგან მაშინ მუშებში ეროვნულ ნიადაგზე უნდობლობა არსებობდა, ასე რომ რუსული წრისათვის აუცილებლად რუსი ხელმძღვანელი იყო საჭირო, სომხურისთვის—სომეხი. თათრული წრის

შესახებ კითხვა არ დამდგარა, რადგან მუსულმანი მუშები რკინის გზის სახელოსნოში არ ყოფილან.

ქართველი და სომეხი მუშების შეკრება და მათთან მუშაობა ადვილი საქმე იყო, რაც, ჩემის აზრით, იმით აიხსნება, რომ ისინი იმ დროს ჩაგრული ერის შვილები იყვენ. რუსებთან საქმის დაჭერა სიფრთხილით გვიხდებოდა, რაც 1900 წლის შემდეგ უფრო ძნელი გახდა, რადგანაც როცა ატუსაღებდენ რუს მუშებს, ჟანდარმები მათ ეუბნებოდენ: „თქვენ რაღა გინდათ, თქვენ თქვენი მეფე იმპერატორი გყავთ. ქართველები თუ იბრძვიან—ეს თქვენ წინააღმდეგ იბრძვიან, თავიანთი მეფე უნდათ“-ო. ასეთი პროვაკაცია დიდად გვიშლიდა ხელს. მუშებში, საზოგადოდ, ძალიან ცოტა იყო შეგნება და ჟანდარმების ანკესზე ბევრი ეგებოდა, დაბრკოლება ბევრი გველობებოდა, მაგრამ რევოლიუციონურ მუშაობას მაინც შეუპოვრად ვაწარმოებდით.

X.

1900 წელს დეპოს სავაგონო პარკში ზეინკლის თამაშემწედ დადგა ვინმე მონტინი. ის იყო მაშინ 16—17 წლისა, მეტად ჭკვიანი ყმაწვილი. მომეწონა. მივეცი წასაკითხად ერთი პატარა ბროშურა. ერთი საათის შემდეგ დამიბრუნა: წავიკითხეო. მე არ დავუჯერე: ასე ჩქარა ვერ წაიკითხავდი მეთქი. მაგრამ მან ზეპირად მიამბო წიგნაკის შინაარსი. ამის შემდეგ თითქმის ყოველ დღე ვაძლევდი მას ხან წიგნებს, ხან გაზეთებს. ისიც გულმოდგინეთ კითხულობდა. შემდეგ ის გავაცანი სხვა ამხანაგებს: მიხა ბოჭორიძეს, არაქელას, ზაქროს და სხვებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმავე 1900 წელს, შევადგინე დეპოში და ვაგონის პარკში წრე რუსი მუშებისაგან, რომელშიაც

მონტინიც შედიოდა. ამ წრეში თითონ მე შევდიოდი და რაც კი ვიცოდი, სამი საღამოს განმავლობაში, ავად იყო თუ კარგად, ყველაფერი გადავეცი. მეტი გზა აღარ იყო, წრე ჩავაბარე ამხ. მონტინს. ვაძლევდი მას წიგნებს, რომლებსაც ის წრეში კითხულობდა, მონტინი ცოტა ხანში საუკეთესო ამხანაგი შეიქნა, მაგრამ, როგორც მთავრობისათვის მეტად საშიშ კაცს, ადრე მოუღეს ბოლო ბაქოში ხულიგნებმა.

ახალგაზრდებში გამონაკლისს შეადგენდენ მონტინი და სილოვან ივანიაძე. სილოვანი იყო დიდი ჯიხაიშიდან, ღარიბი გლეხის შვილი. იგი დღეს თითქმის მივიწყებულია. სილოვან მეტად ცოცხალი და ჭკვიანი ბავში იყო; როგორც სოფელში, ისე ტფილისშიც ის ჩემს ხელში გაიზარდა. მე წამოვიყვანე ტფილისში თორმეტი წლისა და სცხოვრობდა ჩვენთან სწორედ იმ ოთახში, საცა ჩვენი წრეების კრებები იმართებოდა. ეს იყო 1897 წ. იმას არაფერს არ ვუმალავდით; თუ სადმე საიდუმლო საქმე იყო გასაკეთებელი, მას ვგზავნიდით. ფურცლების, წიგნების და ყველა არალეგალურ გამოცემებს მას ვავრცელებინებდით და ვანახვინებდით. ისიც ყველა ამას დიდის სიფრთხილით და სისწრაფით აკეთებდა.

სილოვან ივანიაძე დავაყენეთ ტელეგრაფის სახელოსნოში. იქ დიდი უნარი გამოიჩინა, როგორც ხელობის შესწავლაში, ისე პოლიტიკაში. შესანიშნავი რევოლიუციონერი შეიქმნა. სახელოსნოდან დაითხოვეს, როგორც გაფიცვის მომწყობი. ამის შემდეგ წავიდა ბათომში და იქ დაიწყო მუშაობა როტშილდის ქარხანაში, სადაც განაგრძობდა რევოლიუციონურ მუშაობას; ყველა გამოსვლებში, გაფიცვაში, ტერროისტულ აქტში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და პირველობა მუდამ მას

ჰქონდა. ერთხელ ბათომში ტერორისტული აქტის დროს, ვისზე კარგად აღარ მახსოვს, სასიკვდილოთ დასჭრეს. ყაზახებმა ჰკრეს წიხლი და რომ ნახეს მკვდარი იყო, მიანებეს თავი, თან დააყოლეს: „Собака, уже здохла“. ამხანაგებმა ის გაიტაცეს, მოაბრუნეს, მოარჩინეს და ექვსი თვის წოლის შემდეგ იგი კვლავ შეუდგა თავის საყვარელ რევოლიუციონურ მუშაობას. გაიგეს მტარვალებმა, რომ სიკვდილს გადარჩა და მაძებარი ძალლივით დაეძებდენ. მაგრამ თავს ფრთხილად ინახავდა და განაგრძობდა დაუღალავ მუშაობას. შემდეგ პარტიულმა კომიტეტმა, სხვა ამხანაგებთან ერთად, სილოვანი გაგზავნა სპარსეთში რევოლიუციონური მუშაობისათვის. სპარსეთში იგი ბრძოლის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. სპარსეთის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ სილოვანი დაუბრუნდა თავის ბათომს. ბათომში ჯაშუშების წყალობით დაიჭირეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რომელიც შეუცვალეს 15 წლის კატორღით. გაგზავნეს სარატოვის ციხეში, სადაც არაქელასთან ერთად იმყოფებოდა. სარატოვის ციხეში, არაქელას გადმოცემით, ციხის ადმინისტრაციას საქმე გაუჭირა. როგორც ადმინისტრაციას, ისე გარყვნილ ტუსაღებს სილოვანი ებრძოდა და გასაკვირი არ არის, თუ მას ორივე ბანაკში ბევრი მტერი ჰყავდა. ერთ ღამეს ძილის დროს ადმინისტრაციის მიერ მოსყიდულმა დანა ჩასცა მუცელში და მოჰკლა. ძილის დროს იმიტომ, რომ სიფხიზლეში ყველას ეშინოდა მისი.

ეხლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენ პარტიულ მუშაობას.

1898 წელს მინსკში მომხდარ სოციალ-დემოკრატიულ ყრილობამდე ერთი ცენტრი არა გვქონია. ცენტრალური კომიტეტიც ჩვენ ვიყავით, ადგილობრივიც, საოლქოც, პროპაგანდისტიც, აგიტატორიც, ორგანიზატორიც, ფურ-

ცლების გამავრცელებელიც, გაფიცვების და ტეროორის მომწყობიც, ერთი სიტყვით, ყველაფერი.

1899 წლის დასაწყისში შესდგა ტფილისის კომიტეტი. ახლა ეს კომიტეტი იყო ყველაფერი. ეს კომიტეტი არ ყოფილა არჩეული. შეიკრიბა რამდენიმე ამხანაგი და გამოაცხადა თავი კომიტეტად და ხელმძღვანელად.

XI.

პირველი მაისობა, ეს საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაული, ტფილისში პირველად გადავიხადეთ 1898 წელს, მეორედ 1899 წელს და მესამედ—1900 წელს. ამ დღესასწაულების დაწვრილებით აღწერას აქ არ შევუდგები, რადგანაც ეს უკვე მაქვს აწერილი „რევოლიუციის მატიანეს“ პირველ წიგნში. როდესაც პირველ მაისობისთვის ვემზადებოდი 1901 წელს, რომელიც გადაწყვეტილი იყო მოგვეწყო 18 აპრილს და ამით ევროპის პროლეტარიატთან ერთად გამოვსულიყავით ჩვენც, ჟანდარმერიამ უკვე სუნით გაიგო და რამდენიმე კაცი დაატუსაღა 16 თუ 17 აპრილს. დატუსაღებულთა შორის მეც მოვხვდი. მაშინ მე პარტიის დავალებით ბინა მეჭირა ანდრეევის ქუჩაზე, ბინა შესდგებოდა ორი დიდი და ერთი პატარა ოთახისაგან. ეს ოთახები დანიშნული იყო კრებებისათვის. იქ ვცხოვრობდი ცოლშვილით. ამ სამი ოთახის ავეჯეულობას შეადგენდა ერთი მაგიდა და რამდენიმე სკამი. ერთ დიდ ოთახში სრულებით არაფერი არ ყოფილა. როცა ღამით მოვიდენ ჟანდარმები, პირველი მათი სიტყვები იყო: „Очен удобная квартира для собраний“. გაჩხრეკის დროს არაფერი არ უპოვიათ. დამაპატიმრეს და წამიყვანეს მეხუთე საპოლიციო უბანში, სადაც ჩამსვეს ერთ ბნელ, ნესტიან სარდაფში. ორიც სხვა

მუშა მოიყვანეს, რომლებსაც მე არ ვიცნობდი. ისინი სწუხდენ: რა უნდათ ჩვენგან, რათ დაგვაპატიმრესო. მე ვაიმედებდი, რომ გაუშვებდენ. საჭმელი მომიტანეს, მაგრამ პირველ დღეს ვერაფერი ვჭამე. უბნის ზედამჩედველს, („ოკოლოდოჩნიკ"-ს) ეგონა, რომ გავიფიცე. ამიტომ ჯერ თვითონ დამიწყო თხოვნა, რომ მეჭამა, მერე ბოქაული მომიყვანი და შესჩივლა: არაფერს სჭამსო. ეს დამახასიათებელია იმ მხრით, თუ როგორ ეპყრობოდენ მაშინ პოლიტიკურებს,

მეოთხე ღამეს, ღამის პირველ საათზე გამომიძახეს ბოქაულის კაბინეტში. იქ დამხვდა ჟანდარმის როტმისტრი ლავროვი. მან ჯერ თავაზიანად დამიწყო გამოკითხვა—როგორ მეპყრობიან, ხომ არ გაწუხებენ პოლიციელებიო და სხვა როცა ამაზე შესაფერი პასუხი მიიღო. შემდეგ უფრო მკვახედ დამიწყო ლაპარაკი: „მე ყველაფერი ვიცი,—მითხრა მან,—მე თვითონ ვიდექი შენს ეზოს კარებთან გადაცმული როცა შენთან კრებებზე მოდიოდენ"-ო მოსულებში მხოლოდ ერთი დაასახელა სწორედ—ამხ. კურნატოვსკი. ამიწერა მისი გარეგნობა, რიჟა, დიდულვაშება, ყრუ, მართლაც, კურნატოვსკი ასეთი იყო. საუკეთესო ამხანაგი იყო. სხვათა შორის, აქვე დავსძენ რომ მაშინვე გამოიცნო, თუ ვინ იყო ჟორდანია: „თქვენი ჟორდანია ნაციონალისტია"-ო.

როცა შევატყე, რომ ლავროვმა ძალიან ცოტა იცოდა ჩვენი მუშების შესახებ, იმედი მომეცა. მისი სიტყვებიდან გავიგე, რომ მისთვის ჯაშუშებს ამბავი მიუტანიათ, მაგრამ არა სწორი.

როცა ლავროვს არაფერი გაუვიდა, ბოლოს მუქარა დამიწყო. „ერთ წელიწადს აქ, ამ სარდაფში, გამყოფებ, ორ წელიწადს სამხედრო განყოფილების ციხეში"-ო. ეს

განყოფილება მაშინ ჩულურეთში იყო. მაშინდელი ენფი-ანჯიანცის თამბაქოს ქარხნის ახლოს, საცა ამწყვევდენ ჩვენს ამხანაგებს. იქ მაშინ პოლიო კალანდაძე (ირეთელი) იჯდა. ამ მუქარის შემდეგ გამგზავნა საკანში, სადაც მე არხეინად დავიძინე, რადგან ვიცოდი, რომ მათ პირველ მაისობის მზადების შესახებ ცოტა იცოდენ. ღამის ორ საათზე ისევ მოვიდა „გოროდოვოი„ და გამაღვიძა: „ბოქაული გიბარებს"-ო მეგონა ისევ უნდა დამკითხონ მეთქი და პროტესტი განვაცხადე: „გათენდება და მაშინ ვილაპარაკოთ"-მეთქი, ვუთხარი მე. რამდენიმე წუთს შემდეგ მოვიდა თვითონ ბოქაული და მითხრა; „თქვენ თავისუფალი ხართ"-ო.

არ დავიჯერე. ერთი საათის წინეთ ლავროვი მიპრრებდა ერთ წელიწადს პოლიციაში გაჩერებას, ორ წელიწადს სამხედრო ციხის „სეკრეტში", სადაც, მისი სიტყვით, არც ადგომა შეიძლებოდა და არც დაჯდომა, მერე ციმბირში გადასახლებას, და ახლა კი მეუბნებოდენ— დავისუფალი ხარ, წადი სახლშიო.

გამანთავისუფლეს. ორი დღის შემდეგ კი გავედით „იარმურკაში" წითელი დროშით ხელში.

არჩეული კომიტეტი შესდგა 1901 წლის უკანასკვნელ რიცხვებში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ტფილისის ყველა რაიონმა. ეს კრება შესდგა ავლაბარში. არც ბინა და არც ბინის პატრონის გვარი არ მახსოვს ახლა, მხოლოდ მახსოვს, რომ კრება ავლაბარში მოხდა. აირჩიეს: არაქელა, მე, ქიშიშიანცი სევერიანე ჯუღელი, ვასო ცაბაძე, კალისტრატე გოგუა, ყარაჯევი, ზაქრო ჩოდრიშვილი და სტაროსტენკო, რომელმაც შემდეგში გასცა ეს კომიტეტი. ზაქროს მიენდო კომიტეტის ბეჭდის გაკეთება, თუმცა იქ უკვე იყო ნახევრად გამართული სტამბა

და იარაღის საწყობი. იქ ფურცლები უკვე იბეჭდებოდა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ ფურცლებისა იბეჭდებოდა ლეგალურ სტამბაში არალეგალურად.

ვლასა მგელაძე ღამ-ღამობით გადაიპარებოდა ხოლმე სტამბაში, სადაც თვითონ დღისით მუშაობდა და ბეჭდავდა ფურცლებს. ვაკრავდით და ვავრცელებდით ყველანი, მხოლოდ მეტ წილად ვავრცელებინებდით, როგორც შეუმჩნევლებს, დედებს, ცოლებს და მცირე-წლოვან ბავშებს. იყო შემთხვევები, როცა თავდახურულ ქალებს: მიხა ბოჭორიძის დედას, ზაქროს დედას, ჩემ სიდედრს ნატალიას, მიხას დეიდას ბაბეს (ამჟამად ცოცხალია და კარგადაც არის) ჩვენზე მეტ საქმეს ვაკეთებინებდით. ისინი ყველა თავდახურულნი, ლეჩაქებში იყვენ და პოლიცია მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ფურცლების გადამტან-გადმომტანი სულ ისინი იყვენ.

ამ კომიტეტმა იარსება 1902 წლამდე. გაგვცა კომიტეტის წევრმა, როგორც ეს ზემოთ მოვიხსენიე, სტაროსტენკომ და თავის მაგიერ კრებაზე ჟანდარმი, კაპიტანი ლავროვი გამოგვიგზავნა.

XII.

მეორე დილით ჩვენი კომიტეტი უკვე მეტეხის ციხეში იყო. არ დაუტუსაღებიათ ქეშეშიანცი და სტაროსტენკო. ჩვენ ყველანი ცალ-ცალკე კამერებში („სეკრეტებში") მოგვათავსეს. „სეკრეტებზე" მე უფრო ცუდი წარმოდგება მქონდა, ვიდრე ეს მეტეხის ციხეში იყო. ერთი პატარა ოთახი, შიგ ერთი მაგიდა, ერთი სკამი, ერთი რკინის საწოლი, ერთი ტუსაღი, რწყილები, ბაღლინჯოები და თაგვები, აი მთელი ამ ოთახის ავეჯი და მცხოვრები. ერთმანეთს ველაპარაკებით კედელზე კაკუ-

ნით. მიწერ-მოწერას ვახერხებდით „პარაშნიკის“ საშუალებით, ხოლო უფრო საიდუმლო წერილების მიწოდებას —ე. წ. ფოშტით, რომელიც მოწყობილი იყო საპირფარეშოში. იქ დანიშნულ ალაგას დავტოვებდით წერილს და როცა დერეფანში გავიცლიდით ვანიშნებდით იმ ამხანაგს, რომლისთვისაც ეს წერილი იყო დანიშნული ისიც მაშინვე მოითხოვდა გარეთ გასვლას. პირველი დაბრუნდებოდა თუ არა, მეორე მიდიოდა და იღებდა „ფოსტას“. „პარაშნიკს“ საჩუქრად ვაძლევდით თვეში აბაზს. იგი, კამერის ალაგების დროს მოხერხებულად აიღებდა წერილს თუმცა „ნადზირატელი“ გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ყოველსავე მის მოძრაობას კამერის ალაგების დროს. მაგრამ „პარაშნიკი“ მეტად დახელოვნებული იყო და თავის საქმეს მოხერხებულათ აკეთებდა. „პარაშნიკებს“ ვცდიდით—„ეგზამენს ვაჭერინებდით“: პირველად დავწერდით უბრალო წერილს, თუ ჩავარდებოდა, არაფერს არ ნიშნავდა და როცა გავიგებდით, რომ წერილი დანიშნულ ალაგას სწრაფად ‘იდიოდა და პასუხსაც ვღებულობდით მაშინ გავგზავნიდით ასე სერიოზულ წერილებსაც. ქაღალდი და ფანქარი თითქმის ყველა კამერაში მოიპოვებოდა, რადგან წერა-კითხვის სწავლას არ გვიშლიდენ. გარეთ გასაგზავნ წერილებს კი ვსწერდით პაპიროსის ქაღალდზე. ამ პაპიროსის ქაღალდს დავკეცავდით სიგრძეზე და როცა სახლიდან მოგვიტანდენ რამეს „სალფეთკით“, მას გადაკეცილ ყურებს გაურღვევდით, შიგ ამ წერილს ირგვლივ შემოვაყოლებდით, ყურებს ისევ გადაუკეცავდი, გავკერავდით და თვითონ მეთვალყურე გადასცემდა ხოლმე. როცა ეს ორნი გაიგეს, „სალფეთქს“ აღარ გვაძლევდენ. ჩვენც სხვა ხერხს მივმართეთ: გარეთ გავაკეთებინეთ ორ ძირიანი თუნუქის ქეთლი (ჩაინიკი),

რომლის ძირიც ქვემოდან ოსტატურად იღებოდა. შიგ ეწყობოდა: ფურცლები, წერილები, ფული და ზოგჯერ გაზეთებიც კი. ქეთლში ჩაასხამდენ რძეს და ასე შემოგვიგზავნიდენ. ამნაირი ქეთლი ახლაც მაქვს ორი ცალი. ასეთი ქეთლები ბევრი გაუკეთებია ამხ. დათიკო ციმაკურიძეს, რომელიც 1921 წელს, მოსკოვში მიმავალი, გზაში გარდაიცვალა, სადაც ის საქმეზე იყო გაგზავნილი.

ამგვარი ოინი ბევრი გაგვიკეთებია, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: გარედ მუშაობის დროს, როცა ბომბების გადატანა იყო საჭირო, მივმართეთ შემდეგ ხერხს, იმავე ციმაკურიძემ გააკეთა ბიდონი რომელსაც კრანი ქვევით ჰქონდა. გააღებდით კრანს, ნავთი გამოვიდოდა, თუ ჯოხს ჩაყოფდით შიგ, იგი სველდებოდა ნავთში. ამ ბიდონის გვერდებზე კი ირგვლივ ბომბები ეწყო და ასე არხეინად გადაგვქონდა და გადმოგვქონდა.

ციხეში, ჩვენების ჩამორთმევამდე, ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ ერთმანეთში—წერილობით და კედელზე კაკუნით, თუ რა უნდა გვეთქვა ჩვენების დროს: უმთავრესი იყო რა უნდა გვეპასუხნა ნაცნობობის შესახებ; ვიზედაც არ უნდა ეკითხათ, უნდა გვეთქვა: „არა გვსურს მაგის შესახებ პასუხის გაცემა“-ო და გათავდა. ასეც მოხდა. დაკითხვის დროს მიჩვენეს ბევრი ამხანაგის სურათი, რაზედაც ვუპასუხე ისე, როგორც მოლაპარაკებული ვიყავით. მაშინ ჟანდარმმა მეორე ოთახიდან გამოიპატიჟა პროკურორი და შესჩივლა: „აი, ჩხეიძეს არ სურს პასუხი მომცეს ნაცნობების შესახებ“-ო. „მით უარესი მისთვისო მიუგო პროკურორმა, „რაც გინდა ის მიყავი, განა თქვენი ნება არ არის“. ვუპასუხე.

სასეირნოდ გავყავდით იქვე, ციხის ეზოში, დღეში

მეოთხედი საათით. ეზოშივე დასეირნობდენ სისხლის სამართლის ტუსაღები. ჩვენი სასეირნო ადგილი ციხის კედელთან მავთულით შემოვლებული და ბრეზენტით გადაფარებული იყო, რათა ფანჯრიდან ამხანაგებს არ დავენახეთ- თუმცაღა ძალიან ცდილობდა ციხის ადმინისტრაცია, რომ არ გვცოდნოდა და არ გვენახა ჩვენი დატუსაღებული ამხანაგები, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდენ. ჩვენ ყველამ ვიცოდით, ვინ სად იჯდა; თითქმის ისიც კი ვიცოდით ვინ რას აკეთებდა; ამ შემთხვევაში მეტეხის ციხის ადმინისტრაცია ამაოდ ბაძავდა პეტროპავლოვსკის და ბუტირის ციხის ბატონთ.

ციხეში ზრდილობიანად გვეპყრობოდენ. ვიჯექი მეტეხის „სეკრეტში" 9 თვე. მერე გამანთავისუფლეს დროებით, განსაკუთრებულ განკარგულებამდე, და გამგზავნეს ჩემ სოფელში პოლიციის მხედველობის ქვეშ. იქ მაშინვე მივიღე ქუთაისის კომიტეტისაგან განკარგულება, მემუშავა გლეხებში. მაშინ მიხა ცხაკაია იყო ქუთაისის კომიტეტში, ქუთაისიდან ჩემი სოფელი, დიდი-ჯიხაიში, 25 ვერსითაა დაშორებული. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფებოდი, მე მაინც ხშირად ჩავდიოდი ქუთაისში. ვიკრიბებოდით ექიმ ჭიჭინაძის (შემდეგში მენშევიკი, მინისტრი უკვე გარდაცვალებული) ბინაზე.

ერთხელ ამხ. მიხას ვკითხე: რას წარმოადგენს ეს ჭიჭინაძე მეთქი.—არაფერს, მაგრამ რა გინდა, ბინით ხომ ვსარგებლობთო, — მიპასუხა.

ვმუშაობდი გლეხებში. ღამ-ღამობით დავდიოდი კრებებზე სოფ. კულაშში, ჭაგანში, სამტრედიაში, იანეთში, მაღლაკში, გუბში, კუხში, ზოგჯერ ხონში და ჯიხაიშში. რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად დადიოდა სოფლებში ამ-

ხანაგი სოლომონ ბიბილეიშვილი და შეძლებისდაგვარად მეხმარებოდა გლეხების შეკრებაში, ბინის შოვნაში და სხვ. მაშინ დიდ-ჯიხაიშში სცხოვრობდა ექიმი ვანო გომართელი, რომელიც მეხმარებოდა, როგორც გლეხთა შორის მუშაობაში, ისე ნივთიერადაც. გომართელი რომ ჯიხაიშში არ ყოფილიყო, შიმშილით სული ამომძვრებოდა, რადგან ჩემ მშობლებს და დებს თავისთვისაც არ ჰქონდათ სარჩო. ერთ მშვენიერ დღეს, 1903 წელს, როცა ჯიხაიშის ქსენონში ექიმთან ერთად (გვარი არ მახსოვს) ვსადილობდით, „სტრაჟნიკებმა“ ალყა შემოარტყეს ქსენონს ილარიონ ვაშაკიძის ხელმძღვანელობით და დამატუსაღეს. წამიკითხეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება, ფონ-პლევეს ხელმოწერილი, სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების შესახებ.

XIII.

დატუსაღებული კომიტეტის წევრებს სამ-სამი წელიწადი გადაუწყვიტეს.

დიდი ჯიხაიშიდან გამგზავნეს ქუთაისის ციხეში. იმ დროს ეს ციხე სავსე იყო რევოლიუციონერი გლეხებით, რომელნიც „მარსელიოზის“ სიმღერით შეგვხვდენ. აქ მოიყვანეს კოლა მაჭარაძე და პოლიო კალანდაძე, (ირეთელი, დანარჩენი გაგზავნეს ტფილისის ციხეში. ქუთაისის ციხეში დავრჩით ორ კვირას. ციხე ამ დროს გადაქცეული იყო სკოლად: ტუსაღებს ამხანაგები ასწავლიდენ წერა-კითხვას, პოლიტიკურ ეკონომიას და რასაკვირველია, რევოლიუციონურ მუშაობას. ორი კვირის შემდეგ ჩვენ სამნი—მე, მაჭარაძე, და კალანდაძე—გაგვგზავნეს ბათომში.

როდესაც ბათომის სადგურიდან ციხეში მივყავდით, ქუჩაში შემოგვეფეთა ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი. მან გა-

ოცებით თვალები დააჭყიტა, არ ელოდა თუ აქ გვნახავ-და. გვანიშნა, რომ მოვიდოდა ციხეში. მართლაც მეორე დღეს მოვიდა. გადავეცით, რომ ის არ იყო გადასახლებულთა სიაში. თურმე მას ეგონა, რომ რაკი ჩვენ გაგვაგზავნეს, ისიც გადასახლებულთი იყო და მაშინვე ქუთაისიდან მოჰკურცხლა. ბათომში იმიტომ ჩამოსულიყო, რომ საზღვარ-გარეთ აპირებდა გაქცევას, მაგრამ რაკი გაიგო, რომ გადასახლებული არ იყო ისევ ქუთაისში დაბრუნდა.

ბათომის ციხეში დავრჩით ერთ კვირას. იქაც ბევრი ამხანაგი აღმოჩნდა: გიორგი თელია, ალექსანდრე დგებუაძე, ლადო ჯიბლაძე და სხვები.

მიგვიყვანეს ნოვოროსისკის ციხეში. ციხის უფროსი გაუთლელი და ხეპრე იყო. მას არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა პოლიტიკურ ტუსაღებზე. იქ მისი თანდასწრებით საგანგებოდ გაგვჩხრიკეს და შეგვამწყვდიეს ბინძურს კამერაში სისხლის სამართლის ტუსაღებთან და „ბროდიაგებთან“ ერთად. ჩვენ სასტიკი პროტესტი განვუცხადეთ, მაგრამ ვერას გავხდით. ამ ციხეში ასეთი წესები იყო: თუ ტუსაღს უნდოდა რისიმე ყიდვა, მას ეს შეეძლო მხოლოდ თვეში ერთხელ. „არტელშჩიკი“ ერთხელ მიდიოდა ბაზარში და ვინც ვერ მოასწრებდა რამეს ყიდვას ან დაავიწყდებოდა, მეორე თვემდე უნდა ეცადა. ჩვენ მეორე დღეს მოგვიტანეს სადილი, მაგრამ რა სადილი. დიდ ბინძურ ბოჭკაში, რომელსაც კედლებზე ერთი არშინი ჭუჭყი ჰქონდა მიკრული, ჩაყრილი იყო ხარის თავები. მოვითხოვეთ ჩვენთვის საჭმელი ეყიდნათ. დაუძახეს ციხის უფროსს, ის ჯერ კიდევ უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქნა გაეგზავნა „არტელშჩიკი“ და ეყიდნა საჭმელი. ერთი კვირა ვიყავი ამ ტანჯვაში, შემდეგ გაგვისტუმრეს როსტოვისკენ. წამოსვლის დროს ცი-

ხის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ ჩვენ ერთი მეორეზე გადავებით ჯაჭვებით. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ და ვუმტკიცებდით, რომ ჩვენ ამ მხრით თავისუფალნი ვიყავით. ბოლოს, როგორც იქნა, გასინჯა ჩვენი საბუთები და ბრძანება უკან წაიღო.

სადგურ ტიხორეცკაიაში შემოგვიერთდა ცხრა მუშა, რომელნიც ციმბირში იყვენ გადასახლებულნი. როსტოვის სადგურზე ჩვენდა განსაცვიფრებლად ამ მუშებმა გადასცეს იქვე ხალხს თითო შაური, რომ ხატებისთვის სანთელი აენთოთ, თან გულმოდგინეთ პირჯვარს იწერდენ.

მივედით როსტოვის ციხეში. როსტოვის ციხე!! ვისაც მაშინდელი როსტოვის ციხე არ უნახავს, ის ვერ წარმოიდგენს რა საშინელი ამბები ხდებოდა იქ. ეს ციხე იყო გარყვნილების, მხეცობის, სიბინძურის, მკვლელობის, ქურდობის ბუდე. რა საშინელება გინდათ, იქ არ მომხდარიყოს. მთელ ციხეს განაგებდენ სისხლის სამართლის ტუსაღები, კაცის მკვლელები, ქურდები. ვინ იცის რამდენი საბრალო ტუსაღი მოუკლავთ იქ ან გაუქურდავთ. ადმინისტრაცია ხმას არ იღებდა, განგებ თვალს იბრმავებდა, რადგან კარგი შემოსავალი ჰქონდა. როგორც გადმოგვცეს, თურმე ერთ კამერაში ბანქოს თამაში იყო გამართული, მთელი ციხე იქ იყრიდა თავს და რადგან ადმინისტრაცია ხელს არ უშლიდა, მას აძლევდენ 60 მ. თვეში, ვაი იმ ახლად მოსული ტუსაღის ბრალი, რომელიც მათ ჩაუვარდებოდა ხელში, წაართმევდენ, რაც რომ ებადა და პერანგის ამარა დასტოვებდენ. ჩვენ ყველაფერი ეს გზაში გავიგეთ და როდესაც მივედით და ტუსაღებმა ერთგულად გაგვჩხრიკეს, მოვითხოვეთ ცალკე კამერა, რომელიც გარედან უნდა დაეკეტათ. ციხის უფროსი პირველად უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა დავე-

ოცებით თვალები დააჭყიტა, არ ელოდა თუ აქ გვნახავდა. გვანიშნა, რომ მოვიდოდა ციხეში. მართლაც მეორე დღეს მოვიდა. გადავეცით, რომ ის არ იყო გადასახლებულთა სიაში. თურმე მას ეგონა, რომ რაკი ჩვენ გაგვაგზავნეს, ისიც გადასახლებულთი იყო და მაშინვე ქუთაისიდან მოჰკურცხლა. ბათომში იმიტომ ჩამოსულიყო, რომ საზღვარ-გარეთ აპირებდა გაქცევას, მაგრამ რაკი გაიგო, რომ გადასახლებული არ იყო ისევ ქუთაისში დაბრუნდა.

ბათომის ციხეში დავრჩით ერთ კვირას. იქაც ბევრი ამხანაგი აღმოჩნდა: გიორგი თელია, ალექსანდრე დგებუაძე, ლადო ჯიბლაძე და სხვები.

მიგვიყვანეს ნოვოროსისკის ციხეში. ციხის უფროსი გაუთლელი და ხეპრე იყო. მას არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა პოლიტიკურ ტუსაღებზე. იქ მისი თანდასწრებით საგანგებოდ გაგვჩხრიკეს და შეგვამწყვდიეს ბინძურს კამერაში სისხლის სამართლის ტუსაღებთან და „ბროდიაგებთან“ ერთად. ჩვენ სასტიკი პროტესტი განვუცხადეთ, მაგრამ ვერას გავხდით. ამ ციხეში ასეთი წესები იყო: თუ ტუსაღს უნდოდა რისიმე ყიდვა, მას ეს შეეძლო მხოლოდ თვეში ერთხელ. „არტელშჩიკი“ ერთხელ მიდიოდა ბაზარში და ვინც ვერ მოასწრებდა რამეს ყიდვას ან დაავიწყდებოდა, მეორე თვემდე უნდა ეცადა. ჩვენ მეორე დღეს მოგვიტანეს სადილი, მაგრამ რა სადილი. დიდ ბინძურ ბოჭკაში, რომელსაც კედლებზე ერთი არშინი ჭუჭყი ჰქონდა მიკრული, ჩაყრილი იყო ხარის თავები. მოვითხოვეთ ჩვენთვის საჭმელი ეყიდნათ. დაუძახეს ციხის უფროსს, ის ჯერ კიდ უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქნა გაეგზავნა „არტელშჩიკი“ და ეყიდნა საჭმელი. ერთი კვირა ვიყავი ამ ტანჯვაში, შემდეგ გაგვისტუმრეს როსტოვისკენ. წამოსვლის დროს ცი-

ხის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ ჩვენ ერთი მეორეზე გადავებით ჯაჭვებით. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ და ვუმტკიცებდით, რომ ჩვენ ამ მხრით თავისუფალნი ვიყავით. ბოლოს, როგორც იქნა, გასინჯა ჩვენი საბუთები და ბრძანება უკან წაიღო.

სადგურ ტიხორეცკაიაში შემოგვიერთდა ცხრა მუშა, რომელნიც ციმბირში იყვენ გადასახლებულნი. როსტოვის სადგურზე ჩვენდა განსაცვიფრებლად ამ მუშებმა გადასცეს იქვე ხალხს თითო შაური, რომ ხატებისთვის სანთელი აენთოთ, თან გულმოდგინეთ პირჯვარს იწერდენ.

მივედით როსტოვის ციხეში, როსტოვის ციხე!! ვისაც მაშინდელი როსტოვის ციხე არ უნახავს, ის ვერ წარმოიდგენს რა საშინელი ამბები ხდებოდა იქ. ეს ციხე იყო გარყვნილების, მხეცობის, სიბინძურის, მკვლელობის, ქურდობის ბუდე. რა საშინელება გინდათ, იქ არ მომხდარიყოს. მთელ ციხეს განაგებდენ სისხლის სამართლის ტუსაღები, კაცის მკვლელები, ქურდები. ვინ იცის რამდენი საბრალო ტუსაღი მოუკლავთ იქ ან გაუქურდავთ. ადმინისტრაცია ხმას არ იღებდა, განგებ თვალს იბრმავებდა, რადგან კარგი შემოსავალი ჰქონდა. როგორც გადმოგვცეს, თურმე ერთ კამერაში ბანქოს თამაში იყო გამართული, მთელი ციხე იქ იყრიდა თავს და რადგან ადმინისტრაცია ხელს არ უშლიდა, მას აძლევდენ 60 მ. თვეში, ვაი იმ ახლად მოსული ტუსაღის ბრალი, რომელიც მათ ჩაუვარდებოდა ხელში, წაართმევდენ, რაც რომ ებადა და პერანგის ამარა დასტოვებდენ. ჩვენ ყველაფერი ეს გზაში გავიგეთ და როდესაც მივედით და ტუსაღებმა ერთგულად გაგვჩხრიკეს, მოვითხოვეთ ცალკე კამერა, რომელიც გარედან უნდა დაეკეტათ. ციხის უფროსი პირველად უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა დავე-

მწყვდიეთ ცალკე კამერაში და გარედან კლიტე დაედო. რამდენიმე ტუსაღმა ჩაგვიარა, მოსინჯა კლიტე და რაკი გაიგო, ეერას გახდებოდა, გულში ხელს იცემდა და გვეუბნებოდა—„დაიცადეთ ჯიდევ გნახავთ აქო“.

ეს ციხე ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა—ქალებისა და კაცების. ხანდისხან თურმე შეუშვებდენ ქალებს კაცებთან და შეიქნებოდა საშინელი ვაკხანალია, იქ დაგვხვდა ერიქოვი, რომლისთვისაც ყველაფერი წაერთმიათ და ბოლოს წაღებიც წაეძროთ ფეხებიდან.

როსტოვიდან იმავე საღამოს წაგვიყვანეს. როცა კამერიდან გამოგვიყვანეს, მეკარემ ფული მოგვთხოვა. ჩვენ გაგვიკვირდა. გვითხრა, რადგან დაკეტილში მყავდით, ფული მერგება, რომ დაკეტილი არ ყოფილიყო თქვენი კამერა, საცვლების ამარა წახვიდოდითო. ჩვენც რა გვეთქმოდა, მადლობა გადავუხადეთ და ფულიც ვაჩუქეთ.

მივედით რიაჟსკში აქ შემოგვიერთდენ მოსკოვიდან და ადესიდან გადასახლებული ამხანაგები, და რადგან საკმაოდ ბევრა შევგროვდით, მოგვცეს ცალკე ვაგონი, სადაც მარტო პოლიტიკურები ვიყავით.

გავსწიეთ სამარასკენ. მიგვიყვანეს ციხეში. თვალებს არ ვუჯერებდით, როდესაც დავინახეთ შესანიშნავი თეთრი შენობა, ელექტრონით გაჩირაღდნებული, მარმარილოს კიბეებით. პირველად მეგონა დიდებულ სასტუმროში მივყავდით, მაგრამ როცა შიგ შეგვიყვანეს, თვალწინ წარმომიდგა დაუსრულებელი ციხის კორიდორები, აქეთიქით ჭუჭრუტანები, რკინის კარებით, გაყეყეჩებული ზედამხედველები („ნადზირატელები“) გასაღებებით ხელში. ციხის სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა ჩვენს ეტაპში მოსული „უგოლოვნი“ ტუსაღების ბორკილების ჩხარა-ჩხური.

ჩხრეკა ყოველი ციხიდან გამოსვლისა და შესვლის

დროს ჩვეულებრივია: ეტაპის მიღების დროს გაჩხრეკას აწარმოებენ: როცა ციხიდან გამოყევხართ „კონვოი“ და როცა ციხეში მიყევხართ—ციხის ზედამხედველები ეს ყველგან ასე ხდება, მაგრამ სამარაში განსაკუთრებული ყურადღებით გაგვჩხრიკეს: გაგვხადეს ტანისამოსი და ნაკერები გასინჯეს, გასინჯეს აგრეთვე ჩვენი ბარგი. შემდეგ თითო-თითოთ შეგვიყვანეს „სეკრეტებში“, რომლებიც არა ჰგვანან მეტეხის ციხის „სეკრეტებს“. გრძელი, კუბოს მსგავსი ოთახი, მაღალი ჭერით, მთელად თეთრი, როგორც კედელი, ისე ჭერი. ფანჯარა მაღლა აქვს ჭერთან. ისე რომ ცის მეტის არაფრის დანახვა არ შეიძლება, რადგან მას ვერ მისწვდები. იქიდან გადახედვა მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რომ მაგიდაზე სკამის დადგმა ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ საუბედუროდ, სკამიც და მაგიდაც იატაკზე იყო მიმაგრებული. მაგიდაზე იდგა ერთი სპილენძის ჯამი და ერთიც „კრუჟკა“. ამას გარდა იყო საწოლი და კუთხეში ფეხისალაგი თავის სიფონით. კარებში პატარა ჭუჭრუტანაა, რომელიც შიგნიდან გაანიერია, გარედან ვიწრო. ასე რომ გარედან ვინც შემოიხედავს კამერაში, ყველაფერს ხედავს, შიგნიდან კი თითქმის არაფერი სჩანს, გარდა ერთი წერტილისა ამ ჯოჯოხეთს ჩვენ გავუძლებდით, რადგანაც რამდენიმე დღე-ღამე უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით იმათზე, ვინც ორი, სამი და მეტი წელი იჯდა აქ. ჩვენ ეტაფით ერთად მოვდიოდით, საკნებიდანაც სასეირნოდ ერთად გამოვყავდით. კამერაში კი, ამხანაგს არა თუ შემოუშვებდენ, კარებისაკენ არც კი გამოახედებდენ. სამარაში ამხანაგები მრავლად შემოგვემატენ. ჩვენმა ეტაპმა დაიკავა სამი ვაგონი. გზაზე სულ გაგვატარეს შემდეგ ციხეებში: ქუთაისის, ბათომის, ნოვოროსისკის, როსტოვის, კო-

ზლოვის, რიაჟსკის, სამარის, ჩელიაბინის, ნოვო-ნიკოლაევსკის, კრასნოიარსკის და ირკუტსკის.

რუსეთის ციხეები თითქმის ყველა ერთნაირები იყვენ, გარდა სამარისა. რამდენსაც ციმბირის შუაგულში შევდიოდით, იმდენად ეტყობოდა მეტი თავისუფლება და საჭმლის გაუმჯობესება. მაგალითად კრასნოიარსკის ციხეში ხორცი თავისუფლად ჰყოფნიდათ პატიმრებს. ჩამოგვსხეს სადგურ ტირეტში. ირკუტსკამდე დარჩა კიდევ 150 ვერსი. წაგვიყვანეს სამაზრო ქალაქ ბალაგანსკში. ტირეტში გადაგვცეს გლეხებს „ჩალდონებს“ „კონვოის“ ურიადნიკის მეთაურობით. „კონბოი“ ჯოხებითა და კეტებით იყო შეიარაღებული. ღამის გასათევად გვარიგებდენ გლეხთა იჯახებში. გლეხები ჩვენთან კარგათ იყვენ განწყობილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გაიგებდენ, რომ ჩვენ პოლიტიკურები ვიყავით.

მივედით ქალაქ ბალაგანსკში, რომელიც მდებარეობს მდინარე ანგარას ნაპირზე, ირკუტსკიდან ორასი ვერსის მანძილზე. ბალაგანსკის პირდაპირ, ანგარას მეორე მხარეზე, მდებარეობს სოფელი მალიშოვკა, რომელიც ბევრად დიდია ქალაქ ბალაგანსკზე. ორგანვე როგორც ქალაქში, ისე სოფელში, სცხოვრობდენ ჩვენებრ ადმინისტრატიული წესით გადასახლებული პოლიტიკური დამნაშავენი. მათ ერთმანეთთან დამოკიდებულება ჰქონდათ ნავების საშუალებით. ამ ადგილას მდ. ანგარას ერთ ვერსზე მეტი სიგანე აქვს.

აქ თავისუფლად ამოვისუნთქეთ ციხისა და ეტაფის შემდეგ. თავს სრულიად განთავისუფლებულად ვსთვლიდით, მაგრამ იქ დიდხანს არ გაგვაჩერეს. გაგვანაწილეს სხვადასხვა სოფლებში. მე გამგზავნეს სოფ. ბურეტში, ბალაგანსკიდან ას ვერსზე დაშორებული, ირკუტსკისაკენ,

კალანდაძე ირეთში, მაჭარაძე, გოგუა და სხვები—სხვა სოფლებში. დაშორებამ ჩვენზეც ძალიან ცუდად იმოქმედა. მივედი ბურეტში, სოფლის კანცელარიაში, სადაც ჩამწერეს და მითხრეს: „წადი და იცხოვრე“ ო.

XIV.

იქ დამხვდა ორი ებრაელი ამხანაგი ვარშავიდან. ერთი იყო გვარად ალტერი, მეორეს გვარი არ მახსოვს, ვეძახდით სოლომონს. ოთახი დავიჭირეთ ერთი პოლონელის, გვარად გერიატოვიჩის სახლში, რომელიც გადმოსახლებული იყო ვარშავიდან სამოციან წლების რევოლიუციაში მონაწილეობისათვის. ის ციმბირის დიდი ხნის მცხოვრებად ითვლებოდა. მას ბევრი ჰყავდა შვილები და შვილის-შვილები. თუმცა თავის ქვეყანას მოშორებული იყო ორმოც წელიწადზე მეტ ხანს, მაგრამ მის ოჯახში დიდი და პატარა ყველა პოლონურად ლაპარაკობდა. ასეთი ოჯახი ბურეტში სამი იყო. და როცა ეს ოჯახები ერთად შეიკრიბებოდენ, თავი სწორედ პოლონეთში გეგონებოდა. ამათთან თავისუფლად შეიძლებოდა ლაპარაკი პოლიტიკაზე, ნიკოლოზის ტახტის დანგრევაზე და სხ. ისინი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ივვენ განწყობილნი, რუს გლეხებში, ე. წ. ჩალდონებში კი პოლიტიკაზე ლაპარაკი მეტად სახიფათო იყო.

ცრიოდე სიტყვა აქაური ჩვეულების შესახებ, რაც ჩვენთვის, კავკასიელებისთვის, უცხოა. მისვლის მეორე ღამესვე სახლის პატრონმა წამიყვანა სტუმრად მეორე ოჯახში. წამოიყვანა აგრეთვე თავის შვილები ბორია და ალისკა. მათ თან წამოიღეს დაირა, გარმონი და სკრიპკა. ციმბირელი გლეხი სცხოვრობს ხის სახლში, რომელიც ორად არის გაყოფილი, ერთში თვით ოჯახის წევრები სცხოვ-

რობენ, მეორე სასტუმროა, რომელსაც „გორნიცას“ ეძახიან. შიგ ხის სკამებისა და ტახტების მეტი არაფერია. საუცხოვო სისუფთავეა დაცული. ყოველ შაბათს რეცხავენ, როგორც იატაკს, ისე კედლებს და ჭერს, სკამებს, მაგიდებს და სხვ. უდანა-ჩანგლოთ და უკოვზოთ არც ერთი გლეხი არა სჭამს, მხოლოდ ჯამები აქვთ საერთო, რომლებშიაც ოთხი-ხუთი ერთად სჭამს. აგრეთვე ყველა გლეხს აქვს აბანო: თუ შეძლებულია თეთრი „ფეჩით“, თუ ღარიბია—შავით. მათ შორის განსხვავება ისაა რომ თეთრ ფეჩს აქვს მილი ბოლისთვის და ამას გარდა შიგნით ორ ნაწილად განიყოფება: ერთში ტანისამოსს სტოვებენ, მეორეში კი ბანაობენ. შავში ერთი ოთახია, სადაც ერთ კუთხეში ქვები ჰყრია. ამ ქვებზე ანთებენ ცეცხლს, რის გამოც მთელი ოთახი თითქმის ცეცხლის მსგავსად იქცევა. ამ გახურებულ ქვებზე ასხამენ წყალს, ჩნდება საშინელი ორთქლი, დგება აუტანელი ბუღი. ასე, რომ თუ არა შეჩვეული ადამიანი, სხვა ვერ შევა შიგ. ასეა თუ ისე, ყველა გლეხის ოჯახი შაბათობით უეჭველად ბანაობს. ერთი სიტყვით, ხალხი მეტად სუფთაა.

დავუბრუნდეთ იმათი სტუმრობის აღწერას.

შევედით „გორნიცაში“, ირგვლივ გრძელი სკამებია ჩამწკრივებული, რომლებზედაც სხედან გასათხოვარი ქალები და ახალგაზრდა ვაჟები—ციმბირულად „პარნები“ და „დევკები“. ჩემმა „ხაზეინმა“ შემოისვა გვერდით თავისი შვილები და მეც. თვითონ დაირაზე დაუკრა, ბორიამ გარმონზე, ალისკამ სკრიპკაზე და დაიწყო ცეკვა-თამაში. თამაშობენ ქალ-ვაჟი. თამაშის გათავებისას ქალი ჰკოცნის ჯერ მასთან მოთამაშე „პარენ“-ს მერე ჩემ ბებერ „ხაზეინს“, შვილებს—ერთი სიტყვით, მუსიკოსებს ჩემი ხაზეინი ეუბნება ქალს: ესეც ჩემი მდგმურია და უნდა აკო-

ცოო“. ისიც უცერემოხიოდ მოდის და მკოცნის. მე სირცხვილისაგან გავწითლდი, მაგრამ გადავსწყვიტე ბოლომდე დარჩენა და იმის გაგება, თუ რა იქნებოდა შემდეგ. ჩვეულებაა: ქალმა ყველა მასთან მოთამაშეს აკოცოს. მე უეჭველად მუსიკის დამკვრელსაც უნდა ვაკოცო. ამას „პროგონი“ ჰქვია. ყველა ახალგაზრდა „პარენმა“ აუცილებლად იცის რომელიმე საკრავზე დაკვრა. ქალმა არც ერთმა არ იცის მუსიკა. ჩემის აზრით ეს აიხსნება „პროგონით“. ყოველი თამაშობა თავდება კოცნით, ხან ერთით, ორით და ხან კი აუარებელით. თამაშის შემდეგ მოთამაშე ქალს დაჯდომა უნდა, სკამები დაკავებულია. „მივა და უეჭველად ჩაუჯდება კალთაში, მუხლზე, რომელიმე „პარენ“-ს ან იქ მჯდომ კაცს, ნაცნობია ის თუ არა, სულ ერთია. ასე იმართება რამდენიმე სართული, კაცზე ქალი, ქალზე კაცი, კიდევ ქალი და ასე. ასეთი გართობა თითქმის ყოველ ღამ იმართება ზამთრობით. ზაფხულში კი ამისათვის არა სცალიათ, რადგანაც ყველანი, როგორც კაცები, ისე ქალები მუშაობენ მინდორში: ხნავენ თესავენ, ფარცხავენ, მკიან, თიბავენ და სხვ.

ჩვენ, როგორც ზემოდ ვსთქვით, ვიყავით გადმოსახლებულნი ბურეტში სამნი. კიდევ ბევრი ჩვენები უნდა მოსულიყვენ, მაგრამ რადგან რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, რკინის გზას ეტაფისთვის არ ეცალა; ამიტომ ისინი, რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან აღმოსავლეთ ციმბირში გადმოსახლებულნი არხანგელსკში გაგზავნეს.

ასე ვატარებდით ცხოვრებას. ვკითხულობდით წიგნებს, ვნადირობდით, ზოგჯერ ვეხმარებოდით გლეხებს, სხვა საქმე ჩვენთვის არ იყო.

ომის გამოცხადების შემდეგ „ისპრავნიკმა“ გამოგვიცხადა: უმაღლესი მთავრობის განკარგულებაა, ვინც

ჩაეწერება ჯარში, განთავისუფლებული იქნება; თქვენ მხოლოდ ჩაეწერეთ, ომში არ გაგზავნიან“-ო.

ჩვენ ვუპასუხეთ: „ჩვენ, საზოგადოდ, ომის წინააღმდეგი ვართ და ამიტომ ვერ დავეთანხმებითო“. ასე მოქცეულიყო თითქმის ყველა ამხანაგი, როგორც მერე გავიგეთ, ორის გარდა, რომელთა გვარები, არ მახსოვს, ისინი მაშინვე გამორიცხეს ამხანაგობიდან.

მთელ ციმბირში „ობორენცი“ ორი კაცის მეტი არ აღმოჩენილა. პოლიტიკური გადასახლებულები ყველანი „პოროჟენცები“ იყვენ. ყოველი ფოსტით ვღებულობდით რამდენსამე წერილს. რუსის ჯარის დამარცხებას პოლიტიკურები დღესასწაულობდენ, და მაშინ ხომ მარცხდებოდა ნიკოლოზის ჯარი. ამ სიხარულს დაემატა ფონ-პლევეს მკვლელობა, რაც ერთ ბოთლ არაყად დამიჯდა. სოფლის მწერალმა, რომელიც წასული იყო ირკუტსკში, მოიტანა გაზეთი, საცა ეწერა, ფონ-პლევეს მოკვლის შესახებ. ბოთლი არაყი მომთხოვა სამახარობლო. რაც სიამოვნებით ავასრულე.

შემდეგ გადავედი სოფელ ოსაში, როდესაც მივდიოდი ბურეტიდან, თითქმის ყველა გლეხი სწუხდა და მთხოვდა დავრჩენილიყავი მათთან, სანამ ვადას არ გავათავებდი. ჩვენ სოფელში დიდჯიხაიშში კი, როცა დამიჭირეს, ზოგიერთი გლეხი ჩემ გასაგონად ამბობდა: „ახია შენზე, რას აბუნტებდი ხალხსა“-ო. ოსას შემდეგ ისევ გადავედით ბალაგანსკ-მალიშოვკაში, საცა თითქმის ასამდე გადმოსახლებული იყო, ესენი ყველანი „პოროჟენცები“ იყვენ, თუმცა მათი დიდი უმეტესობა მენშევიკი იყო. ეს იყო 1904 წლის მიწურულში და 1905-ის დასიწყისში.

თუმცა ყველანი თითქმის სამ-სამი წლით ვიყავით გადასახლებულნი, მაგრამ მემკვიდრე ალექსის დაბადების

გამო მანიფესტით ერთი წელიწადი დაგვიკლეს. დაგვრჩა ორი წელიწადი, რომელიც გავათავეთ 1905 წლის მაისის გასულს და დავბრუნდით. მოვგროვდით ქ. ირკუტსკში: ს. ჯიბლაძე, ვასო ცაბაძე, სევერიანე ჯუღელი, კალისტრატე გოგუა და სხვები. ყველა მენშევიკი მაგრამ მაშინ ისინი მხოლოდ სახელით იყვენ მენშევიკები. ისინი გზაში მიმტკიცებდენ, რომ ეს რევოლიუცია უეჭველად სოციალისტური იქნება. ყველაზე ცხარედ ამას ამტკიცებდა სილიბისტრო ჯიბლაძე და ვასო ცაბაძე. თუმცა მაშინ რევოლიუცია ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ დღეს თუ ხვალ მოხდებოდა, რაც მართლა მოხდა 1905 წლის უკანასკნელ თვეებში. მათ რომ საქართველოში ჟორდანია არ დახვედროდათ და თავის გავლენის ქვეშ არ მოექცია, ისინი აუცილებლად ყველა ბოლშევიკი გახდებოდა. ყველაზე ადრე სილიბისტრო ჯიბლაძე შეიქნებოდა ბოლშევიკი და ამის შემდეგ უეჭველად ყველა მას მიყვებოდა, რადგან მთელი მაშინდელი მოძრაობა, თითო-ოროლას [ვამოკლებით (ფ. მახარაძე, მდივანი ქავთარაძე და რამოდენიმე მუშა), მის გავლენის ქვეშ იყო.

ჩამოვედით ტფილისში ივნისის გასულს. ტფილისში სანახევროთ თავისუფლება იყო. კრებები თავისუფლად იმართებოდა. ნაძალადევს შვეიცარიას ეძახდენ. ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ შესდგა კონფერეცია ნაძალადევში, დათიკო დვალის სახლში, ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეს კონფერენცია ნახევრად თავისუფალი იყო. მან სამ დღეს გასტანა, მთავრობას რასაკვირველია, გაგებული ჰქონდა, მაგრამ ხელი არ შეუშალა. ამ კონფერანციამდე ჟორდ-ნიას ყოველი სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო. ამის შემდეგ დავუწყე მას კრიტიკულად მოპყრობა. ნახევარი

საათის წინად ნათქვამი სიტყვა, კამათის დროს გადასთქვა. ლანძღავდა ზაქრო ჩოდრიშვილს. ზაქროს წინააღმდეგ კრებაზე ერაძე („ბროდიაგა“) გაგზავნეს, რომელიც ტრაბახით წავიდა: იმას ცხვირ-პირს დავამტვრევო. (რასაკვირველია, კამათით). ამ კონფერენციაზე გამიტყდა გული, საზოგადოდ, მენშევიკებზედ, კერძოდ, ჟორდანიაზე.

კონფერნციის შემდეგ მგზავნიდენ კახეთში.—თელავში გლეხთა შორის ორგანიზაციების, საბჭოების მოსაწყობად. მგზავნიდა ჟორდანია. უარი ვუთხარი: ახლად ჩამოსული ვარ, არაფერი გამეგება და სხვა გაგზავნეთ მეთქი. არ დამეთანხმა. თუ არ წახვალ, პარტიიდან გადიო.

მეც წავედი. დავიწყე ორგანიზაციების მოწყობა ალექსანდრე ბადრიძის, ლევან ბარათოვის და სერგო დანდუროვის დახმარებით. ბარათოვი დამატარებდა ყველგან სოფლებში. ერთხელ ბარათოვის ძმის ოჯახში ვიყავი. ბარათოვის ძმამ მითხრა: „ჩემი ძმა გატყუილებთ, ეგრა სოციალისტია, ფეოდალი არისო“. ასე ვაწყობდი სოფლად გლეხთა ორგანიზაციებს. მაშინ თელავში მაზრის უფროსად მეტეხის ციხის ყოფილი უმფროსი აპუშკინი იყო. როცა მე სოფლიდან გავდიოდი, ის მიდიოდა იქ და ანგრევდა ჩემ მიერ მოწყობილ ორგანიზაციებს. აშინებდა გლეხებს; ემუქრებოდა და თანაც არიგებდა „ის, ვილაც ჩხეიძეა, გატყუილებთ, გაქეზებთ მთავრობის წინააღმდეგო“. როცა ჩვენ სოფელში ვიყავით, ის იქ მოსვლას ვერ ბედავდა. ჩვენი სოფლიდან წასვლისას მიდიოდა და აკეთებდა თავის საქმეს. გადაწყდა მისი მოკვლა და შესრულდა კიდეც. ერთ საღამოს ის მოკლეს თელავის ბაღის მახლობლად. მოვარდა მისი ცოლი იმ დროს, როდესაც

აპუშკინი ქუჩაში სულს ღაფავდა, ამოიღო ჯიბიდან ოქროს საათი და დაიძახა: „შენ მოგკლეს სომხებმა“.

ამ დროს ტფილისში დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკება. გამიწვიეს ტფილისში, დავტოვე კახეთი და ჩამოვედი ტფილისში. აქ უკვე გაჩაღებული იყო ბრძოლა თათრის მოედანზე. თათრის მოედნის იქით, ორთაჭალისკენ იდგენ შეიარაღებული თათრები, ბარიკადებში, აქეთ მხარეს—სომხის „მაუზერისტები“ და რუსის ჯარი. ორივე მხარე ისროდა, მოედანი ცარიელი იყო. ისროდენ სახლებიდან და ბარიკადებიდან. თათრების მხრიდან, ორთაჭალის ქუჩიდან, წამოვიდა მოძრავი ბარიკადი. მოაგორებდენ სავსე ბოჭკას, თან „უარს“ ძახილით მოსდევდნენ თათრები. ამ დროს სომხების მხრიდან რუსის ჯარმა აუტეხა მათ სროლა.

რუსის ჯარს უფროსობდა სომეხი აფიცერი. თათრები მაშინვე უკუ იქცენ. დროებით შეწყდა სროლა. ჩვენი, სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია შემრიგებელის როლს ასრულებდა. მე და იულია (კალისტრატე გოგუას ცოლი) გაგვგზავნეს თათრებთან პარლამენტიორად, მოსალაპარაკებლად. ჩვენც დავიწყეთ თათრებთან მოლაპარაკება. თითქმის გვეთანხმებოდენ სროლის შეწყვეტაზე, რომ ამ დროს სომხების მხრით ასტყდა საშინელი სროლა, რაზედაც, რასაკვირველია, თათრებმაც უპასუხეს. ჩვენ კი გვითხრეს: „წადით გეთაყვა, რა დროს ლაპარაკიაო“, ჩვენც გამოვბრუნდით. სროლაში შეშთხვევით გადავრჩით ცოცხლები. ეს თათრების და სომხების შეტაკება მოაწყო მთავრობამ, რადგანაც სურდა აბობოქრებული რევოლიუციის ყურადღება და ბრძოლა ნაციონალურ შუღლად და ბრძოლად გადაექცია. მან ამ მიზანს რამდენადმე მიაღწია.

1905 წელს ქალაქის თვითმართველობაში იმართებოდა კრებები და მიტინგები. მე ვერ ვესწრებოდი ავადმყოფობის გამო. ბოლოს ავადმყოფი წავედი. ეს იყო 1905 წლის 29 აგვისტოს. ხალხით სავსე იყო იქაურობა, მაგრამ დარბაზი, საცა კრებები იმართებოდა დაკეტილი დაგვხვდა. ხალხმა მოსთხოვა გასაღები ქალაქის თავს, მაგრამ არც გასაღები და არც ქალაქის თავი არა სჩანდენ.

ბოლოს, როგორც იყო, ხალხმა ძალით გააღო კარი და შევიდა შიგ. ხალხით გაიჭედა დარბაზი. მე მოვხვდი ქანდარაზე. მიტინგი გაიხსნა. თავმჯდომარეობდა ზაქარია ჩიჩუა.

შემოვიდა მთავრობის წარმომადგენელი და გამოგვიცხადა—დაიშალენითო. ხალხი არ იძროდა. მეორედ კიდევ გამოგვიცხადეს დაშლა. ხალხი არ დაიშალა. მესამედ მოვიდა ჟანდარმის პოლკოვნიკი ცისი და ენერგიულად მოითხოვა მიტინგის დაშლა, თორემ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, გესროლოთო. ხალხი შეინძრა, უნდოდა დაშლა, მაგრამ ამ დროს ზაქარია ჩიჩუამ მოუწოდა ხალხს, არ დაშლილიყო. ხალხიც შესდგა. გავიდა ცოტა დრო და შემოცვივოენ ყაზახები თოფებით. შემოსვლისათანავე დაგვიწყეს ჩოლა, უმთავრესად ქანდარაზე. ხალხი აირია. ყვირილით და ჟივილით გამორბოდენ კიბეებზე. კიბეების ორივე მხარეს იდგენ ყაზახები და კონდახებით სცემდენ ხალხს. აქ სროლა არ შეიძლებოდა, რადგანაც ერთმანეთს დახოცავდენ.

გასავალი არსაით იყო. ყველა კარები ჩაეკეტათ. როგორც იყო გავედი ეზოში სისხლით მოსვრილი. თუმცა რაღაც სასწაულით არ დავჭრილვარ, მაგრამ ჩემ გვერდით რამოდენიმე დაჭრილი დაეცა და მეც იმათი სისხლით

გავითხუპნე. ხალხი მიაწყდა რკინის ალაყაფის კარებს. კარები დაკეტილი იყო. ქუჩიდან ყაზახები ისროდენ ეზოში. ხალხი დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა. ბევრმა მოინდომა მაღლა კარებიდან გადასვლა, მაგრამ ისინი ძირს ცვიოდენ, ტყვიით განგმირულნი. მოვეფარე კედელს და ვუყურებდი ამ საშინელ სურათს. ყოველ წუთს სიკვდილს ველოდი. ცოტათი სროლა შეწყდა. ვიღაც მეეზოვემ გაგვიღო „კალიტკა“ მეორე მხრიდან და რამდენიმე კაცი გავედით ქუჩაში. იქვე ახლოს სომხების სკოლა ყოფილიყო, სადაც შეხიზნულიყო ბევრი ამხანაგი. მეც დამიძახეს. იქ ტირილი და ვაება იდგა. რამდენიმე დაჭრილი იყო. ვიღაცა ქალმა დახია თავისი კაბა და დაუწყო ჭრილობებს შეხვევა. აქაც ყოველ წუთს მოველოდით ყაზახების თავდასხმას. ვერ მოვისვენეთ და რამდენიმე კაცი გავედით ქუჩაში. ქუჩაში დაჭრილები და დახოცილები ეყარენ. როგორც იყო, ჩავედი იარმუკამდე. იქ ჩავჯექი ეტლში და წავედი მიხა ბოჭორიძესთან, რომელიც მაშინ ყულურეთში სცხოვრობდა თავის დედით ნინოთი და დეიდა ბაბეთი. იმ ღამეს იქ ვიყავი. ცოლ-შვილს გაეგო, თითქოს მე მომკლეს, მეძებდენ მიხეილის საავადმყოფოში მკვდრებში. მეორე დღეს მივედი სახლში, ნაძალადევში, ცოცხალი. ყველა გაკვირვებული მიცქეროდა-როგორც ცოლ-შვილი, ისე ამხანაგები. ზოგიერთი ამხანაგი მეკითხებოდა—„ცოცხალი ხარ თუ მკვდარიო“.

იმ ღამეს ბევრი დახოცეს, რამდენი—არავინ იცის, ბევრიც დაატუსაღეს.

დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა საშინელი რეაქცია დადგა, ნოე რამიშვილმა დასწერა პირველი წერილი რეაქციის შესახებ სათაურით—„რეაქცია ირაზმება“. 1906 წელს პირველ იანვარს კრება გვ-

ქონდა დიდუბეში, ეკლესიის ახლოს, ოთხ სართულიან სახლში. ამ სახლში თითქმის სულ მუშები სცხოვრობდენ. კრებაზე ვიყავით: მე, რამიშვილი, ჟორდანია, სეევერიანე ჯუღელი, ს. ჯიბლაძე და დათიკო მოხეევე (ხარტიშვილი) და სხვები. ყველანი ამტკიცებდენ, გარდა ჩემი და ჯუღელისა, რომ, მართალია, რეაქცია ირაზმება, მაგრამ საშიში არაფერია, გამარჯვებული ჩვენ გამოვალთო. ნოე ჟორდანია ამტკიცებდა: რუსეთში რევოლიუცია კიდეც რომ დამარცხდეს, ჩვენ შეგვიძლია შევკრათ საქართველოს საზღვრები, გამოვაცხადოთ რესპუბლიკა და დავიცვათ იგიო. ამისათვის ჩვენი ჯარი მზად არისო. ალბად, გულისხმობდა კავკასიაში მყოფ რუსის ჯარს. ამ ჯარის იმედი მე არ მქონდა, რადგან უკვე გამოვცადე ის ჟორდანიას მეთაურობით და კომიტეტის დავალებით (იხილეთ ზემოდ). მე და ჯუღელი ვამტკიცებდით, რომ ჩქარა მოგვიხდება სოროების ძებნა. ამის საბუთი ჩქარა გამოჩნდა.

დავიშალენით საღამოს საათის ხუთზე. ჟორდანია და მე ამ სახლის მახლობლად ვცხოვრობდით სხვადასხვა სახლში. გამოვედით ქუჩაში თუ არა, ქუჩას შავრაზმელების პარტიის არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა. ჩვენთან მოირბინა რკინის გზის ერთმა მუშამ, ვაშაკიძემ, ხელში ჟანდარმის რევოლვერი ეჭირა და იძახდა" „ეს კარგი ნივთი ვიშოვნეო". შეეკითხეთ: „საიდან"—„ერთ შავრაზმელ რუს მუშას წავართვიო". მივედი ბინაზე, იქვე ფოთის ქუჩაზე. ამავე სახლში სცხოვრობდა ვანო დურგლიშვილი და ჯაშუში თათუზოვი. მაშინ არ ვიცოდი, თუ ის პროვოკატორი იყო. შემდეგში ეს თათუზოვი მოკლულ იქნა ტფილისის კომიტეტის დადგენილებით.

XVI.

ამ დროს ერთი შავრაზმელი გარბოდა ფოთის ქუჩაზე, ყვიროდა და ისროდა რევოლვერს. ალბად, ნიშანს აძლევდა. მას ჩვენი რაზმელები დაედევნენ და მოჰკლეს. არ გასულა რამდენიმ წუთი, ასტყდა საშინელი სროლა. ბოლოს გამოირკვა, რომ ესროდენ იმ სახლს, სადაც ჩვენ კრება გვქონდა, ესროდენ სახლს, სადაც ჟორდანია ცხოვრობდა, ესროდენ იმ სახლს, საცა მე ვცხოვრობდი. ამ სურათის აწერა მხოლოდ მხატვარს შეუძლია. მე აღვნიშნავ მხოლოდ რამდენსამე ფაქტს.

ასტყდა ჟრიამული, ტირილი და ვაება ჩვენს ეზოში. ეს გასაგებია, რადგან ეზოები ბავშვებით, ქალებით და უიარაღო ხალხით იყო სავსე. მდგომარეობა აუტანელი იყო. ჩემი ბავშვები ტიროდენ და მეძახდენ: „მამა გვიშველეო“. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა იყო სხვის ოჯახშიაც. მეორე სართულში რკინის გზის რუსი ჩინოვნიკი იდგა. ჩემმა ცოლმა ბავშვები იქ აიყვანა, რადგან მაშინ რუსებს ისე არ ერჩოდენ და მით უმეტეს, ჩინოვნიკს. მახსოვს, დურგლიშვილის ცოლი პატარა ბავშვით დარბოდა ეზოში. ბავშვიც ყვიროდა, დედაც. როგორც იყო, ისიც მოვათავსეთ „ჩინოვნიკთან“. ჩვენ, რამდენიმე კაცი — დურგლიშვილი, ჯაშუში თათუზოვი, მე და სხვები ვიდექით დაჟანგული რევოლვერებით ხელში და ველოდებოდით — აი, შემოგვიცვივიან ეზოში, და დაგვხოცავენო. ისროდენ ზარბაზნებს, ტყვიის მფრქვეველებს, თოფებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რითაც კი ხალხის ამოჟლეტა შეიძლებოდა. თუ რა ხდებოდა ქუჩაში, არავინ იცოდა. ვიცოდით მხოლოდ, რომ ყაზახები შემოერტყენ დიდუბეს. ჩვენი რამდენიმე რაზმელი სახურავზე იყო და იქიდან კანტი-კუნტად უპასუხებდენ. თითქმის

გათენებამდე გასტანა ამ სროლამ. გათენებისას ყაზახები წავიდენ. დილით გამოირკვა, რომ რამდენიმე ჩვენი რაზმელი დაეხოცათ, მათ შორის, ის ვაშაკიძეც, რომელმაც საღამოთი რევოლვერი გვიჩვენა.

ამბობენ, ყაზახებმა თავიანთი დახოცილები ფურგონებით წაიღესო, მაგრამ რამდენად მართალი იყო ეს, ვერ გამოვარკვიეთ. ის სახლი, რომელშიაც კრება გვქონდა, რამდენიმე ალაგას იყო გახვრეტილი ზარბაზნის ყუმბარით. ხარტიშვილის ოთახში ყუმბარა მოხვედროდა კრაოტს და სულ დაელეწა. მდგმურებს არაფერი დაშავებიათ, რადგანაც ღამე სარდაფებში გაეტარებინათ.

დილით ვნახე ჟორდანია, ჯუღელი გაფითრებულნი. ჩვენ მაშინვე დავტოვეთ დიდუბე. მე ცოლშვილით გადავედი მარია ივანეს ასული დემურიასთან, ისინი — სხვებთან.

ამ დღიდან დაიწყო ამხანაგების გააფრთებული ჭერა. გადავედით, როგორც ამბობენ, „იატაკ ქვეშ“, და ისევ დავიწყეთ არალეგალური მუშაობა.

ამ დღიდან ტფილისში დამარცხდა რევოლიუცია. იმერეთში კი ისევ განაგრძობდენ ბრძოლას გვირაბის იქით (ამის შესახებ იხილეთ „რევოლიუციის მატიანე“-ში კოტე ცინცაძის წერილი). ბევრი ამხანაგი დაიჭირეს. ბევრი მიიმალ-მოიმალა და ისე განაგრძობდა მუშაობას. ამ დროს, 1906 წელს, ჩავარდა ავლაბარში დათიკო როსტომაშვილის სახლში მოწყობილი სტამბა, სადაც მუშაობდენ: მიხა ბოჭორიძე, ბოჭორიძის დეიდა ბაბე (დიასახლისად იყო), ბოლქვაძე, თოდრია, გიგო ლელაშვილი, ლადო დუმბაძე და სხვ. ამის აღწერას აქ არ შევუდგები, რადგან იმედია თითონ დასახელებული პირები ასწერენ დაწვრილებით, რადგან მათ უფრო კარგად იციან. მე იქ

არ მიმუშავნია, მხოლოდ ორჯერ სამჯერ ვიყავი სტუმ-
რად. ამ სტამბის შემდეგ ჩვენ თითქმის სულ მთლად
დაგვანგრიეს. სტამბა ბოლშევიკებისა იყო. იქ მენშევი-
კებს თითქმის არავითარი მონაწილეობა არ ჰქონიათ.
სტამბა მეტი აღარ იყო, თუ არ მივიღებდით მხედველო-
ბაში გექტოგრაფიულ საბეჭდავს, რაზედაც დიდი ვაი-
ვაგლახის შემდეგ რამდენიმე ცალი ფურცლის დაბეჭდვა
თუ მოხერხდებოდა. გადაწყდა ახალი სტამბის და იარა-
ღის საწყობის მოგვარება. ეს საქმე მიენდო ზაქრო ჩო-
დრიშვილს და არაქელას. მეც დამხმარე ვიყავი ამ სტამ-
ბის მოწყობაში. მენშევიკებიც იღებდენ მონაწილეობას.
ჩვენ სხვა საქმეს თითქმის ჩამოგვაცილეს, რათა შეუმჩნევ-
ლად გაგვეკეთებია ეს საქმე—სტამბის და იარაღის სა-
წყობის მოწყობა.

არაქელას ერთ-ნახევარი ოთახი ჰქონდა ნადიროვ-
კაში, სადაც თავისი ხუთი შვილით და ცოლით ცხოვ-
რობდა. დავიწყეთ იქ სარდაფის მოთხრა. ერთი ამხანა-
გი, რომელიც მაღლა იდგა და სარდაფიდან მიწას აწო-
დებდენ, განგებ დამუნჯდა. ვინმე რომ მივიდოდა, პასუხს
არ აძლევდა, როგორც მუნჯი, შიგ სარდაფში მომუშავეს
კი ვერავინ ხედავდა. შიგ მუშაობდენ სტეპკო პარკუსაძე,
ზაქრო და არაქელა. ზაქრო და არაქელა ხელმძღვანელე-
ბიც იყვენ და მომუშავენიც. სარდაფი გაკეთდა. ბუხა-
რი, რომლიდანაც სარდაფში გზა ჩადიოდა რკინის კი-
ბით, გააკეთა მირიმანა კალატოზმა, დურგლის საქმე კი
ზაქროს ძმამ სანდრო ჩოდრიშვილმა, რომელიც ახლაც
რკინის გზაზე მუშაობს მოდელების გამკეთებლად. მოეწყო
შიგ სტამბა, იარაღის და ყუმბარების საწყობი. დიდი
სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყდა, საწყობი ჩაბარებოდა
ერიქოვს, რადგან უცოლშვილო კაცი იყო და ძველი

გამოცდილი მუშა. არაქელამ სხვა პატარა სახლი იყიდა იქვე მადლობლად, რომ მუდამ თვალ-ყური ედევნებინა საწყობისათვის, და გადასახლდა იქ. ერიქოვი გადავიდა საწყობში და გაჩაღდა მუშაობა. ვაგროვებდით მიფანტულ-მოფანტულ, სხვადასხვა კუთხეებში მიმალულ იარაღს, ყუმბარებს, ასოებს და გადაგვქონდა ახალ ბინაზე. სარდაფში ერთხელ ამ გატანის დროს ერთი კურიოზი მოხდა. არაქელმა ერთ ბიჭს გადააცვა მებაღის ტანისამოსი, ითხოვა ერთი ვირი გოდრებით. გოდრებში ქვევით ყუმბარები ჩავაწყვეთ, ზევიდან—ბადრიჯანი, და გაუდგა გზას. მებაღის ბიჭს ბადრიჯანი მიქონდა გასასყიდად. არაქელა შორი-ახლო მიჰყვებოდა, ახლოს არ უნდა მისულიყო. ვირი სიმძიმისაგან წელში იხრებოდა. როცა ალმართს შეუდგა (საწყობი გორაკზე იყო), ვირი წაიქცა, ბადრიჯნები გადმოცვივდა და ყუმბარები გამოჩნდა. მაშინ კი იკადრა არაქელამ ახლოს მისვლა, ააყენა ვირი, დაალაგა ისევ ზედ ბადრიჯნები და, როგორც იყო, მიათრიეს საწყობში. გადასატანი სხვა საშუალებაც იყო. მაგალითად, დათიკო ციმაკურიძემ დეპოში გააკეთა ზემოდ აწერილი ბიდონი. ამ ბიდონით მოგვქონდა ყუმბარები. მიგვქონდა აგრეთვე ჩემოდნებით. ერთხელ სტეპკო ინწკირველმა, რომელიც ბაქოში მოჰკლეს, სამფუთიანი ჩემოდანი, ყუმბარებით სავსე, ისე აიტანა იმ ალმართზე, თითქო ბუმბული მიაქვსო, თუმცა თითონ ძალიან სუსტი კაცი იყო. ერიქოვის მოვალეობა იყო მიეღო და თვალყური ედევნებინა. ამ საწყობიდან იარაღი და ყუმბარები მიჰქონდათ სხვა და სხვა ტეროორისტულ აქტებისათვის. აქედან ისარგებლა კამომაც, როცა ერევნის მოედანზე ექსპროპრიაციას აწყობდა.

ორიოდე სიტყვა კამოზე.

კამო დღეში რამდენჯერმე იცვლიდა ფორმას. მე მხოლოდ იმ დროს ვამბობ, როცა კამო ერევნის მოედნის საქმეს აწყობდა. ხან მოგვევლინებოდა მეთევზის ტანისამოსში, სველი ბადით, ცოცხალი თევზით ვედროში, ხან კინტოდ კვერცხებით კალათში, ხან ჩერქეზულად გამოწყობილი ხმალ ხანჯლით. იმ დღეს, დილით, ფულის გატაცებამდე ერევნის მოედნიდან, მიხაილოვის ქუჩაზე შემხვდა აფიცრის ტანისამოსში. ვერ ვიცანი. გამაჩერა, „ჩესტი გამიკეთა". „ვერ მიცანიო, — მკითხვა.—ეს კარგია, ვერც სხვა მიცნობსო".

ამის შემდეგ გაიარა ორმა საათმა და ერევნის მოედნიდან მოისმა ყუმბარების გრიალი. ხმა გავრცელდა: „ფული გაიტაცეს, 250.000 მანეთი", „ფოსტას დაეცენო". ჩვენთვის ცხადი იყო ვინ გაიტაცა ეს ფული. ჩვენ მხოლოდ იმას ვკითხულობდით, დაიჭირეს ვინმე თუ არა. როცა გავიგეთ, რომ დაჭერილი არავინ იყო, ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ამასაც დაწვრილებით მონაწილენი აგვიწერენ. ეს ფული კამომ ჩაიწყო ჩემოდნის მეორე ძირში, წაიღო საზღვარ-გარედ და მიუტანა. მისივე სიტყვით, ამხ. ლენინს.

ამ ამბის შემდეგ სადგურის ქუჩაზე მე და არაქელას შეგვხდა სილიბისტრ ჯიბლაძე, რომელიც დავპატიჟეთ მწვადზე. სილიბისტრომ გვითხრა: „ამ ფულს რომ ხარჯავთ, ერევნის მოედნის არისო?". მკითხველნო, როგორც თქვენ არ მოგიხმარიათ იმ ფულიდან ერთი კაპეიკი, ისე არც მე და არც არაქელას, აგრეთვე იმ საქმის გამკეთებლებს თავისი პირადი სარგებლობისათვის. არავის ერთი შაური არ მოუხმარია. ის იყო პარტიის და კიდევაც მოხმარდა სავსებით პარტიულ საქმეს.

XVII

ასე იყო თუ ისე, ამ საწყობმა იარსება 1908 წლის სექტემბრამდე. სექტემბერში ის ჩავარდა იმავე საწყობის გამგის ნიკო ერიქოვის წყალობით, მოვიდნენ ჟანდარმ-პოლიციელები, ვითომ არ იცოდენ და გარედან დაუწყეს თხრა. მათ უკვე დაწვრილებით ჰქონდათ გაცნობილი საწყობის ადგილ-მდებარეობა, როგორც ბოლოს გამოირკვა, ერიქოვის წყალობით. არაქელა იმ დღესვე დაატუსაღეს თავის სახლში. თუმცა არაქელას შეეძლო მიმალვა, რადგანაც იმ დღეს სახლში არ იყო, მაგრამ იცოდა, რომ მის და ძმის არტემას ცოლშვილს დააწიოკებდენ და გადასწყვიტა თვითონ ჩავარდნოდა ხელში. ასეც მოხდა, საწყობის აღმოჩენის რამდენიმე საათის შემდეგ მივიდენ არაქელასთან სახლში და მიაბრძანეს ის მეტეხის ციხეში. ზაქრო მაშინ ვაგონების საამქროში შუშაობდა, მე—დეპოში. დაუწყეს ძებნა. ის მიიმალა. ერიქოვი ვითომ გაუსხლტა ჟანდარმებს ხელიდან და ჩვენთან მოვიდა, როგორც გამოქცეული. ის წითელი იყო, „რიჟა“. შევლებეთ შავად მე და ზაქრომ, გაუკეთეთ პასპორტი ბაქრაძის სახელზე, წავიყვანეთ ნავთლუხში და გავგზავნეთ ბაქოში. რა ვიცოდით, თუ ის ჩვენი „ამშენებელი“ იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ზაქროც წავიდა ბაქოში და მივიდა გამცემ ერიქოვთან.

მე ჯერ არ მიჭერდენ, თვალ-ყურს მადევნებდენ. ალბათ ახალი რამის აღმოჩენა სურდათ, რომელიც ერიქოვმა არ იცოდა, მიზანს ვერ მიაღწიეს და მესტუმრენ ღამის ორ საათზე, ორი თვის შემდეგ ნოემბერში, 1908 წელს, და მიმაბრძანეს არაქელასთან მეტეხში. რამდენიმე დღის შემდეგ დამკითხეს. მკითხეს ვიცნობდი ნიკო ერიქოვს თუ არა და სხვა. როცა ვერაფერი გაიგეს და გაი-

ტანეს ჩემგან, მომმართეს ძველებურად: სთქვი სიმართლე და ახლავე წახვალ სამუშაოდ. ჯამაგირს აიღებ ერთი სამად; იცხოვრე შენთვის და ვერ ვერავინ ვერაფერს გაიგებსო". ამ წინადადების დროს პროკურორიც იქ იყო. როცა ჩემგან ცივი უარი მიიღეს, დამემუქრენ კატორღით და გამგზავნეს ისევ ციხეში. როცა არაქელას საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს, შიგ ეწერა, რომ ნიკო ერიქოვი ამბობს: „არაქელას და ზაქროს იარაღი მოქონდათ და მიჰქონდათ, საიდან და სად—არ იცის. ჩხეიძე მოდიოდა საწყობშიო„—და სხვ. მაგრამ ჩვენ ეს ერიქოვზე არ დავიჯერეთ. ვფიქრობდით, ამას ჟანდარმები უგონებენო.

მეტეხის ციხეში თერთმეტი თვე ვიჯექი.

რამდენიმე სიტყვა ციხეში მომხდარ სროლაზე.

ჩვენ ვიჯექით მეცხრე კამერაში 70 კაცამდე, რომელთა შორის დაშნაკცაკანებიც იყვენ. არაქელა და ალექსანდრე დგებუაძე გადაიყვანეს ახალ შენობაში, ტრიუმში, პროტესტისთვის. ერთ საღამოს, 1908 წლის დასასრულს, საათის ცხრაზე ასტყდა სროლა, ჯერ კანტი-კუნტად და მერე გაცხოველდა. დაუწყეს ციხეს ყოველი მხრიდან სროლა. ჩვენ არაფერი ვიცოდით, რა ხდებოდა მხოლოდ სროლა დაიწყო ციხის ახალი შენობიდან.

— რაშია საქმე?

— ალახმა უწყის.

— გვესვრიან.

— რას გვემართლებიან.

ყველას ეს კითხვა უდგა თვალწინ. კამერაში ხან ფანჯრიდან შემოიზუზუნებს ტყვია, ხან იატაკიდან. მეცხრე კამერა მესამე სართულშია. ჩვენ პირდაპირ, მეორ

კამერაში დაიჭრა სოლო მაჭავარიანი. ქვემოთ კიდევ სხვები. ყველამ იცის, რომ კედელში ტყვია ვერ გამოატანს. საშიშარია ფანჯარა და იატაკი. ერთმა ამხანაგმა დათიკო დვალმა (ჯარის კაცად ნამყოფია), გვიკამანდრა —მატრასები დააწყეთ ერთმანეთზე და ზედ დავსხდეთო, მატრასში ტყვია ვერ გაატანსო. ჩვენ შევასრულეთ. მაგრამ ჩვენთვის მატრასებს არაფერი უშველეია, იქ ტყვია არ მოხვედრია და რომ მოხვედროდა, გვიშველიდა თუ არა, დღესაც არ ვიცით.

ახალ შენობაში მყოფი ჩვენ დახოცილები გვეგონა, მათ შორის არაქელა, დგებუაძე და ისიდორე რამიშვილი, მაგრამ დილით გამოირკვა, რომ იქ მჯდომ ოთხ ლეკს და ერთ ქართველს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი, მოუნდომეს საღამოს ორთაჭალის ციხეში გადაყვანა. ეს ნიშნავდა მეორე დილით ოთხ საათზე მათ ჩამოხრჩობას. ეს ყველასათვის ცხადი იყო, რადგან მთელმა ციხემ იცოდა, რომ ორთაჭალის სატუსაღოში სახრჩობელა იყო. გამოყვანის დროს მათთვის უთქვამთ—ორთაჭალის ციხეში უნდა წაგიყვანოთო. ტუსაღებმა ბარგის წაღება მოინდომეს, მაგრამ „რათ გინდათ, ხვალ ჩვენ მოგიტანთო“—უპასუხნიათ. მაშინ მათ, როგორც მათი სჯული მოითხოვდა, უთხოვიათ ლოცვის ნებართვა. ნება დართეს. ლოცვის დროს მოელაპარაკნათ, რომ უბრძოლველად არ დანებებოდენ, რადგან მეორე დილით სულ ერთია სიკვდილი მოელოდათ. ლოცვის დროს უთხოვნიათ ხელების გახსნა და როდესაც ციხის ადმინისტრაციას ესეც აუსრულებია, ტუსაღები მივარდნიან იქვე მდგომ უფროს ზედამხედველს, ობედნიკოვს, და წაურთმევიათ ხმალი და რევოლვერი. ზედამხედველისათვის არაფერი დაუშავებიათ, რადგანაც მას ყველა ტუ-

საღი კარგ კაცად იცნობდა. იმ იარაღით მოუკლავთ სალდათი, წაურთმევიათ თოფი და დაუწყიათ სროლა.

ეს იყო სროლის მიზეზი.

ხუთივე ტუსაღს იქვე თავიც მოუკლავს.

ციხეში შესვლა კარებიდან ვერ გაბედეს იმათ, ვინც თოფ-ზარბაზანით იყო შეიარაღებული. ხოლო, როდესაც გარედან, მჭედლების მხრიდან კედელი შემოანგრიეს და ერთი ბოქაული შემოვიდა რევოლვერით ხელში, ეს მებრძოლი ტუსაღები, უკვე გაციებულნი იყვენ. სროლა ასე დამთავრდა: მოჰკლეს ორი სალდათი, ორი ზედამხედველი, ერთიც დაჭრილი იყო. მეორე დღეს მთელ ციხეს მნახველებმა, პატიმრების ნათესავებმა და ნაცნობებმა შემოარტყეს ალყა ყველა კითხულობდა თავის პატიმარს, ცოცხალია თუ არაო.

თერთმეტი თვის შემდეგ მე და არაქელა გამოგვიძახეს და გვითხრეს: „თქვენ გადასახლებული ხართ ოთხ-ოთხი წლით იაკუტის ოლქშიო". ამ ამბავმა გაგვახარა, რადგან ოთხ-ოთხი წლით გადავრჩით და ერთმანეთს ვეჩურჩულებოდით კანცელარიაში—„ეს კარგი ამბავია"-ო. მაგრამ დიდი დრო არ გასულა ზედამხედველმა გვითხრა:" უნდა დაბრუნდეთ კამერებში, ეს მგონი შეცდომა არისო" დაგვაბრუნეს. რამოდენიმე დღის შემდეგ მე გადმომიყვანეს ორთაჭალის ციხეში იაკუტსკში გასაგზავნად. სწორედ იმ დღეს, როდესაც სევარიანე ჯუღელი გარდაიცვალა ციხის საავათმყოფოში, არაქელა დასტოვეს. მე გამგზავნეს ეტაპით მეორედ ციმბირისაკენ ორთაჭალის ციხიდან.

მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, გამოვქცეულიყავი ეტაპიდან ან იაკუტიდან. ამ მიზნის განსახორციელებლად მოვამზადებინე გა-

რეთ ჩემ ცოლს ორ-ძირიანი ჩაინიკი, ქეთლი, რომელიც დათიკო ციმაკურიძემ გააკეთა. ქეთლის ძირში ჩადებული იყო ბეჭედ-დასმული ბლანკი, „პარსპორტი“, ქეთლით ჩაის ვსვამდი; ვინ მიხვდებოდა, შიგ რა იყო. თან მიმქონდა აგრეთვე პალტო, რომლის სარჩულში გამოკერებული იყო სამი თუმანი. პალტო გადმომცა ჩემმა ცოლმა ზედამხედველის ხელით თვითონ მე არ მინახავს არც ჩემი ცოლი და არც ეს სამი თუმანი.

ასე, მუდამ მზად ვიყავი გაქცევისათვის. აქ ერთმა შემთხვევამ შემიწყო ხელი. ჩემთან ეტაპში მიდიოდა კარპეზ თევზაძე, რომელიც მეტეხის ციხეში ჩემთან ერთად იჯდა (ყოჩაღი ბიჭი იყო). ეს მესამედ მიდიოდა, ორჯერ გამოქცეული იყო. იგზავნებოდა ორენბურგის გუბერნიაში. რიაჟსკის ციხეში ერთი კვირა დავრჩით.

ორიოდე სიტყვა ამ ციხეზე. იქ შიმშილით, კინაღამ დავიხოცენით. იძლეოდენ რაღაც ადუღებულ წყალს. შიგ ხორცის ან სამარხოს მსგავს ვერაფერს ნახავდით. ზევიდან რამდენიმე ალაგას დასცურავდენ პატარა თვლები, ეს იყო სამარხო ზეთის რამოდენიმე წვეთი, ჩასხმული შიგ. როცა მოკითხოვეთ ციხის უფროსს საჭმლის გაუმჯობესება, მან ასე გვიპასუხა: „აქ პატიმრებს ამაზე კარგი საჭმელი რომ მივცეთ, ციხიდან გარეთ არ გავლენ და თქვენ თუ გინდათ, თქვენი ფულით იყიდეთ და გააკეთეთო“. ესეც დიდი სიკეთე იყო, თუმცა არც ერთს ჩვენთაგანს სახარჯო ფული არა ჰქონდა, მაგრამ საჭმლის გაუმჯობესება მაინც შევძელით, ჩვენი ხარჯით, რასაკვირველია. იქ ვიყავით ოცამდე პოლიტიკური გადასახლებული: თევზაძე, მე, ევგენი დვალი, ერთი აფხაზი გლეხი, რომელმაც არც ქართული იცოდა. არც რუსული. როცა ადმინისტრაციასთან რაიმე საქმე ჰქონდა, მეგრულად ეტ-

ყოდა ერთ მეგრელ ამგანაგს (მეგრელებიც იყვენ ჩვენთან, გლეხები), მე ქართულად და მერე რუსულად ვუთარგმნიდი ციხის უფროსებს და „კონვოის“. თევზაძე ჩემთან ძალიან დაახლოვებული ჯერ კიდევ მეტეხის ციხეში, სანდო კაციც იყო. გადავწყვიტე, ჩემი გაქცევის საიდუმლო იმისათვის გამენდო. მან მაშინვე წინადადება მომცა; გავცვალოთ, შენ ორენბურგში ჩემს ალაგას მე იაკუტსკში წავალ, რადგან მე, სულ ერთია, ორენგურგში ვერ გავჩერდები, კიდევ გავიქცევი და დამიჭერენო“. მე დავთანხმდი იმ პირობით, რომ ბოლოს არ მაგინო მეთქი. მისი პასუხი იყო; „მე არ გაგინებ და შენი არ ვიცი“. გადაწყდა და გაკეთდა კიდეც. მე დავირქვი კარპეზ თევზაძე, იმან გიორგი ჩხეიძე, ჩვენი სურათები ღია ფურცლებზე არ იყო, მხოლოდ მე მარცხენა საჩვენებელ თითზე ნიშანი მქონდა ჭრილობისაგან, იმას კი მარჯვენა ხელზე, არა თითზე, არამედ მაჯის ახლოს. ჩვენ შევისწავლეთ ერთმანეთის ბიოგრაფიები, ოჯახური პირობები და ასე, როცა რიაჟსკის ციხიდან „კონვოი“ გვიბარებდა გზის გასაგრძობად ციმბირისაკენ, დაძახების დროს თევზაძის მაგიერ მე გავედი, ჩემ ადგილას—თევზაძე. ეს დანარჩენ ამხანაგებსაც გავანდეთ. ასე, გაუდექით გზას. სამარის ციხეში რომ მიმიყვანეს. სეირნობის დროს ვნახე იასონ ჯორბენაძე, რომელიც გიორგის ძახილით მომვადრა, მე მაშინვე პირზე ხელი მივაფარე და შევატყობინე, რომ მე ჩხეიძე არ ვარ. ისიც მაშინვე მიხვდა და ვილაპარაკეთ, როგორც თევზაძემ და ჯორბენაძემ.

გამოუძახეს თევზაძეს ორენბურგში გასაგზავნად, რასაკვირველია, გამოვედი მე. თეზაძე იქ დარჩა, რადგან ციმბირის ეტაპი ჩელიაბინსკზე უნდა წასულიყო. მიმიყვანეს ორენბურგში და ჩამსვეს პოლიციის ნაობახში, სა-

დაც მათხოვრები ისხდენ. ერთი ყაზანელი თათარი იჯ-
და, რომელმაც თავისი ერთგვარი განუწყვეტელი სიმღე-
რით სული შემიწუხა. მოველოდი დღე-დღეზე განთავი-
სუფლებას. ვიტანჯებოდი, რადგან არავინ იყო. მაგრამ
ერთი კვირის შემდეგ განთავისუფლების მაგიერ გამომი-
ცხადეს: შენ უნდა გაიგზავნო ჩელიაბინსკში, რადგანაც
სოფელ ზვერინოგოლოვსკში ხარ დანიშნულიო. ალახმა
უწყის, სად არის ეს „ზვერი“ არის თუ რალაცა. გამა-
გზავრეს ისევ სამარისაკენ. სამარეში ისევ ვნახე იასონ
ცორბენაძე. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ გამაგზავნეს ჩელი-
აბინსკისაკენ. დამავიწყდა მეთქვა, რომ არც ეტაპით მო-
გზაურობა, არც სამარის ციხე არა ჰგავდა 1903 წლის
მოგზაურობას. სამარის ციხეში არც ცალკე ოთახი მოუ-
ციათ, არც სადგურებზე გვახდრებდნებენ ეტლებს, აგვრიეს
ქურდ-ბაცაცებში. ციხეებშიაც მათთან გვამწყვევდენ და
ვაგონებშიაც, ეტაპში გამგზავრების დროს, თუ ყოჩაღად
არ ვიყავით და პოლიტიკურები ერთმანეთს ჩქარა არ
მოვნახამდით, რომელიმე ქურდ-ბაცაცზე გადაგვაბამდენ
„ბრასლეტით“ (ხელის რკინის ხუნდები). წარმოუდგენელ
ჭუჭყში და ტიბინძურეში ვიმყოფებოდით. მკბენარები ჩექ-
მაზე დაღოლავდენ და ტანისამოსში რა იქნებოდა ადვი-
ლი წარმოსადგენია. მივედი ჩელიაბინსკის ციხეში, ჩემი
თევზაძე-ჩხეიძე იქ დამიხვდა. ოთხი დღის შემდეგ გადა-
მიყვანეს საპოლიციო ნაწილში. რამდენიმე გადასახლებუ-
ლი ამხანაგი მოვიდა იქ. მითხრეს: „ზვერინო-გოლოვსკი“
აქედან სამას ვერსზეა დაშორებული, ფეხით გატარებენ
და თუ შეგიძლია აქედანვე გაიქეცი, თორემ დაიტანჯე-
ბიო“.

მეც ეს მინდოდა. პოლიციიდან წასვლა ადვილი იყო.
მეც გავიპარე. ვეხეტე ჩელიაბინსკში. ვერც ის ამხანაგი და

ვერც სხვები ვერა ვნახე. გავშალე ჩემი ჰმლტო, ვეძებე შიგ სამი თუმანი, მაგრამ ვერც ეს ვიპოვნე. ვიფიქრე ალბად გადმოცემის დროს ზედამხედველმა თუ ამოიღო მეთქი. რას ვიზამდი, ერთი შაური ჯიბეში არა მქონდა. იმ ღამეს სადგურში ვიყავი. ვერც მეორე დღეს გავხდი რამეს. მხოლოდ წერილი გავგზავნე ტფილისში. სახლში გავაფრთხილე: როცა თევზაძისაგან დეპეშა მიიღოთ, დეპეშითვე თევზაძის სახელზე ათი თუმანი გამომიგზავნეთ მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: გაქცეული კაცი, ჩემი ფეხით მივედი იმავე პოლიციაში იმ იმედით, რომ გამგზავნიან იმ რაღაც ოხერ „ზვერინო გოლოვსკში“ და იქიდან გავიქცევით მეთქი. ასეც მოხდა მივედი თუ არა პოლიციაში ბოქაულმა დამიღრიალა: „სად ბრძანდებიო“ „სადილის საჭმელად წავედი. მერე გზა ვეღარ ვიპოვნე აქამდე და ახლა გამოვცხადდი“.—„კარგია შენმა მზემ, ტუსაღი კაცი ქალაქში მიბრძანდება სადილის საჭმელადო“. მაგრამ როგორც შენ იქ არაფერი გიჭამია, მკითხველო, ისე მე. ან და რითი ვჭამდი, წერილის გაგზავნა ძლივს მოვახერხე. ჩამაგდეს ერთ ბაღლინჯოების სამფლობელოში—„კლოპოვნიკში“—ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ისეთი დღე დამაყენეს, სულ სისხლი მადინეს. სამი დღის შემდეგ გამამგზავრეს ჩემი სოფლისაკენ, ჩემთან მოდიოდა რამდენიმე ცხენის ქურდი ციგანი. ოთხი გზიდანვე გაიქცა. გაქცევა ადვილი იყო. აქაც, როგორც ციმბირში 1903 წელს, ყაზახები ხან გლეხები გვაცილებდენ სოფლიდან სოფლამდე ჯოხებით შეარაღებულნი.

მეცამეტე დღეს, როგორც იყო, შევედით ზერინო გოლოვსკში. ეს ყაზახების დიდი სოფელია, თითქმის ჩვენი ქ. გორის ოდენა. მიმიყვანეს პოლიციაში, სადაც მაშინვე მოვიდა ერთი ქართველი, ნაბდის ქუდით თავზე,

მოკლე ახალუხით და ყელებ ჩაკეცილი წუღებით. მაშინვე ვიცანი, რომ თელაველი იყო, თითქოს ჩემ ეწერა. გამიკვირდა იმისი ნახვა იქ, რადგან ვიცოდი, რომ საქართველოდან ვინც იყვენ გლეხები სამხედრო წესების მოხსნამდე, უკვე დაბრუდენ სამშობლოში, რადგან სამხედრო წესები ამ დროს საქართველოში უკვე მოხსნილი იყო ჩემ შეკითხვაზე, თუ რათ არის აქ, —მიპასუხა, რომ თელავიდან ერთი ბოჭკა ღვინო გამოვიწერე, ვერ გავყიდე და მის გაყიდვას ველოდებოდი. ეს ცოტა არ იყოს მესიამოვნა, წელიწადნახევარი ღვინო თვალით არ მენახა. ჭამიყვანა თავის საცხოვრებელ ბინაზე. შესანიშნავი ღვინო იყო, მაგრამ ყაზახები „კისლიატინას“ ეძახდენ და არ იყიდებოდა. როგორც ვიცით ზვერინო გოლოვსკიდან ჩელიაბინსკამდე 300 ვერსია; ხოლო ქალ. კურგანამდე (პირველი ქალაქია ციმბირისაკენ რომ გადახვალთ, რკინის გზის სადგურიც არის)—11 ვერსია,

ჩავედი თუ არა ზვერინო გოლოვსკში, მაშინვე გაუგზავნე ჩემ ცოლს დეპეშა გიორგი თევზაძის სახელით, რომ ათი თუმანი გამოეგზავნა. გიორგი იმისთვის დავწერე, იქნებ წერილი არა აქვთ მიღებული და ამით გაიგებენ, რომ მე გიორგი ჩხეიძე ვარ და არა თევზაძე. მეოთხე დღეს მივიღე დეპეშით ათი თუმანი. მაგრამ ფოსტაში არ მომცეს, შენ კარპე ხარ და არა გიორგი. მივედი სტანოვოისთან (იგივე ბოქაული), რომელსაც კახური უკვე გასინჯული ჰქონდა და შევჩივლე, ფულს არ მაძლევენ მეთქი ფოსტიდან, რადგან სახელი შესცვლიათ, სახლში გიორგის მეძახიან და ამიტომ ამ სახელზე გამოუგზავნიათ. იმან გაკვირვებით მკითხა: „ამდენი ფული რათ გინდაო.„ საზამთროდ უნდა მოვეწყო მეთქი.

ეს იყო სექტემბერში 1909 წელს. ისიც მაშინვე და-

შეთანხმა და უბრძანა ფული მოეცათ. ხუთი დღის შემდეგ ქალაქ კურგანში „იარმუკობა“ იმართებოდა. კოჭლამაზაშვილმა (ღვინის პატრონის გვარი იყო) მოინდომა ღვინის იქ წაღება. მან არც რუსული იცოდა და ყრუც იყო. მთხოვა, წავყოლოდი. მე წასვლას უკვე ვფიქრობდი. წავედით „სტანოვოისთან“, ვთხოვეთ ნება დაერთო, რომ ღვინო წაგველო გასაყიდად ვსთხოვე მოეცა სათანადო ქაღალდი. შენ წადი და თუ ვინმემ რამე გითხრას, იქიდან დეპეშით მაცნობეთ. მეც სიტყვა არ შემიბრუნებია. ტანისამოსი კარგი მქონდა. დავიქირავეთ „დროგი“, დავაწყეთ ზედ ღვინო, მე დავჯექი ზედ, როგორც ღვინის პატრონი, ნამდვილი ღვინის პიტრონი კი ჩემ ნოქრათ და გავუდექი გზას. საცა სოფელში გავჩერდებოდით გლეხთან პურის საჭმელად იქ ღვინით უმასპინძლებოდით. გლეხები ამბობდენ: ჩვენ აინაირად ღვინოს მხოლოდ ზიარების დროს „მღედელი კოვზით გაგვასინჯებს ხოლმე“. გვკითხეს, თუ რა ფირმისა იყო ჩვენი ღვინო. მე ვეუბნებოდი: ღვინოს „კახეთია“ ჰქვია და მეც ვახვახოვი ვარ, ღვინის ვაჭარი“.—„როცა უკან დაბრუნდეთ, უეჭველად ჩვენთან გამოიარეთო“, გვავალებდენ გლეხები. „უსათუოდ“, იყო პასუხი.

ასე ჩავედით კურგანში. იქ ნახევარი ვედრო ღვინო ჩავიდგი ჩემოდანში და გაუდექი სადგურისაკენ. კოჭლამაზაშვილს ვუთხარი: „ახლა შენ იცი და შენმა ღვინომ. ჩემზე თუ ვინმემ რაიმე გკითხოს, უთხარი ჩელიაბინსკში წავიდა და ხვალ დაბრუნდება-თქო. იმან იქ უკვე გაიგო ჩემი განზრახვა. შევედით ერთ დუქანში, სადაც მისი ღვინო დავაწყეთ. ჩემ ქეთლს ძირი გამოვაცალე, გამოვიღე პასპორტი, რომელიც ზვერინო-გოლოვსკშივე დავამზადე ღვინის ვაჭარ ვახვახოვის სახელზე. მივედი სა-

დგურზე, მითხრეს „მაქსიმ გორკი“ მიდისო. ჩემთვის სულ ერთი იყო, რანაირი მატარებელიც იქნებოდა: ჩავჯექ შიგ და ჩავედი ჩელიაბინსკში, სადაც 14 საათი მომინდა ცდა სანამ მატარებელი წავიდოდა ჩვენსკენ. შევედი პირველი კლასის ბუფეტში, ამოვიღე მეოთხედ ვედრიანი კახური ღვინო, დავდგი მაგიდაზე და შევექეცი, როგორც ღვინის ვაჭარი. იქ ერთი ბაქოელი მოხუცი სომეხი შემომიერთდა (რასაკვირველია მე კი არა, კახურ ღვინოს), რომელიც ტომსკში ყოფილიყო სტუდენტ შვილთან. ვიყიდე ბილეთი ტფილისამდე. წამოვედი პერმზე ცარიცინით. მეშვიდე დღეს უკვე ტფილისში ვიყავი.

ახლა როგორ გინდა სახლში მისვლა. არ შეიძლება ქვეყანა გაიგებს. ჩავედი იმ სარდაფში ვაგზლის ქუჩაზე, ანტონასთან, საცა ჩვენი „რიჟა“ გამცემი შევღებეთ მე და ზაქრომ შავად. ანტონას გაუკვირდა ჩემი დანახვა: გადმოფრინდი იაკუტსკიდან, თუ როგორ მოხვედიო. შემიყვანა ერთ ბნელ ოთახში, თვითონ კი გავგზავნე ჩემ ცოლის ძმასთან გიგო ლელაშვილთან, რომელიც თავის ბიძაშვილის ვასო ლელაშვილის პასპორტით არალეგალურად მუშაობდა დეპოში, რადგან არხანგელსკიდან იყო გამოქცეული. მაშინვე მოიჭრა ჩემთან და მანაც გაკვირვებით დამიწყო ცქერა. გავგზავნე ჩემ ცოლთან, რომ ჩუმათ შეეტყობინებინა ჩემი ჩამოსვლა, რათა ბავშვებს არ გაეგოთ. პირობა იყო, ქუჩაში უნდა შევხვედროდით: როცა დამინახავდა, მე წინ უნდა წავსულიყავი და ის შორიახლო გამომყოლოდა. უნდა მივსულიყავი სოლომონ ბიბილეიშვილთან. მაგრამ როცა ჩვენ ერთმანეთი დავინახეთ ვაგზლის ქუჩაზე, კონსპირაცია სულ ერთიანად დაგვავიწყდა და პირდაპირ შევხვდით. ჩვენი შეხვედრა ისეთი იყო, რომ იქვე მახლობლად მდგომი უბნის ზედამხე-

დველის ყურადღება მიიქცია, აუცილებელი გახდა „მარ შრუტის“ შეცვლა რამდენიმე ხანს გვადევნა თვალყური, შემდეგ მოგვშორდა. ჩვენ მაინც მივედით ბიბილეიშვილთან. მე მაშინვე ვუსაყვედურე, პალტოში ფული რატომ არ ჩადევიმეთქი, მაგრამ ჩემს თვალწინ გაარღვია პალტოს ნაკერი და ამოიღო სამი წითელი თუმნიანი. მართლა ისე ხელოვნურად და მოხერხებულად იყო ჩაკერებული, რომ პოვნა ძნელი იყო.

ტფილისში ჩემი დარჩენა მაინც შეუძლებელი იყო. ამხანაგებიც სულ დაფანტულები იყვენ. ერთი კვირის ტფილისში ცხოვრების შემდეგ გავსწიე ბაქოსკენ, მივედი ზაქროსთან, რომელიც სცხოვრობდა ჩვენ მიერ შავად შეღებილ გამცემ ტყუილ ბაქრაძესთან, ერიქოვთან. ზაქრო როგორ მოისვენებდა, რომ პარტიაში არ ემუშავნა. მეც მაშინვე დავიწყე მუშაობა. ბაქოში მაშინ ცხოვრობდენ სტეფანე შაუმიანი პროკოფი ჯაფარიძე („ალიოშა“), ვანო სტურუა, სიმონ ენუქიძე და სხვები. ერიქოვი მუშაობდა საბუნჩაში, შიბაევის ქარხანაში და იქვე სცხოვრობდა. ჩვენც მასთან ვცხოვრობდით ერთ ოთახში. ერიქოვის ბინაზე თავისუფლად ეყარა ფურცლები, ასოები და სხვა აკრძალული ნივთები- ჩემ შენიშვნაზე, რომ ამ აკრძალულ ლიტერატურას შენახვა უნდა მეთქი, მან მიპასუხა: „რის გეშინია, ჩემთან არავინ მოვაო“. ის აგრეთვე ძალიან ფართოდ, ხელგაშლილად სცხოვრობდა. ჯამაგირს კი სულ შვიდ-რვა თუმანს იღებდა. ამას გარდა ამბობდა, რომ ხუთ თუმანს კიდევ სხვას ვიღებო და დაასახელა რომელიღაც ქარხანა, სადაც „ნასოს“ ვასწორებო. როგორც ბოლის გამოირკვა, ეს „ნასოსი“ თურმე ჟანდარმერია იყო. მაგრამ ამაზე შემდეგ.

აქაც ამ დროს პარტიას სტამბა არა ჰქონდა. გა-

დასწყდა სტამბის მოწყობა. ამ საქმის შესრულება მოგვანდვეს ჩვენ: ზაქროს, ვანო სტურუას და მე. თუმცა ჩვენ ბევრი ვეძებეთ ალაგი სტამბის მოსაწყობად, მაგრამ ძალიან გაჭირდა მისი პოვნა. მივმართეთ კოჩეტკოვს, რომელიც მაშინ სარაჯევის არყის დუქანში ვაჭრობდა-რადგან იქ გვინდოდა სტამბის მოწყობა, მაგრამ მან ადგილის სივიწროვის გამო უარი გვითხრა. ზაქროს უკვე დაუწყვეს დევნა. მისი ბაქოში გაჩერება შეუძლებელი იყო, და აი მოველაპარაკეთ ერთი გემის კაპიტანს— მეორე დღეს ზაქრო უნდა გასულიყო სპარსეთში. იმ დღესვე დავუმზადეთ პასპორტი. ამ პასპორტის დამზადებაში მონაწილეობას ვიღებდით მე, ზაქრო და ერიქოვი. ყველაფერი მზად არის, ხვალ ზაქრო მიდის. ამაღამ ეცემიან ჟანდარმები ზაქროს და აღუსაღებენ. ახალი პასპორტი ვერ უპოვნეს, ლამფის ძირში იყო ჩადებული. ეკითხებიან, დღეს რომ პასპორტი გააკეთე, რა უყავიო. ახლა აშკარა გახდა, ვინ იყო გამცემი. ან მე, ან თვითონ ზაქრო, თუ არა და ერიქოვი. მეორე დღეს შაუმიანს უთხარი, რომ უეჭველად ერიქოვი გამცემია მეთქი. არაფრის გზით არ დაიჯერა—შეუძლებელიაო. ვანო სტურუა წინათაც, უფრო ადრე, ამტკიცებდა, რომ ერიქოვი ჯაშუშია და მაგის ნდობა არაფრით არ შეიძლებაო. ჩვენ თუმცა ვერ გადავწყვიტეთ და ვერ დავრწმუნდით მის გამცემლობაში, მაგრამ ნდობით მაინც აღარ ვენდობოდით. ამის შემდეგ გადავედი საცხოვრებლად გიორგი სტურუასთან, ვანოს ძმასთან. ვანო სიმონ ენუქიძესთან ცხოვრობდა. გიორგი ცოლშვილით ცხოვრობდა აქ. სხვათა შორის, მასთან ცხოვრობდა აგრეთვე კატო მიქაძე, რომელიც ყოველ საქმეში თავგადადებით გვეხმარებოდა; იმას ვგზავნდით ყოველგან, როგორც ქალს, თუ რაი-

მე არალეგალური იყო წასაღები ან მოსატანი, და შესანახი.

ზაქროს დაჭერით ერთი საუკეთესო ამხანაგი მოგვაკლდა მე და ვანოს, სტამბის მოწყობაში და სხვა საქმეშიც იგი ხელმძღვანელი იყო. სტამბა რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უნდა მოგვეწყო. გადაწყდა მე დავმდგარიყავი სარაჯევის ერთ-ერთი არყის დუქანში „პრიკაშჩიკად“ და იქ მოგვეწყო სტამბა. კომიტეტმა შაუმიანის ხელით მოგვცა ჯერ ჯერობით ცხრა თუმანი. მე წავედი თფილისში სარაჯევთან ადგილისათვის, მაგრამ პირდაპირ მისვლა არ შეიძლებოდა, რადგან ის არ მიცნობდა. წავიყვანე ექიმი ვანო გომართელი. მან თავის მხრით წამიყვანა გიგო დიასამიძესთან, რომელიც კარგად იცნობდა სარაჯევს. სარაჯევმა ძალიან თავაზიანად მიგვიღო და მისწერა ბარათი თავის მოურავს ბაქოში. არც ვანომ და არც გიგომ, მით უმეტეს სარაჯევმა, მიზანი ამისა არ იცოდენ. მე ვანოს უთხარი კიდეც: ვაჭრობას არ დავიწყებდი, მაგრამ, რას იზამ, ცოლშვილის შენახვა გამიჭირდა მეთქი. ვანომ გამამხნევა: რა, ვაჭრობა სირცხვილი ხომ არ არისო—„სოციალისტისთვის, რასაკვირველია, სირცხვილია, მაგრამ გამოსავალი მეტი არ არის, მიუგე მე. ამ ბარათით დავბრუნდი ბაქოში. სარაჯევის მოურავმა მომცა ერთი დუქანი. მეორე დღეს უნდა ჩამებარებია დუქანი. მე და ვანო გახარებულნი ვართ. იმ ღამეს ვანოსთან დავიძინე, სიმონ ენუქიძის ოთახში. იატაკზე მეძინა, ვილაც მაღვიძებს. თვალები გავახილე. თავზე პოლიცია „გოროდოვოები“ მადგანან. დაგვაპატიმრეს: მე, ვანო სტურუა და ვანოს ცოლის ძმა. ვანოს უთხრეს, შენ დიდი ხანია გეძებთო. მე კი დამპირდენ—შენ პირადობას გამოვიძიებთო. გაგვგზავნეს ბაილოვის

ციხეში, სადაც ისხდენ ზაქრო, ალიოშა, კობა (სტალინი) და კიდევ ბევრი სხვები.

XVIII

ჩემი პირადობის გამორკვევა გაგრძელდა, რადგან სხვისი პასპორტით ვცხოვრობდი. როცა ბაქოში ჩავედი, ჩემი პასპორტი თან მქონდა, რადგან ჟანდარმებს დაებრუნებიათ ჩემი ცოლისთვის (ის ამ დროს ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა დღეში სამ აბაზად და ასე ინახავდა თავს და სამ შვილს). მე მინდოდა ჩემი პარპორტით მეცხოვრა, მაგრამ შაუმიანმა, ჯაფარიძემ, ზაქრომ და ვანომ არა ჰქნეს. გამიკეთეს პასპორტი სხვის სახელზე, კახელი მექაშვილის სახელზე. ეს პასპორტი ზეპირად იყო შედგენილი. ჟანდარმებმა გაგზავნეს დეპეშა კახეთში, საიდანაც მოვიდა პასუხი — მაგნაირი კაცი ჩვენ არა გვყავსო. ჟანდარმი მეუბნება: შენ მექაშვილი არა ხარ, სთქვი, ვინა ხარო. თქმა ნამდვილი გვარისა აუცილებელი იყო, მაგრამ პირობა თევზაძესთან, რომ ერთმანეთს არ გავცემთ...

ვეუბნები—მე მექაშვილი ვარ და თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქეცით მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ამხანაგებმა გადმომცეს თევზაძის წერილი, იაკუტსკიდან გამოგზავნილი, საცა სწერდა, რომ ის სცხოვრობს იაკუტსკიდან შვიდ ვერსზე სოფ. მარხში და აპირებს იქიდან გაქცევას. მოვახდინეთ თათბირი ზაქრომ, ვანომ და მე. გადაწყდა მეთქვა ჩემი ნამდვილი გვარი, რადგანაც წერილის გამოგზავნის შემდეგ ოთხი თვე იყო გასული და ვიფიქრე, რომ თევზაძე გაქცეული იქნება იაკუტსკიდან მეთქი. გამოვუძახე განცახდებით „ჩემს“ ჟანდარმის კაპიტანს. ვუთხარი—მე ვარ გიორგი ჩხეიძე, ადმინისტრა-

ტიულად გადასახლებული იაკუტსკის ოლქში ოთხი წლით, ვცხოვრობდი სოფ. მარხში და იქიდან გამოვიქეცი მეთქი. გაგზავნეს დეპეშა იაკუტსკში: გიორგი ჩხეიძე აქ არის, არ გაქცეულა". ჟანდარმი გაკვირვებით მაჩვენებს დეპეშას. ძალიან მეწყინა, რომ თევზაძე ისევ იქ იყო. ამით დაირღვა პირობა ჩემი მხრით, ის ჩემდა უნებურად გაცემული შეიქნა. რაღას ვიზამდი. „მე ვარ, ხოლო ის ვინ ჩხეიძეა; მე არ ვიცი" მეთქი. გაგზავნეს მეორე დეპეშა. როგორც შემდეგ მითხრა თევზაძემ, ის იქ დაუპატიმრებიათ. ყველაფერი დაწვრილებით ეთქვა ცოლ-შვილის, დედა-მამის, ერთი სიტყვით, ჩემი ბიოგრაფია დაწვრილებით იცოდა. ის გაეშვათ ციხიდან და აქ მიიღეს მეორე პასუხი: „ასეთი კაცი აქ არის, ვინც თქვენთან არის ის მოგონილი გვარით არისო"—რას იზამ. მე ვამტკიცებ, რომ მე მე ვარ, იაკუტსკიდან მოსული საბუთები კი ამტკიცებენ, რომ მე—მე არა ვარ. გადასცეს ჩემი საქმე განსაკუთრებულ გამომძიებელს. გამომძიებელმა გამომიცხადა, თუ ნამდვილი შენს გვარს არ იტყვი, შენ „ბროდიაგა" იქნები და სასამართლო გადაგიწყვეტს ოთხი წლის „როტას" და შემდეგ გაგგზავნიან სამუდამოდ იაკუტსკშიო. გადამაცვეს „უგოლოვნის" ტანისამოსი და გადამგზავნეს ბაილოვის ციხიდან შემახინკის საკატორღო ციხეში, როგორც „ბროდიაგა"—მაწანწალა.

ვანო და მისი მოყვარე გაუშვეს. ვანო წინად სხვის გვარზე სცხოვრობდა, მას ამ გვარით ეძებდენ, ახლა კი თავის გვარზე იყო. გამოარკვიეს, რომ ის სწორედ ვანო სტურუა იყო და გაანთავისუფლეს. ზაქროც ტფილისში წაიყვანეს რვა წლის კატორღის მისასჯელად. მე დამტანჯეს. დაეკითხენ ტფილისში ცოლ-შვილს, ჯიხაიშში—

დედ-მამას, დებს, მეზობლებს. ყველამ რასაკვირველია, დაამტკიცა, რომ მე მე ვარ. აგრეთვე შეეკითხენ ტფილისის დეპოს უფროსის თანაშემწეს მ. ა. სამახოდს. სამახოდის ჩვენება წამიკითხა გამომძიებელმა· ის აჩვენებდა ჩემზე, როგორც პატიოსან კაცზე, კეთილ-სინდისიერ მომუშავეზე და ამბობდა, რომ იმან არაფერი არ იცოდა ჩემი სოციალისტობის, რევოლიუციონერობის, დაიჭირეს, მაგრამ რისთვის, არ ვიცი და მის შემდეგ არაფერი გამიგიაო.

ყველაფერი ამტკიცებდა ჩემს ვინაობას, მაგრამ გამომძიებელს მაინც არა სჯეროდა, რომ მე ჩხეიძე ვიყავი. ბოტოს ვუთხარი, შეკითხებოდენ პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში. აგრეთვე ტფილისში ჟანდარმებს, სადაც ჩემი სურათი ბლომათ იყო. ერთი წლის შემდეგ როგორც იყო, დარწმუნდენ, რომ მე ჩხეიძე ვიყევი. გადამცენ მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც გამოქცეული. მოსამართლემ შემიყვანა ცალკე ოთახში. მარტო მე და ის ვიყავით (მოსამართლე გერმანელი იყო, გვარი არ მახსოვს). როგორც ეტყობოდა, მან ყველაფერი იცოდა, გაკვრით მკითხა, თუ გაუცვალე გვარი ვისმეს, მითხარიო. მაგრამ მე ჩემს ნათქვამს ვიდექი. გადამიწყვიტა ორი თვე გამოქცევისათვის, ორი კვირა სხვის პასპორტზე ცხოვრებისათვის. მას რომ შესძლებოდა ჩემი განთავისუფლება, ეტყობოდა სულ გამანთავისუფლებდა. რომ გამოვედი გარეთ, დამხვდენ ჩემი ცოლი და გიორგი სტურუა. გავიგე, რომ სტურუა მოლაპარაკებოდა პირადათ ჩემზე მოსამართლეს, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა ჩემი გამოქცევის შესახებ და მოემზადებინა ჩემდა სასარგებლოდ.

იმ დღესვე გადამგზავნეს ბაილოვის ციხეში, გამაყოლეს ციხის ორი ზედამხედველი. გადავწვიტე გაქცევა.

შევიყვანე ისინი ერთი ჩვენი ყოფილი ამხანაგის ტომარაძის დუქანში. ერთი ზედამხედველი ძალიან დაითრო, მეორემ არ დალია. ბევრი ეცადა ტომარაძე, რომ როგორმე გავქცეულიყავ, მაგრამ ვერ მოხერხდა. მიმიყვანეს ბაილოვის ციხეში. ჩამსვეს საეტაფო ეზოში და მეორე დღეს, რადგან ეტაფი უკვე მზად იყო, გამიყენეს გზას.

როსტოვის ციხეში დამხვდა ციხის უფროსი ბირიუკოვი, ბაქოს ციხის უფროსის ყოფილი თანაშემწე, რომელთანაც შეტაკება მომიხდა ბაქოში. შეტაკება აქაც განმეორდა. მან გვიბრძანა მიღების დროს ქუდები მოგვეხადა. ჩვენ პოლიტიკურები, რასაკვირველია, არ დავთანხმდით. ამაზე ჯავრი იყარა და როსტოვის ციხეში დამტოვა ორ თვეს. რამოდენიმე ეტაპი წავიდა ციმბირისაკენ, მე კი მტოვებდა ბირიუკოვს უნდოდა, თხოვნით მიმემართა. მე კი თხოვნის მაგიერ სულ ვეჩხუბებოდი. როსტოვის ციხეში გიმოატარეს ქუთაისიდან ამხანაგები, რომელთა შორის იყვნენ კარპე მოდებაძე და ვანო შენგელია, დანარჩენების გვარი კი არ მახსოვს. კარპემ და ვანომ ჩხუბით თუ თხოვნით გამოგლიჯეს ჩემი თავი ბირიუკოს და გავუდექით გზას ერთად. ეს ორი თვე როსტოვის ციხეში ჯოჯოხეთი იყო. მე ფული არა მქონდა, ციხეში კი აძლევდენ ტალახივით შავ პურს, რომელიც არ იჭმებოდა. მაგრამ მე ესეც მენატრებოდა, რადგანაც გირვანქა ნახევარს იძლეოდენ. ამას გარდა ხარის თავებიდან გაკეთებულ „ბორშს“ ჩაუსხამდენ აი კაცს ერთად, ისე რომ შიგ ცურაობა შეიძლებოდა, ხოლო საჭმელს კი ვერაფერს იპოვიდი. ბირიუკოვის წყალობით „უგოლოვნებში“ ვიჯექი. ამ დროს რუსეთის ყველა ციხეებში საძაგელ საჭმელს აძლევდენ, გარდა ციმბირისა. კარპე მოდებაძე ხანდახან ორი დღეობით არაფერს სჭამდა, რად-

გან ციხის საძაგელ საჭმელს ვერ ეგუებოდა. მე სანამ იმათთან ვიყავი, არა მიშავდა რა, მათ ცოტა ფული ჰქონდათ და ერთად ვხარჯავდით. კრასნოიარსკის ციხიდან იმათაც დავშორდი, რადგან ისინი ენისეის გუბერნიაში იყვენ გადასახლებულნი. მე ისევ ციხის კერძზე დავრჩი და მიხდებოდა „უგოლოვნებთან“ ერთი ჯამიდან ჭამა.

1905 წლამდე, როგორც პირველი ეტაპის დროს მქონდა მოხსენებული, პოლიტიკურებს თავაზიანად გვექცეოდენ, ხოლო 1905 წლის შემდეგ აურიეს „პოლიტიკურები „უგოლოვნებში“, ქურდ-ბაცაცებში. თუ კატორღელებთან მოგვიხდებოდა მოგზაურობა, ეს ბედნიერება იყო, რადგანაც მათში უფრო კეთილ-სინდისიერების ნახვა შეიძლებოდა. ბევრ ციხეში მოგვინდომეს ტუსაღებმა გაქურდვა, ერთმანეთს ვყარაულობდით და ამას გარდა, ჩვენი კავკასიელების, ცოტა არ იყვეს, ეშინოდათ კიდეც. „კავკასიელები არიან, უთუოდ დანა ექნებათ და მოგვკლავენო“—ამბობდენ. მიმიყვანეს ირკუტსკის ციხეში. იქიდან დამაბრუნეს ალექსანდროვის ციხეში ფეხით (ირკუტსკიდან 70 ვერსია), შვიდი თუ რვა რკინის გზის სადგურია ჩერემეხოვიდან. მაგრამ რაღაცასთვის ეს ალექსანდროვში წასასვლელი პატიმრები მოჰყავთ ირკუტსკში და იქიდან ფეხით მიჰყავთ 70 ვერსი.

როგორც იყო მივაღწიეთ ალექსანდროვის ციხეს. იქ მოვხვდი იმ კამერაში, საცა ისხდენ ვლადიმერ მიხეილის ძე ზენზინოვი, ცნობილი ესერი. ამაზე უკვე გზაში ვიცოდი, რომ ის იჯდა ალექსანდროვის ციხეში. მასზე ბევრს ლაპარაკობდენ. მასთან იყო ლიბერამნი, ვერებრაგონი და კიდევ ორი სხვა ესერი. კამერა კომუნებად იყო დაყოფილი. ზენზინოვის და ლიბერმანის კომუნა მდიდრულად ცხოვრობდა, რადგან თვითონ ზენზინოვი შვი-

ლი იყო ვისოცკის ჩაის პატრონისა; ლიბერმანს ქვისლი ჰყავდა ირკუტსკში, ფრიზერი, რომელსაც დიდი ოქროს მადნები ჰქონდა, ფრიზერი ცნობილი კაპიტალისტი იყო. მე, რასაკვირველია, იქაც მშიერი ვიყავი. ზენზინოვს და მის კამპანიას არ ვიცნობდი. ისინი უყურებდენ ჩემ მდგომარეობას. ვიღაცას კიდევაც ეთქვა, რომ მესამედ მივდიოდი ციმბირში. ზენზინოვიც მეორედ მოდიოდა, ისიც გამოქცეული იყო. მას აბრალებდენ აფთიაქის კუნძულზე სტოლიპინის სახლის აფეთქებას. გამომიგზავნეს კაცი, რომ შეეერთებოდი მის კომუნას. მე უარი განვაცხადე, უგროშოთ ვიყავი. რამოდენიმე დღის შემდეგ თვითონ ზენზინოვმა მომმართა ზრდილობიანად შეეერთდებოდი, ერთად გვეხარჯა და როცა ფულს მივიღებდი, მაშინ გავწორებოდი, თუმცა მან იცოდა' რომ მე ფულს ვერასოდეს ვერ მივიღებდი. ბოლოს დავეთანხმე და ალექსანდროვის ციხე გადაიქცა ჩემთვის სასტუმროდ. კამფეტებიც კი არ მაკლდა.

აქ დავრჩით სამ თვეს, გვალოდინებდენ მდინარე-ლენის გახსნას. გაყინული იყო. ალექსანდროვის ციხეში „უგოლოვნი" ტუსაღებიც დიდი პატივის ცემით მეპყრობოდენ, რადგან გაიგეს, რომ ციმბირში მესამედ მგზავნიდენ. საზოგადოდ ჩვეულება ტუსაღებში ციმბირიდან ან ციხიდან გაქცეულს პატივისცემით მოექცნენ. ამნაირი ტუსაღი „უგოლოვნებში" „ივანა" არის, რომელის ყოველი ბრძანება ახალმა ტუსაღებმა უნდა შეასრულონ. ალექსანდროვის ციხეში სამი თვის ჯდომის შემდეგ გაგვამგზავრეს იაკუტისაკენ. ლენამდე, სოფ. ჟიგალოვამდე 300 ვერ. სია. პატიმრები ფეხით მიდიან. ცხენებიც არის, „ტარატაიკა". რომელსაც ტუსაღები „დუშეგუბკა."-ს ეძახიან, რადგან ზედმჯდომს სულ გულ-მუცელს უნგრევს ჯანჯლა-

რით. მივედით ჟიგალოვში. დიდი სოფელია. ირკუტ-სკიდან პირველი ნავთსადგურია, სადაც ლენის გემები იტვირთებიან და იცლებიან. იქ ჩაგვსვეს „პაუზკებში“. ეს უკანასკნელნი აგებულია როგორც ხის სახლები. ასეთი "პაუზკა“ რამოდენიმე იყო, რადგან საშასზე მეტი კაცი იყო ეტაფში. მიგვცეს ლენის მიმდინარეობას და გავუ-დექით გზას. რამოდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ გადაგვსვეს გემებში და ასე ვიმგზავრეთ ჟიგალოვიდან იაკუტსკამდე 23 დღეს, ივნისის 20-ში, 1910 წელს, მი-ვედით იაკუტსკში, როცა მივუახლოვდით ამ ჩვენთვის ახალ ქვეყანას, ღამე აღარ იყო.

მიგვიყვანეს იაკუტსკის ციხეში. ჩვეულებისამებრ გა-მოგვიძახეს თითო-თითოდ. მკითხეს ვინაობა. მე ვუპასუ-ხე, ვინც ვიყავი. „მაგნაირი კაცი აქა გვყავს: შენ ვილაც „ბროდიაგა ხარო“. მითხრეს და ჩემი საქმე დაიწყეს თა-ვიდან...

ყველანი თავ-თავიანთ დანიშნულ ალაგებზე დაგზავ-ნეს. დაგვტოვეს ციხეში მე და ზენზინოვი, ზენზინოვი— როგორც შორს გასაგზავნი, მე, როგორც „ბროდიაგა“. გადაიღეს ჩემი სურათი-ხელები და თითები, ჩემი ამნაირი სურათი მოსკოვშიც და ტფილისშიც ჰქონდათ. გაგზავნეს. როგორც ტფილისში და ბაქოში, ისე პეტერბურგში, სანამ პასუხი მოვიდოდა სამმა თვემ გაიარა. იაკუტსკის ციხე ფიცრის კედლით ორად იყო გაყოფილი; ერთ მხა-რეზე მიყვანილი პატიმრები ისხდენ, მეორეზე ადგილო-ბრივი. მიყვანის შემდეგ მეოთხე დღეს ერთმა ამხანაგმა მითხრა მეორე განყოფილებიდან, ვილაც გეძახისო. გამი-კვირდა იქ ჩემ ნაცნობს რა უნდოდა მეთქი, მივედი, ვნახე, ჩემი კარპე თევზაძე. მისი პირველი კითხვა იყო: „ჩხეიძე შენა ხარ თუ მეო. „ახლა შენ იყავი ჩხეიძეო,—

იმანვე მიპასუხა. დაიწყეს იმის გამოძიებაც, თუ ის ვინ იყო. პროკურორმა უთხრა: „შენ გამოქცეული კატორღელი ხარ. მე შენ ბაიკალის იქით გნახეო“.

გავხდი ავად. ზენზინოვი რომ არ ყოფილიყო, საიქიოს გიახლებოდით, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად ის იყო ჩემი დამხმარე. აგრეთვე გარედან მოდიოდა ჩემ სანახავად ციხეში ალექსანდრე დგებუაძე, ისიც ადმინისტრატიულად გადასახლებული იყო და ცხოვრობდა სოფ. მარხში.

ერთხელ ჩემი ავადმყოფობის დროს, მოვიდა ზენზინოვი და მითხრა: „ისეთ ახალ ამბავს გეტყვი, მორჩებიო“ და მაჩვენა დეპეშა, საცა იყო ცნობა სტოლიპინის დაჭრის შესახებ, კიევის თეატრში. მეორე დღეს კი— მისი სიკვდილი.

XIX

იაკუტსკის ციხეში სამი თვის ყოფნის შემდეგ დაამტკიცეს, რომ მე ჩხეიძე ვიყავი და თევზაძე კიდევ კარპე თევზაძე. გადაგვცეს სასამართლოს გვარების გაცვლისათვის გაგვასამართლეს. ბევრი ეცადენ, რომ თევზაძისთვის ეთქმევინებინათ, ვითომ მე მოვისყიდე, მაგრამ ამნაირი არაფელი ყოფილა, თევზაძემ, პირიქით, სთქვა: მე თითონ ვთხოვე, რომ გაეცვალათ. გადამიწყვიტეს ორი თვის ციხე მე და ორი კვირის კარპეს. განაჩენი ამბობდა: „ჩხეიძემ, როგორც უფრო შეგნებულმა, შეცდომაში შეიყვანა თევზაძე, ხოლო თევზაძე, რორგორც ნაკლებად განვითარებული, მოტყუებულაო“. თევზაძე გაუშვეს ციხიდან, მე კი მალოდინებდენ დაზამთრებას, რადგან ნიჟნი კალიმსკში მაგზავნიდენ და ზაფხულში კი გზა არ არის. ზენზინოვი თავდებით გაუშვეს, სანამ გზა გაიხსნებოდა.

როცა ის გავიდა, იმის საშუალებით ამხანაგებმა მეც გამიყვანეს ციხიდან გამგზავრებამდე.

იაკუტსკი უფრო დიდი სოფელია, ვიდრე საოლქო ქალაქი. სულ შვიდი ათასი მცხოვრებია. აქ სცხოვრობდა გუბერნატორი კრავტი. ერთი დიდი მონასტერიც იყო შიგ. ტფილისიდან ირკუტსკამდე რკინის გზით 7 ათასი ვერსია; ირკუტსკიდან იაკუტსკამდე — 3.000 ვერსი, ხოლო იაკუტსკიდან კალიმსკამდე-კიდევ ათასი ვერსი. როგორც ზემოდ ვსთქვი, მე უნდა წავსულიყავი კალიმსკში; ზენიზინოვი-„რუსსკოუ უსტიე"-ში, ისიც 3 ათასი ვერსზეა იაკუტსკიდან, მხოლოდ სხვა მხრით. ორივე ზღვის ნაპირას მდებარეობს. იაკუტსკში მაშინ ბევრი გადასახლებული ცხოვრობდა, მათ შორის ზენზინოვი, ლიბერმანი, სპერანსკი, რომლის მამაც ლეიბ-დოქტორი იყო და მეფე ნიკოლოზის სასახლის ექიმი, იაკოვლევი და სხვები თითქმის სულ ესერები იყვენ. ზენზინოვი ამბობდა მაშინ, რომ ბოლშევიკებთან მუშაობა შეიძლება, თქვენ სოციალისტები ხართ, ერთად-ერთი ლენინია, რომელთანაც ჩვენ, ესერებს შეთანხმება შეგვიძლიანო. მენშევიკები ბურჟუაზიის პარტიაო და სხვა. მაგრამ ჩვენ ბოლოს ვნახეთ როგორ შეუერთდა ზენზინოვი და მისი პარტია ლენინს.

დადგა სექტემბერი. გაიყინა ყველაფერი. ახლა ჩვენც უნდა გავემგზავროთ. მივედით მე და ზენზინოვი გუბერნატორ კრავტთან და ვსთხოვეთ, რომ რადგან ჩვენ ჯანდაბას იქით გავგზავნით, ერთად გავგზავნეთ. „ორი გაქცეულის ერთად გაგზავნა არ შეიძლება მოგვცა პასუხი. მე გამგზავნეს კალიმსკში, ის—უსტიეში, ვერხოიანსკამდე ერთად ვიმგზავრეთ, იაკუტსკიდან 900 ვერსია. იქიდან ის ერთ მხარეს წავიდა, მე-მეორეს. მივდივართ ორნი. თითოს-თითო ყაზახი იაკუტი მოგვცეს, თითოც „კუჩერი",

ჩვენი მატარებელი შესდგებოდა თორმეტ-თორმეტი ირმისაგან. თითოს სამ სამი ნარტა-მარხილი გვქონდა. თითო ნარტაზე ერთი კაცი თავსდებოდა. როცა შეუდგები გზას, ზედ ტომარასავით დაკარგავენ, რომ გზაში არ გადმოვარდე. თუ გადმოვარდი, ადგომა შეუძლებელია, რადგან მგზავრი რაღაც ჯირკვს ჰგავს. ჯერ შიგნით გაცვია თბილი ტანისამოსი, მერე შუბა, შუბის ზემოთ დოხი, ეს დოხი არის ცხენის, ირმის ან ძაღლის ტყავი, რომელსაც ორივე მხარეს ბეწვი აქვს და ამიტომ ძალიანი თბილია. იაკუტსკში სიცივე 5° და მეტია, ხოლო რამდენსაც გასცილდებით მას, იმდენს სიცივე მატულობს. ვერხოიანს მთავარი სიცივის წერტილია, საცა სიცივე აღწევს 7°-ს. ირმებს ნელა სიარული არ შეუძლიათ, მუდამ გარბიან. როცა დაიღლებიან, გადმოაგდებენ ნახევარ არშინზე ენას, თან თოვლსა სჭამენ და თან გარბიან. მმართველ იაკუტს გრძელი ჭოკი უკავია, რომლითაც მართავს. როცა ძალიან დაიქანცება ირემი, წაიქცევა, იაკუტი სცემს და თუ მაინც არ ადგა, მივა, კუდზე უკბენს კუდიდან სისხლს ამოახსამს, სიმწარით ისევ წამოხტება და გარბის. როდესაც ეს ხერხიც ვერა სჭრის იაკუტი გამოუშვებს ირემს და იქვე ტყეში გაუშვებს ეკითხები—„ხომ დაიკარგა, აქ რომ სტოვებ.“ „ის თავის ჯოგს იპოვნის“,—იძლევა პასუხს. ნარტაში აბია ორი წყვილიდან ექვსწყვილამდე. ასე მიდიხართ სადგურიდან სადგურამდე, რომელთა შორისაც მანძილი 60-70 ვერსია. თუმცა თბილათ ხარ ჩაცმული, ისე გაიყინებით, რომ ვერაფერი ვერ გათბობს. შეხვალ იურტაში, თბილა. ₂აერი ისეთი დგას, რუსული ანდაზისა არ იყოს, ნაჯახი რომ ჩამოჰკიდო, ჰაერში გაჩერდება. დალევ ათ-თორმეტ ჭიქა ჩაის და მერე იგრძნობ გათბობას. ჩვენი ყარაული ყაზახი-იაკუტი მოსამსახურის როლს ას-

რულებს: შუბა დოხს გაგხდის, ჩაგაცმევს, ჩაის აგიდუღებს, ყარაულობა საჭიროა არ არის. თვითონ ბუნება, ყინვა გყარაულობს. სად გაიქცევი, გზა არ იცი და კვალი რომ იცოდე კიდეც, რამოდენიმე ვერსის გავლის შემდეგ გაგყინავს უპატრონოდ. მიხვალ სადგურზე თუ არა, ირმებს უშვებენ ტყეში საძოვრად. მისი საზრდო ხავსია, რაც ციმბირში აუარებელია. ირემი შემოჭკრავს ფეხს, თოვლს გადმოყრის, გამოაჩენს ხავსს და შეექცევა. სადგურიდან სხვა ახალ ირმებს აბამენ.

ვერხოიანსკამდე ირმებით ვიმგზავრეთ. მერე ირმები ძაღლებზე შესცვალეს. მორთულობა შესაბმელი ირმებისა და ძაღლების ერთნაირია. ტყავს ხმალივით შემოჭკიდებენ კისერზე, გამოუტარებენ იღლიებში, გამოაბამენ მარხილის ნარტას და მორჩა, არც „დიშლა“ უნდა და არც „ხამუტი“. ძაღლებიც ირმებივით სულ გარბიან. მივლენ თუ არა სადგურზე, გაყინულ თევზეს აჭმევენ. კარგი პატრონის ძაღლებს ფეხებზე ირმის ტყავები აცვიათ-გზა კარგია როგორც ხელის გული, ირგვლივ ტყე ნაძვითა და ფიჭვით არის შემკული, ტყეში თოვლი, გზაში ირმები, ძაღლები, ნარტები და პატიმრები, შენი „კამერდინერი“ ყაძახი და ძაღლ ირმების პატრონი იაკუტი.

ორი სიტყვა იაკუტელ ყაზახებზე. ყაზახები იქ ერმაკის დროიდან დარჩენილან. სახით რუსებს გვანან, თვით რუსეთზე კი წარმოდგენაც არა აქვთ. ყველანი ლაპარაკობენ იაკუტურად. რუსელი იციან, მაგრამ რუსულად მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც მისულ ხალხთან უხთებათ ლაპარაკი.

ასე თვე ნახევრის შემდეგ ჩავედი კალიმსკში, კალიმსკში დიდხანს არ მიცხოვრია. ნიჟნი-კალიმსკში სულ ექვსი კომლი მცხოვრებია. მოვიდა ერთი კვირის შემდეგ

ვილიუსკში გადასვლის განკარგულება გუბერნატორისგან. იაკუტსკში ყოფნის დროს ამხანაგებმა სთხოვეს გუბერნატორს, რომ მე ვილიუსკში გადავგზავნე, მაგრამ მაშინ არ დათანხმდა. როგორც ეტყობა, მერე უნებებია ამ თხოვნის დაკმაყოფილება. ერთი კვირის შემდეგ გავემგზავრე ვილიუსკში, ასე რომ კალიმსკის ცხოვრებიდან ძალიან ცოტა რამ მახსოვს ამნაირივე მგზავრობით მივედი ვილიუსკში.

ვილიუსკი 9000 ვერსით არის მოშორებული იაკუტსკს. მდინარე ვილიუზეა გაშენებული. 170 კომლი ცხოვრობს. სამაზრო ქალაქია. მეტ წილად იქ ზემოხსენებული ყმზახები ცხოვრობენ. ორი თვის მოგზაურობის შემდეგ დავბინავდი ერთ „იაკუტის სახლში. ბაქოდან გამოვედი თებერვალში და ვილიუსკში მივედი ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში. აქ ადმინისტრატიულ პოლიტიკური გადმოსახლებული 70-მდე იყო. ზოგი მართლა პოლიტიკური იყო და ზოგიც ალახმა უწყის ვინ და რა. იქაც მეტი წილი ესერები იყვენ. მათ შორის გრომოვი. ნარიჟნი, ტერენტიევი, იყო ერთი ქართველი გალდავაძე, ერთი სომეხი ასატურა და სხვები. იქვე იყო ახლა კარგად ცნობილი კომუნისტი სკრიპნიკი. სოციალ-დემოკრატი თითქმის ჩემსა და სკრიპნიკის გარდა, არავინ ყოფილა. იქ ერთ დედაბერს ჩერნიშევსკის სავარძელი ჰქონდა. ჩერნიშევსკის სახლი, რომელიც მისთვის აეშენებიათ ვილიუს ნაპირას, მდინარეს ჩამოურეცხავს. ჩერნიშევსკის დროის დედაბერი გვეუბნებოდა: პოლიტიკური ჩერნიშევსკი იყო, მდიდარი, მუდამ ფულს მაძლევდა, თქვენ რა პოლიტიკურები ხართ-საჭმელი გენატრებათ, ელოდებით ჯამაგირს როდის დაგირიგებენო.

ზემოთ დასახელებულ პირებს გარდა, გადმოსახლე-

ბულები არაფერს არ აკეთებდენ ბანქოს თამაშობისა და ლოთობის მეტს. ბანქოს ყოველი იაკუტი თამაშობს, თუ-თუნს ხუთი წლიდან სწევს. იაკუტი დაიბადება და მოკვდება ისე, რომ აბანო არ იცის. სცხოვრობენ იურტებში, რომლებსაც ყინულის ფანრები აქვს. ვილიუსკში კარგი სახლებიც არის, რომელსაც სამპირი ფანჯრები აქვთ, მინებით ჩასმული.

ტანისამოსს ტყავისას ხმარობენ. არიან ისეთებიც, რომლებსაც ჩითეული და ფარჩეული აქვთ. ესენი მდიდრები არიან. ხორცით და თევზით იკვებებიან; პურს არ ხმარობენ, რადგან არ მოდის. როცა იაკუტსკში ამხანაგები მაფრთხილებდენ, სუხარი ბევრი წაიღე, თორემ ვერც იქა და ვერც გზაში პურს ვერ იშოვნი, მე ვერ წარმომედგინა, რომ უპუროთ ცხოვრება შეიძლებოდა. როცა გზაში იაკუტს სუხარი მივაწოდეთ, მან ყველა იაკუტს დაუნაწილა როგორც შკოლადი. ჩვენ თვეში 15 მანეთს გვაძლევდენ. თვეში ათ გირვანქა ფქვილს ვყიდულობდით და ჩაიზე ვხმარობდით. სადილს და ვახშამს უპუროდ გიახლებოდით. თუმცა ვილიუსკში ფქვილი ბევრი იშოვებოდა და არც ძვირი იყო, ფუთი 7-8 მანეთად ღირდა, მაგრამ იაკუტელები თუ არა ძალიან მდიდრები, მას არ ყიდულობდენ. მაგალითისთვის მოვიყვან ერთ გაიაკუტებულ ყაზახს, რასტორგუევს, რომელიც მდიდარი იყო, მას რამდენიმე გემი ჰქონდა ლენაზე. მან სთქვა: „სულ ორი წელიწადია, რაც პურის ჭამას შევეჩვიეო“.

მაშინ პური მოყავდათ ზემოდ ნახსენებ სოფ. მარხში სკოპეცებს, რომლებიც გადმოსახლებულნი იყვენ თათავიანთი მახინჯი რწმენისათვის.

იაკუტის სახლის, იურტა, აგებულია რგვლათ. შიგ ბუხარი აქვთ, რომელშიაც დღე და ღამე გაუნელებელი

ცეცხლი ანთია. ეს ბუხარია მათი შაცოცხლებელი, იგი ათბობს და ამას გარდა მისი საშუალებით იურტის მთელი მოწამლული ჰაერი სითბოს გააქვს, რადგან ბუხარი არ იხურება და აჰერი ბოლად განავალ სითბოს ჰყვება. ლოგინი მათ არა აქვთ, ტყავებზე სძინავთ ტიტვლებს. ბალიშები კი ბლომათ აქვთ. სიტიტვლე, მათი აზრით, იფარავს სიბინძურისაგან, გამეფებულ მკბენარებისაგან. შეშა ბევრია; ორ მანეთად მთელ საყენს მოგიტანენ. ირმები ასობით და ათასობით ჰყავთ. ჰყავთ ძროხებიც და ცხენებიც. ცხენის ხორცი საუკეთესო საჭმელად ითვლება, როგორც იაკუტისა, ისე ყაზახისათვის. ძროხები და ცხენები სამოც გრადუს ყინვაში გარეთ არიან. ღორი, ცხვარი და მწვანილეული არ არის. თითქმის ყველა იაკუტი ციხგით არის ავად. ექიმი ხახვს რეცეპტით უწერს. იაკუტის პირველი საჭმელი სტროგონინაა. ეს არის გაყინულ ზუთხისაგან ბურბუშელასავით დათლილი თევზი. ღარიბ იაკუტის საზრდოს „კარასი" შეადგენს, რომელსაც ტბებში თითო ბადის მოსმაზე ფუთობით იჭერენ.

ყველა იაკუტი ქაღალდზე მართლმადიდებელია, დაქორწინებისა და მონათვლის დროს ეკლესიაში მიდიან, დანარჩენი დრო „შამანზე" ლოცულობენ. ეკლესია ყოველ მოზრდილ სოფელშია, სკოლებიც აქვთ, როგორც ამბობდენ, სწავლას ძალიან ეტანებიან. ერთ გადმოსახლებულს მათთვის ანბანიც კი მოუგონია, მისი გვარი არ მახსოვს.

თითქმის ყველა ნადირობით და თევზაობით ცხოვრობს. გაზაფხულზე, თუმცა იქ გაზაფხული არ არის და პირდაპირ ზაფხული იწყება, ტბები მდინარეები და ტყეები ყინულისაგან და თოვლისაგან თავისუფლდებიან. ამ დროს ყველა ემზადება სანადიროდ: სწმენდენ თოფებს

და ამზადებენ პატრონებს, თითქოს საომრად ემზადებიან. გალღვება ყინული თუ არა, იწყებს დენას იხვი და ბატი. იმდენი მოდის, რომ ვისაც თოფი აქვს და გავლა შეუძლია, ყველა იმზადებს ზამთრის სამყოფ ხორცს. ნადირობა ბატებზე და იხვებზე სამი კვირა შეიძლება, რადგან მას შემდეგ, როგორც კი მოსუქდებიან იმალებიან საბულაოდ—ჩალამ-ყალამში, რაც ციმბირში უთვალავია. ყოველ ფეხის გადადგმაზე ტბებია, ტბის გარშემო ჭაობები. ამ ჭაობებში ბუდობენ და ჩეკენ წიწილებს. აგვისტოში ტბები გადაშავებულია იხვისა და ბატის წიწილებით. აგვისტოს ნახევრიდან ისევ იწყება ნადირობა. ახლა იმდენია ნამრავლი, რომ როცა აფრინდებიან მზეს აბნელებენ ხოლმე.

ზამთარი ათი თვეა, დანარჩენი ზაფხული. ზამთრის ღამეები გაუთავებელია. ზამთარში საათის თერთმეტზე ჰორიზონტზე დაინახავ წითელ ზარს, მზეს, რომელიც ორი საათის შემდეგ იმალება და ისევ ღამეა. სამაგიეროთ ორი თვის განმავლობაში ღამე სრულებით არ არის. წარმოიდგინეთ ჩვენებური ღრუბლიანი დღე, ეს იქნება იქაური ღამე ამ ხნის განმავლობაში. იქაური უბედურება ის არის, რომ ზამთარში ვერ გამოხვალთ გარეთ სიცივის გამო, ზაფხულში კიდევ კოღოს ვერ გადაურჩებით. თუ ბადე არა გაქვს ჩამოფარებული და ხელთათმანი ხელზე, ისე ვერ გამობრძანდები. ასე წარმოიდგინეთ საქონლისთვის ნეხვს უკიდებენ ცეცხლს, საქონელიც მიუწვება ახლოს, რადგან ნეხვის ბოლის ეშინია კოღოს და არ ეკარება ცეცხლთან მწოლარე ცხენს და ძროხას. ირემს კოღოსი არ ეშინია.

ირემი ზამთარში საუცხოოთაა გასუქებული, ჩვენებურ ნასუქ დოღის ბედაურს ჰგავს. მაგრამ ზაფხულში

საცოდავი სანახავია. გაქეციანებულია მუნიანი ძაღლივით. ეს იმიტომ, რომ სიცხეს ვერ იტანს სიცხე კი ზაფხულობით 45-დე ადის.

ზამთარში ნადირობენ მელებზე, „პესცებზე“ და სხვ.

რამდენიმე სიტყვა თევზაობაზე. მდინარეზე ერთ რომელიმე შეძლებულს აქვს ასი საჟენი სიგრძის და ორი არშინი სიგანის ბადე. შუაზე კუდივით აქვს თევზის შესასვლელი. ამას „ხაზინას“ ეძახიან. აქ სულ ხუთი კაცი სჭირდება. ბადის პატრონი ორი კაცისას იღებს, ერთ თავისს და ერთიც ბადისას, ამნაირ ბადის პატრონთან ვიყავით ჩვენ ორი კაცი. ეს მებადური გვარად კართაგინი იყო, იქაური ყაზახი. განათლება ვექილის, იურისტის ჰქონდა. თავს სოციალისტად აღძარებდა და ჩვენც სოციალისტები, ამისთვის შეგვიამხანაგა. წავიდოდით ნავით ათი-თხუტმეტი ვერსის მანძილზე ვილუის აღმა. სათევზაო იქ იყო. აქ რამდენიმე მებადური იყრიდა თავს, ასე 50—100 კაცამდე. თევზაობა იწყებოდა აგვისტოს ნახევარში და თავდებოდა პირველ სექტემბერს. რადგან მერე მდინარე იყინებოდა. ბინაზე გავაჩაღებდით ღამე (უკვე ღამე იყო) დიდ ცეცხლს, იმათი აზრით, ორ საქმეს აკეთებდა. ერთს რომელზედაც ჩვენც ვეთანხმებოდით, გვათბობდა; მეორეს, როგორც ისინი ამბობდენ, ცეცხლის სანათლეზე თევზი მოდიოდა. ცეცხლიდან დავიწყობდით მორიგეობით ბადის ჩაშვებას, რაც ასე ხდებოდა: ოთხი კაცი ნავში იჯდა, ერთი საჭეზე, ორი ნიჩბებს უსვამდა, ერთიც ბადეს უშვებდა წყალში. ერთს ნაპირის ბადის თავი ეჭირა ხელში თოკით და ნაპირ ნაპირ მოჰყვებოდა სანამ ას საჟნიან ბადეს მენავეები წყალში ჩაუშვებდენ. მერე ცოტა ხნით მიუშვებდენ ნავს და მიმდინარეობას მელ-ნელა მიჰქონდა. შემდეგ მოაბრუნებ-

დენ ნავს და ნაპირისაკენ გამოსწევდენ, ასე რომ ნაპირზე ორივე თავს ერთად მოაქცევდენ და ორივე თავს ბადისას თანასწორად მოაცურებდენ ნაპირისაკენ და როცა მოუახლოვდებოდა, თევზი, რაც ბადეში იყო, ნელ-ნელა შედიოდა ხაზინაში. დიდი თევზი მოინდომებდა ბადიდან არა ხაზინაში გადასვლას, შეცურებას, არამედ ბადიდან გადაბრძანებას, ამისათვის დახელოვნებული კაცი იდგა გრძელ ჯოხზე წამოგებულ რკინის ორთითით, რომლითაც თევზს თავში უთავაზებდა. ძნელად თუ გაექცეოდა მათ თევზი, ისე იყვენ დახელოვნებულნი, მე და შენ კი, მკითხველო, რომ აგვეღო ეს ორთითი და მისი დამორჩილება მოგვენდომებია, თევზი, რომელმაც ხაზინას აუხვია, მხიარული იქნებოდა, რადგან ვერას დავაკლებდით. აქ იჭერდენ ზუთხს და ორაგულს. წვრილი თევზი ასი ფუთიც რომ ყოფილიყო, დაჭერას არ ეძახდნენ. ჰყრიდენ იქვე ნაპირას და არავის არ მიჰქონდა. ესეოდა ყვავი, ყორანი, „ჩაიკა“ და ისინი მიირთმევდენ. რომ ვეტყოდით—წყალში მაინც ჩავყაროთ, რათ ვაფუჭებთო. იტყოდენ ხოლმე: „რათ გვინდა, მეორედ ტყუილად ბადეს დაგვიმძიმებსო“...

მერე მეორე რიგი შედიოდა, მესამე და ასე ბოლომდე. შემდეგ ისევ თავიდან ვიწყებდით. არც ერთი მებადური არ დაბრუნდებოდა, რომ რამდენიმე ფუთი არ წამოეღო. ორაგულს და ზუთხს ამოიყვანდენ თუ არა, იქვე თავში ჩასცხებდენ ჩაქუჩს და სულს გაანთხევინებდენ უბედურებს. მიჰქონდათ სახლში, ყრიდენ საკუჭნაოში რომელიც ყველა იურტას აქვს მიდგმული, იქ იყინებოდა და ქვებივით ეყარა. თუ მეორე დღეს მოხარშვას მოინდომებდენ სახლში, იქ გალხვებოდა და ასე ზამთარში ყოველ დილით ახალი თევზია.

ტბები სექტემბრის პირველიდან იყინება. 5—6-დან იწყება ტბებში ყინულ ქვეშ „კარას“-ების ჭერა. ეს თევზი ორ გირვანქიდან შვიდ გირვანქამდე იწონის. ტბის ბადე ცოტა უფრო სხვანაირია, უფრო განიერი და გრძელი. ტბაზე სჭრიან ყინულს ოთხკუთხედ, ერთი საჟენის სიგანეზე. უშვებენ შიგ ბადის ერთ თავს. თითო-ოროლა საჟენზე რკინის წვეტიან ჯოხით ხვრეტენ ყინულს, უყოფენ შიგ კაკვიან ჯოხს და ოსტატურად ეწევიან ბადეს. ამგვარად ჭიმავენ ყინულ ქვეშ ას საჟენიან და მეტ ბადეს. როცა ბადეს გაჭიმავენ, მერე ალაგ-ალაგ იმავე წვეტიან ჯოხით ხვრეტენ ყინულს, ურჭობენ გრძელ ჯოხებს. ამ ჯოხებს აქნევენ ტბაში და თევზს ერეკებიან ბადისაკენ. მერე იმავე ოსტატობით მიაქვთ ბადის ჩაშვებული თავი მეორე მხრით ამოჭრილთან და ორივე თავს ეწევიან ყინულს ზევით. იაკუტები ისე არიან შეჩვეულნი სიცივეს, რომ გაყინულ ბადეს შიშველი ხელებით ეწევიან. შენ დგეხარ, უყურებ, ხელთათმანებით, შუბით და იყინები. ასე თითო ამოღებაზე ამოაქვთ ასი ფუთი და მეტი. როცა „ხაზინა“ ნაპირთან მოდის, ბადის პატრონი კალათით იღებს. დიდსა და პატარას ჰკიდია ზურგზე ტომრები და მოდიან: უმუშავნია მას, მიუღია რაიმე მონაწილეობა დაჭერაში თუ არა, სულ ერთია ყველა მოსულს უყოფენ თანასწორად. ბადის პატრონი და ისინი, ვინც ბადეს ეწეოდენ წყლიდან, მეტს იღებენ.

ჩვენ, პოლიტიკურები, თუ კი მივიდოდით, იმდენს ჩაჰყრიდნენ ტომარაში, რომ ვერ ვერეოდით. მოგაქვს სახლში, ჰყრი იმავე საკუჭნაოში და იქცევა ქვად, ინახება მთელი ზამთარი. დახოცილი იხვები და ბატებიც იქვე ჰყრია. იხვებსა და ბატებს, დამავიწყდა მეთქვა, ბადითაც იჭერენ. როცა ჭუკები იზრდებიან ჯერ გაფრენა არ შეუ-

ძლიათ. ორი-სამი დღით ადრე გაფრენამდე,—ეს დრო ძალიან კარგად იციან იქაურებმა,—მიდიან, უშვებენ ტბაში ბადეს და ნავებით მირეკავენ მისკენ. თითო დაჭერაზე იჭერენ ასობით და ათასობითაც კი. ეს ადგილები უფრო მოშორებით არის. სთხრიან იქვე ორმოს და შიგ ჰყრიან, რომ არ გაფუჭდეს, შემდებ მიაქვთ მარხილებით.

აქ პოლიტიკაზე და სოციალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან თევზი და ხორცი ყველას აქვს საკმარისად. შეშა რამდენიც გინდათ. ერთი სიტყვით, პირველი მოთხოვნილების საგანი ყველას აქვს. თუმცა მდიდარი და ღარიბი მათშიც არის, მაგრამ ბრძოლის საგანი მათ შორის ჯერ ჯერობით ცოტაა.

ასე ვცხოვრობდით თითქმის ოთხ წელიწადს. ზაფხულში ნადირობა თევზაობა, ზამთარში—წიგნების კითხვა და ჭადრაკი. წიგნი ვილიუსკში ბევრი იყო, ძველი რევოლიუციონერების დატოვებული. აქ პირველად ოთხი წლით ვიყავი გადასახლებული და გაქცევის შემდეგ ხუთი გამიხადეს. მაგრამ ერთი წელიწადი რომანოვების სამასი წლის არსებობის დღესასწაულზე მანიფესტით დამაკლეს.

XX

გავათავე ყაზი 1914 წელს 4 აპრილს. იმ დღესვე გამოვსწიე ტფილისისაკენ. ჩამოვედი იაკუტსკში. დავრჩი იქ ივლისის ოცამდე, რადგან ლენა გაყინული იყო და პირველი გემი მხოლოდ ოც ივლისს მოდიოდა. ხმელეთით იაკუტსკიდან ირკუტსკამდე მოგზაურობა კი არ შეიძლებოდა, რადგან თოვლი დნებოდა, ჭაობები ტალახდებოდა და ზედ გადასვლა შეუძლებელი იყო. სამგზავრო ხარჯს მთავრობა გვაძლევდა. ტფილისში ჩამოვედი აგვისტოს გასულს, 1914 წელს. ჩემი ცოლი თუმცა დაავად-

მყოფებულიყო თამბაქოს ქარხანაში მუშაობით და უჭმელობით, მაგრამ მაინც მუშაობდა, რადგან სხვა სახსარი არ იყო, დამხვდენ სახლში შიშვლები, ტიტვლები, ერთ პატარა ნესტიან ოთახში. მე ისინი ორ ოთახში დავტოვე, მაგრამ მათვის ორი ოთახის ქირის მიცემა, შეუძლებელი იყო და ამისთვის ამ ქოხში გადასულიყვენ.

სახლში ღამე მივედი. კარები, რომ შევაღე, გულზე შემომეყარა: ცოლშვილი ნესტიან იატაკზე ეყარა, როგორც ზემოთ ვთქვი, ნახევრად ტიტვლები. ბავშებმა ვერ მიცნეს, დედას ეკითხებოდენ: „ეს ძია ვინ არისო. „დილითვე პურის ფული მომთხოვეს. გული მომიკვდა. დეპოში რამდენსამე ამხანაგს ვთხოვე, რომ ერთ ათ კაცს ჩემთვის ათი თუმანი ესესხებია—თითოს თითო თუმანი. მათ კი აბაზობით სულ ერთი თუმანი მოეგროვებიათ და მომიტანეს. ეს ფული არ მიმიღია, უკან გავატანე, რომ ისევ დაერიგებიათ მათთვის. დეპოში, რასაკვირველია, „არ მიმიღეს. დეპოს უფროსი სიამოვნებით მიღებდა მხოლოდ ჟანდარმებმა არ გამიშვეს. დავიწყე მუშაობა სახლებზე. სამხატვრო საქმის ხუთი ამხანაგი ვიყავით: მე, ბიბილეიშვილი, ვაშაკიძე, ნარიმანოვი და სხ. დღეში 16 საათს ვმუშაობდით, თუ კი სამუშაოს ვიშოვნიდით. მაგრამ სამუშაო ძნელი საშოვნელი იყო. კვირაში ვაკეთებდით. ხან სამ მანეთს და თუ კარგი მუშაობა გვქონდა.—5-8 მანეთს.

ბავშები სკოლის გარეთ იყვენ დარჩენილი. უფროსი ვაჟი ვიღაც მედუქნესთან იყო თვეში სამ მანეთად. იატაკს აწმედნინებდენ. ცოლი როცა ფაბრიკიდან მოვიდოდა, მშიერ-მწყურვალი, სხვის სარეცხს რეცხდა, პარტიას თვითონ არაფერი ჰქონდა, ჩემ ცოლშვილს რას მისცემდა.

ამ დროს კახეთის რკინის გზა შენდებოდა. ვასო ცაბაძის რჩევით, მივმართე კახეთის რკინის გზის სამმართველოს, რომ სამხატვრო საქმე ჩემთვის მოეცა. დიმიტრი ბაქრაძის დახმარებით ეს საქმე მე მომცეს, მაგრამ რით გინდა იმუშაო: იარაღი მე არა მქონდა და მასალა. ეს ყველაფერი სამმართველომ მომცა იმ პირობით, რომ მერე ნამუშევარიდან გამოერიცხათ. მე უნდა საქმე მომეწყო და მუშები მეშოვნა. მეც დავტრიალდი გავედი ბირჟაზე. არც ერთი ხელოსანი არ გამომყვა. არ ვიცით, ვინა ხარ არ გიცნობთო. წინ და წინ მომთხოვეს ფული. სამმართველომ ტეხნიკოსის ხარიტონოვის ხელით მომცა ათი თუმანი. ამით დავიქირავე მუშები და დავიწყე მუშაობა. ყოველ ღონესა ვხმაროობდი, რომ მუშებს თავის დროზე მიეღოთ ჯამაგირი კმაყოფილნი ყოფილიყვენ. ამ მიზანს მივაღწიე, მაგრამ ძვირად დამიჯდა. ჯერ მე თვითონ ვმუშაობდი დღეში 14-15 საათს, ხანდახან პაპანაქება სიცხეში დილიდან საღამომდე უჭმელი, ვსვამდი მარტო წყალს. ჯერ ფული არ იყო, თუ რამეს ვიღებდი სამმართველოდან, მუშებს ვაძლევდი და ფულიც რომ ყოფილიყო, გზაში რაიმე ხეირიანი საჭმელის შოვნა შეუძლებული იყო. დამემართა ტიფი და ორთვე ნახევარი ლოგინში უგრძნობლად ვიწექი. როცა ცოტა მოვკეთდი, წერილი მივიღე ხარიტონოვისაგან, ჩქარა მოხედე საქმეს თორემ საქმე ფუჭდება და იძულებული ვიქნებით სხვას გადავსცეთო. იქ თუმცა მყავდა ამხანაგი ბიბილეიშვილი, მაგრამ როგორც მერე გავიგე, თავს ვერ აბამდა საქმეს. მეც ჯოხზე დაბჯენილი წავედი სამმართველოში, იქიდან პირდაპირ გამგზავნეს გზაში. აუცილებელია უსათუოდ უნდა წახვიდეო. თუმცა არ შემეძლო, მაგრამ რის იზამ „გაჭივრება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“, ამბობს ქარ-

თული ანდაზა. მეც წავედი. ვნახე საქმე მართლა არეულ-დარეული იყო. მუშებს ჯამაგირი არ მიეღოთ. ჩემი პირველი ცდა იყო მათთვის ჯამაგირის მიცემა.

შევუდექი მუშაობას. ცოლშვილი შევმოვსე, ბავშვები სკოლაში შევიყვანე. ისევ იმ ქოხში ვიდექი. ოთახი ვერ ვიშოვნე. სახლი იყიდებოდა ხუთას თუმნად ხუთ ოთახიანი. მეც ავიღე ვალი და ვიყიდე ეს სახლი. მენშევიკებმა კინაღამ შემჭამეს: შენ „პოდრაჩიკობით“ სახლი შეიძინეო. ზოგი ჩემი პირადი მტრები ახლაც ამბობენ, ვითომ კახეთის გზაზე „პოდრაჩიკობაში“ ფული მოვიგე და იმით სახლი შევიძინე. სახლში მივეცი ხუთასი თუმანი, შემდეგ ეს სახლი ბანკში დავგირავე რომ ვალები გადამეხადა, იქიდან შვიდასი თუმანი გამოვიტანე, ამ ვალს დიდხან ვიხდიდი და როგორც იქნა ძლივს გადავიხადე წვალებით. მართალია, კახეთის გზაზე სამხატვრო საქმის მოიჯარადრედ ვეწერე, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა, რადგან გურჯაანში ჟანდარმებმა უკვე მომიკითხეს და როცა ნახეს, რომ მოიჯარადრედ ვეწერე, გაბრუნდენ უკან.

როცა ომი დაიწყო, მთელი წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია უსურვებდა და მოითხოვდა რუსეთის გამარჯვებას. მე, როგორც სოციალისტი, ჯერ ვიყავი ომის წინააღმდეგი და თუ ჩვენ, სოციალისტები, ომის ხელის შეშლას ვერ მოვახერხებდით, მაშინ ვიყავით რუსეთის მაშინდელი მთავრობის ამ ომში დამარცხების მომხრე. მეგონა ყველა სოციალისტი ასე ფიქრობდა, მაგრამ მოვტყუვდი. მქონდა ლაპარაკი რამოდენიმე ე. წ. სოციალისტთან მე ჩემ აზრს ვადექი, მაგრამ ისინი მხარს უჭერდენ ზემოთ მოყვანილ ბურჟუაზიის აზრს. მახსოვს მხოლოდ ნეს-

ტორ ცერცვაძემ დამიჭირა მხარი. ვიფიქრე, ალბათ. ამათ არ ესმის სოციალისტური მოძღვრება მეთქი.

ჩემი გაკვირვება გამოიწვია რამოდენიმე დღის შემდეგ ომის გამოცხადებიდან ჟორდანიას მოწინავე წერილმა. რომელშიაც ასაბუთებდა ბურჟუაზიის აზრს და ამტკიცებდა: „თუ ამ ომში რუსეთმა არ გაიმარჯვა, რუსეთის პროლეტარიატს, მუშა ხალხს დაღუპვა მოელის“ო. თუმცა ჟორდანიას გავლენისაგან დიდი ხნის გამოსული ვიყავი, მაგრამ მას მე ვთვლიდი სოციალისტად და ამასთანავე დიდად განვითარებულ კაცად. მისი დიდი განვითარება ახლაც მრწამს, მაგრამ რაც შეეხება სოციალისტობას, ამისი კი რა მოგახსენოთ. ამ წერილის შემდეგ ვეკითხებოდით ჩემს თავს: „ნუ თუ ვცდები“. მაშინ არ ვიცოდი არც ლენინი და არც სხვა რომელიმე გამოჩენილი ბოლშევიკის აზრი ამ ომის შესახებ. რასაკვირველია. წინათ, ომის დაწყებამდე ვიცოდი მათი აზრი მაგრამ ამ აზრს ომის წინააღმდეგ ყველა სოციალისტი ეთანხმებოდა. და თუ ამათ შეიცვალეს ვიფიქრე, შეიძლება ჩვენებმაც შეიცვალეს აზრი მეთქი... ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა წავიკითხე, რომ ყველა ბოლშევიკები ომის წინააღმდეგნი არიან და თუ ომი გაგრძელდა, ნიკოლოზის დამარცხების მომხრე ე. ი, „პოროჟენცები“ არიან. თუმცა ზოგიერთი ძველი ბოლშევიკიც იყო „ობორონეცი“. როცა აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს ვანდერველდე საზღვარ გარეთ და აგრეთვე პეტროგადში (ომის დროს ვანდერველდე პეტროგრადში ჩამოვიდა) ურჩევდა რუსეთის მუშებს, ებრძოლათ გერმანიის მუშების წინააღმდეგ ვილჰელმის დასამარცხებლად. ჩვენში ჟორდანია და კომპანია ამ აზრისა იყვნენ. ერთი სიტყვით, ყველა მენშევიკი „ობრონეცი“ გახდა, ბოლშევიკები, წინააღმდეგ

„პროტენტები“ იყვენ, მენშევიკების სურვილების წინააღმდეგ, რუსეთი დამარცხდა. ამან დააჩქარა რუსეთის რევოლიუცია, რომელიც მოხდა 1917 წლის თებერვალ-მარტის დღეებში. ამ რევოლიუციას სათავეში მოექცენ რუსეთში მენშევიკები და ესერები, ჩვენში კი მენშევიკები.

მოხდა რევოლიუცია თუ არა, მე მაშინვე დავდექი დეპოში ჩემ ძველ ადგილზე. მენშევიკებმა ცოტა ხანს საქმე გამიჭირეს. არ უნდოდათ ჩემი დეპოში მიღება, როგორც ბოლშევიკის, მაგრამ ვერას გახდენ (დეპოში ამ დროს პარტიული მუშაობის შესახებ იხილე "რევოლიუციის მატიანე“ ს მესამე ნომერი, 55 გვერდი, ჩემი წერილი). როდესაც ჩვენ უკვე ოფიციალურად ვიყავით მენშევიკებისაგან გამოყოფილი და ჩვენ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური პარტია გვქონდა, მოხდა მენშევიკების ქალაქის თვითმართველობის არჩევნები. ჩვენ ჩვენი სია გვქონდა, ბოლშევიკური, ნომერი 8. მენშევიკების მონოპოლიური პირველი ნომერი იყო. ამ არჩევნებში ჩვენი მხრით თვითმართველობაში შვიდი კაცი გავიდა, სახელდობრ-ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მალაქია ტორეშელიძე, დანიელ შავერდოვი, ათაბეგოვი, არაქელა ოქუაშვილი და მე. მივიღეთ 2.000-სე მეტი ხმა. მმართველობის დიდ უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდენ. მათ შორის დაშნაკცაკანები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. ესენი, ჩვენ გარდა, ყველა ერთი ჯურის ხალხი იყო, ე. ი. ბურჟუაზიის მცველები. მათ ხანდახან შეტაკება მოსდიოდათ ხოლმე, მაგრამ როცა ჩვენ წინააღმდეგ გამოდიოდა რომელიმე პარტია (ეს კი მუდამ იყო), ყველა ერთად შეერთებული ძალით ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა. მაგალითად, ქალაქის თავის თანამდებობაზე წამოყენებული იყო ნიკო ელიავა, ამ დრომდე ბოლ-

შევიკი, ახლა გამენშევიკებული. როცა კენჭი უყარეს, მხოლოდ ჩვენგან მიიღო შვიდი შავი. ჯიბლაძემ კიდეც შეგვნიშნა: „ნუ თუ ერთი მაინც არ შეგცდათ“ო. როდესაც რამე კითხვა სწყდებოდა, ეს შვიდი ხმა ყოველთვის ჩანდა. ერთხელ მიხამ უბრალო კითხვა დააყენა; „ქალაქის საბჭოს წევრობა—ეს ძველია, შევცვალოთ ახალზე, წევრებს დეპუტატები ვუწოდოთო. ამის წინააღმდეგაც გაილაშქრეს მენშევიკებმა და ერთხმად, შეხმატკბილებულად მივიღეთ შავები, შვიდის გარდა, და ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, ჩვენი რაიმე სერიოზული კითხვის გათეთრება რანაირად შეიძლებოდა.

დამოკიდებულება ჩვენსა და მენშევიკებს შორის, რო გორც თვითმართველობაში, ისე გარედ, ძალიან გამწვავდა. მოხდა აგრეთვე ქალაქის მუშათა საბჭოს არჩევა. მენშევიკებმა ბევრი ხრიკი იხმარეს, არაფერი არ დაუზოგავთ: გინება, ლანძღვა, ციხე, ხიშტი, მაგრამ არაფერმა არ უშველა ერთი მესამედი მაინც ჩვენ გავედით. რა გაეწყობოდა, ფაქტის წინაშე დადგენ. მაგრამ აქ ძალა იხმარეს და საბჭოს კრებაზე არ შეგვიშვეს. ფილიპე თავის ჯოხით ძალით შევარდა, სიტყვა წარმოსთქვა. რას გახდებოდა. თოფები და ხიშტები მენშევიკებს ჰქონდათ. იძულებული გავხდით თვითმართველობისათვისაც თავი დაგვენებებია გადავედით იატაკ ქვეშ, არალეგალურ მუშაობაზე.

XXI

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც თებერვალის გადატრიალება მოხდა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ბოლშევიკი ამბობდა რომ ახლა ჩვენსა და მენშევიკებს შორის წაიშალა ყოველივე უთანხმოებაო.

ამან მომაგონა 1905 წლის რევოლიუცია, როდესაც ს. ჯიბლაძე ეუბნებოდა ბოლშევიკებს; „რაღათ გინდათ თქვენ იარაღი, ბომბები და თოფები ამის შემდეგ, ხომ ხედავთ, თავისუფლება მივიღეთო“. მაგრამ 1905 წლის შემდეგ სწორეთ იმავე ჯიბლაძის ხელმძღვანელობით გამოდგა საჭირო ის ბომბები და იარაღი.

მალე, 1917 წელს, გამოირკვა, რომ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის უფრო დიდი ზღვარი იყო, ვიდრე ფარული მუშაობის დროს. რადგან მენშევიკებმა თავისუფლების დროს უფრო თვალსაჩინოთ გამოამჟღავნეს წვრილ-ბურჟუაზიული სულისკვეთება. მათთან ერთად მუშაობა შეუძლებელი შეიქ ნა. ჩვენ მაშინვე დავიწყეთ მუშების ცალკე მოგროვება რკინის გზებზე.

ტრაბახობაში ნუ ჩამომართმევთ და ხელმძღვანელად მაშინ რკინის გზაზე არაქელა და მე ვიყავით. ვაგროვებდით მუშების ცალკე ჯგუფებს და ვუხსნიდით მათ, თუ ვინ იყვენ ბოლშევიკები და მენშევიკები.

ჩვენ წინააღმდეგ მენშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა. ყოველ საშუალებას მიმართეს, რომ ჩვენი პარტიისათვის სახელი გაეტეხათ, იქამდე მოწამლეს მუშები, რომ როცა მე და არაქელა გავივლიდით მთავარ სახელოსნოში, ზოგიერთი მუშა ამბობდა: „ამათ ნავთი უნდა გადაასხა და დაწვაო“.

თანდათანობით გამწვავდა დამოკიდებულება ჩვენსა და მენშევიკებს შორის. ერთად ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა და ჩვენც დავიწყეთ ცალკე პარტიის წევრების აღრიცხვა.

ეს პირველად მოხდა ივნისში თუ ივლისში, კარგად არ მახსოვს, მხოლოდ 1917 წელს კი იყო. ამ კრებაზე იყვენ მიშა ოკუჯავა, მალაქია ტოროშელიძე, არა-

ქელა, გ. ლელაშვილი, გ. ჩხეიძე, სტეფანე ზაქარაძე, ციმაკურიძე, და სხვები. ჩამოვიწერეთ ამხანაგები, დავწერეთ ასამდე პარტიული ბილეთი და დავურიგეთ. ამხანაგები, დავწერეთ ასამდე პარტიული ბილეთი და დავურიგეთ.

როცა დაინახეს მენშევიკებმა, რომ ჩვენ არა ვხუმრობდით და მომხრეები ბევრი ვიშოვეთ, მოვიდენ ჩვენთან—ჩემთან და არაქელასთან—მენშევიკების მიერ გამოგზავნილი ალექს. დგებუაძე და ვლადიმერ ჯიბლაძე მოსალაპარაკებლად.

ჩვენმა მოლაპარაკებამ ექვს საათს გასტანა. ლაპარაკი იყო მორიგებაზე და ერთად მუშაობაზე. მათ თავიანთი აზრი გამოსთქვეს, ჩვენ-ჩვენი· ორი მოპირდაპირე მხარის მორიგება შეუძლებელი იყო და, რასაკვირველია, ჩვენ ისინი ვერ დავარწმუნეთ, რომ ჩვენი აზრი სწორეა, თავის მხრით არც ისინი გვეთანხმებოდენ ჩვენ,

ჩვენი მოლაპარაკება ჩხუბით დამთავრდა. ალ. დგებუაძემ და ჯიბლაძემ ასე გვითხრეს: „მარტოკა არაქელა და ჩხეიძე არ წარმოადგენენ მუშებს, ჩვენ მუშებს მივმართავთ“-ო. ჩვენც ასე მოვახსენეთ: „გზა ხსნილი გახლავთ“.

ამით დამთავრდა ჩვენი მოლაპარაკება. ჩვენ ჩვენი გზით წავედით, ისინი თავისით. ამის შემდეგ ჩვენ გამოუშვით ჩვენი გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“.

ფილიპე მახარაძე და მალაქია ტოროშელიძე ქართულ გაზეთს ხელმძღვანელობდენ, რუსულს კი ს. ქავთარაძე, ხოლო სამივე ერთად ორივეს. მათთან მუშაობდენ: ლადო დუმბაძე, ს. თოდრია და ვ. ბოლქვაძე.

ცოტა ხნის შემდეგ სომხურად იწყო გამოსვლა გაზეთ „ბანვორიკრივ“-მაც.

სტამბის შოვნა ძალიან გაგვიჭირდა. ბოლოს ვიყიდეთ საკუთარი სტამბა მიხაილოვის ქუჩაზედ, 90.000 მ.

რადგანაც ჩვენ პარტიას მაშინ მენშევიკები სდევნიდენ და არ შეიძლებოდა აშკარათ სტამბის ყიდვა, ვიყიდეთ ექიმ ამბ. პოლიკო კიკალეიშვილის სახელზე.

ეს უკვე 1918 წელი იყო.

სტამბას განაგებდენ და შიგივე მუშაობდენ; ს. თოდრია, ლ. დუმბაძე, ვ. ბოლქვაძე და სხვები. ამ სტამბას დიდხანს არ უარსებებია მენშევიკების წყალობით. ერთ დილით ჩვენთან დეპოში, 1918 წლის თებერვალში, მოვიდნენ ს. თოდრია და ვ. ბოლქვაძე და გვითხრეს, რომ მენშევიკებმა სტამბა დაგვიბეჭდესო.

ჩვენ მაშინვე წავედით მთავარ სახელოსნოში და გავაგებინეთ ეს ამბავი მუშებს. მოხდა მიტინგი, მიტინგის შემდეგ კი—საპროტესტო გაფიცვა. როცა გაფიცულმა მუშებმა მოინდომეს სახელოსნოდან გამოსვლა, მენშევიკების გვარდიელებმა ჩაკეტეს კარები, მაგრამ მუშებმა გამოგლიჯეს კარები და გამოვიდენ. იქვე იყვენ ჩასაფრებული გვარდიელები. მუშებმა მიმართეს სიტყვით გვარდიელებს და იმათაც წინალმდეგობა აღარ გაუწევიათ. იქვე იდგა ვაგონები ჯარით, რომელთაც ამბ. მჟავანაძემ მიმართა სიტყვით.

ალაგ-ალაგ გაიმართა მოძრავი მიტინგები. იმ ღამესვე გადაწყდა—გამართულიყო მიტინგი ალექსანდროვის ბაღში ყველა რაიონის მუშებისაგან. არ არის მართალი გაზ. „მუშა“-ში მოთავსებული ცნობა, რომ ალექსანდროვის ბაღის მიტინგს მეტყავეთა კავშირი ხელმძღვანელობდა. მიტინგს ხელმძღვანელობდა სახელდახელოთ არჩეული გაფიცვის კომიტეტი, რომელიც იკრიბებოდა ავლაბარში, აკოფოვთან (რასაკვირველია, გაფიცვაში მეტყავეებიც იღებდენ მონაწილეობას). გადაწყვეტილება გამომდინარეობდა ფ. მახარაძისაგან.

ს. შაუმიანი ს. ქავთარაძე. მ. ტოროშელიძე. ლ. დუმბაძე, ს. თოდრია, ბოლქვაძე, არაქელა, ოკუჯავა და სხვები იკრიბებოდენ ამხ. ხანოიანთან, რომელიც მონაწილეობას იღებდა გადაწყვეტილებაში (ამხ. შაუმიანი იმალებოდა მაშინ ამხ. ხანოიანთან.)

ეს გადაწყვეტილება მოყავდა სისრულეში გაფიცვის კომიტეტს. ამ კომიტეტს ჰქონდა სხდომა იმავე აკოფოვთან, ავლაბარში. ალექსანდროვის ბაღის ამბების წინა ღამეს და დილით, სანამ ბაღში შეიკრიბებოდა მიტინგი.

ამ კომიტეტში შედიოდნენ უმთავრესათ რკინის გზელები.

მიტინგზე თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. ქავთარაძე. ილაპარაკა ბევრმა ამხანაგმა. როცა ამხ. ცერცვაძე ლაპარაკობდა, ამ დროს მოვიდენ გვარდიელები და ჯარი ოფიცერ იმნაძის ხელმძღვანელობით, წითელი დროშით. იმნაძე ხელით აჩვენებდა, განაგრძეთ მიტინგიო· ვილაცამ დაიძახა;" ნუ გეშინიათ, ჩვენებიაო".

უეცრათ ბარიატინსკის ქუჩიდან კარების შემოსალთან დადგეს ტყვია-მფრქვეველები. დავინახეთ გვარდიელები, რომლებიც წავიდენ იმავე კარების შემოსავლიდან, ღობის პირად, წელში მოხრილნი, და ამოეფარენ ხეებს. ეს მოხდა რამოდენიმე წამის განმავლობაში. უეცრად გაუფრთხილებლად დაუწყეს მიტინგს სროლა როგორც ეტყობოდათ, მიზანში ამოიღეს თავჯდომარე ს. ქავთარაძე. მოჰკლეს მის გვერდში მდგომი სტუდენტი და, რასაკვირველია, ბევრი სხვებიც.

მე ამის წერას დაწვრილებით არ შეუდგები, მხოლოდ აღვნიშნავ ორ შემთხვევას, რომელიც ახლა თვალწინ მიდგას.

როდესაც ჩვენ ხის ძირებში ვიყავით მიწოლილნი და

ტყვია-მფრქვეველისა და თოფების გაცხარებული სროლა იყო, ამ დროს ლ. კიკალეიშილისა დარბოდა ბაღში, დაეძებდა ამხანაგებს.

— რა დროს სირბილია,—დავუძახე მე.—ამოეფარეთ ხეს.

როცა სროლა ცოტათი შეწყდა, მეც გაველი ბაღიდან და დავინახე მტვერში ამოსვრილი ფ. მახარაძე ელაპარაკებოდა არაქელას:" ნუ თუ ახლაც ვერ დაინახავენ, რომ მენშევიკები ზოლალატენი არიან"-ო.

ფ. მახარაძე არაქელამ შეიყვანა ოქოევის ავეჯის მაღაზიაში, მე კი წავედი დურგლიშვილთან.

XXII

ამ დღიდან უკვე იძულებული შევიქენით ფარული მუშაობა დაგვეწყო.

ამის შემდეგ „კრაევი კომიტეტი"-ს ნაწილი გადაბარგდა კავკავში. მე და ფილიპე წავედით ცხინვალზე, ოსეთზე რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობა აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან თითქმის მთელი ამ გზის გასწვრივ დაძრწოდენ მენშევიკების ჯაშუშები.

ზემოთ ვთქვი, რომ „კრაევო კომიტეტის" ნაწილი კავკავში გადავიდა მეთქი ეს გარემოება გამოიწვია მენშევიკების რეპრესიების გაძლიერებამ. საკითხი გადაბარგების შესახებ დაისვა 1918 წლის მაისში და გადასწყდა კიდეც.

იმ დროს ხმა დადიოდა, რომ საქართველოში უნდა შემოსულიყო გერმანელების ჯარი მენშევიკების თანხმობით. როგორც ვიცით, ეს ხმა მართალი გამოდგა და ვილჰელმის ჯარი მალე შემოვიდა საქართველოს საზღვრებში,

იმას მოგახსენებდით, ნაწილი აქხანაგებისა დარჩა

ტფილისში, ნაწილი კი წავიდა საქართველოს სამხედრო გზით ძაუგში, კავკავში. მე, ფილიპე მახარაძე და აკოფიანცი წავედით გორიდან ოსეთზე, რადგან ამ გზით წასვლას, გარდა იმისა, რომ უფრო უშიშარი იყო, სხვა მიზანიც ჰქონდა, სახელდობრ ის, რომ სწორეთ მაშინ ჯავაში მოწვეული იყო ოსეთის ყრილობა. ამ ყრილობის ხელში ჩაგდება განიზრახა „კრაევოი კომიტეტმა“ რის სისრულეში მოყვანა მიენდო ფ. მახარაძეს და მე. ჩვენ გავედით ტფილისიდან მაისში, სწორდ იმ დღეს, როდესაც მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებდენ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის წყალობით. ცხინვალამდე კარგათ ვიმგზავრეთ, მაგრამ ცხინვალს შემდეგ ვერ ვიშოვეთ ვერაფერი სამგზავრო. ვიკითხეთ მანძილის რაოდენობა ჯავამდე. ზოგმა გვითხრა შვიდი ვერსი, ზოგმა—თორმეტი. გადავწყვიტეთ ფეხით წასვლა. შევუდექით გზას, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს შვიდი და თორმეტი ვერსი გადაიქცა რცდახუთად. ვშიშობდი, რომ ფილიპე ვერ შესძლებდა ამ გზის გავლას, მაგრამ იგი ჩემზე ყოჩაღი გამოდგა. რა ვიცოდით, რომ ჯავას შემდეგ უარესი მოგველოდა.

როგორც იყო, შუალამისას მივედით ჯავაში. იქ გვინდოდა მივსულიყავით სიხარულიძესთან, რომელიც კომიტეტის მიერ იყო გაგზავნილი სამუშაოდ, მაგრამ შემოხვევით წავაწყდით ჩვენ ამხ. გაგლოევის სახლს. თვითონ შინ არ იყო, მაგრამ მისმა დამ და ძმამ იცნეს ფ. მახარაძე და მიგვიღეს დიდი ზეიმით, და დიდი პატივიც გვცეს. ჩვენთან იყო ამხ. აკოფიანციც. გაგლოევის სახლში დავრჩით ოთხ დღეს. თუმცა ყრილობა მენშევიკური არ იყო, მაინც, შიშის გამო, აშკარად ჩვენი მხარის დაჭერას ვერ ბედავდენ. ამ ყრილობაზე ჩვენი მხრიდან არავინ

გამოსულა. ისე ვახდენდით კრებებს და დირექტივებს, დარიგებებს აძლევდა ფ. მახარაძე. ეს იმ დროს იყო, როცა ოსები ახალი დარბეულნი იყვნენ ჯუღელისაგან. ყრილობა დამთავრდა შიშის ქვეშ მენშევიკების სასარგებლოდ. მე და ფილიპე შევუდექით კავკავის გზას. აკოფიანცი ჩვენთან აღარ წამოსულა, რადგან ავად გახდა და ტფილისში დაბრუნდა.

დამავიწყდა ზემოთ მეთქვა, რომ ფილიპე ისე იყო გაპარსული, მე თვითონ ვერ ვცნობდი. ვისაც ფილიპე უნახავს, იცის, რომ იგი გრძელ წვერებს ატარებს და როდესაც ვნახე პირველად ტფილისში წვერ-ულვაშ გაპარსული, კეპკით თავზე, მართლა რომ ძნელი საცნობი იყო.

ფილიპე შეჯდა ჯორზე, მე ერთ ჯანდაკ ცხენზე და გავყევით ერთ ოსის მღვდელს, რომელსაც ჩაგვაბარა გაგლოევის მამამ. ეს მღვდელი მიდიოდა ნარში სიმინდის სასყიდლად. ის იყო ჩვენი გზის მაჩვენებელი.

როგორც იყო მივედით ჯომახში. იმ ღამეს იქ დავრჩით, მაგრამ ვაი იმ დარჩენას, წარმოუდგენელი უსუფთაობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაღლილები ვიყავით და გვესაჭიროებოდა დასვენება, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ, რადგან ჩვენ მასპინძელს ახალი სიძე მოუვიდა და ქეიფი გაიმართა. მოიტანეს ტიკით არაყი, დაკლეს ბატკანი და შეუდგენ ვახშმის კეთებას. მოგროვდენ მთელი იქ ახლო-მახლო მცხოვრები ხნიერი ოსები, ფილიპე დასვეს სუფრის თავში, მე მის გვერდით. დაასხეს ყანწში არაყი და მიართვეს ფილიპეს. მას, რასაკვირველია, ამ არყის დალევა არ შეეძლო. თავის ყანწს მომაწოდებდა ხოლმე მე, მაგრამ დალევა შეუძლებელი იყო. ფილიპემ მიმართა იქ მყოფთ სიტყვით, რომელთაც

მღვდელი უთარგმნიდა. შემდეგ, როდესაც შეზარხოშდენ, ჩვენზე ეჭვი შეიტანეს და სთქვეს: ესენი ალბად მენშევიკების გვარდიელების ჯაშუშები არიანო.

შეუდგათ ჩოჩქოლი, დავხოკოთ თუ რა ვუყოთო. მღვდელიც ცოტა ეშმაკი გამოგვადგა, სწორ ამბავს არ გვეუბნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოკვლას გვიპირებდენ, პატივს მაინც დიდათ გვცემდენ. თუ მე ან ფილიპე ფეხზე ავდგებოდით, მაშინვე ყველანი წამოიჭრებოდენ და სანამ ჩვენ არ დავჯდებოდით, არც ერთი მათგანი არ დაეშვებოდა თავის საჯდომზე. ბევრჯერ მოგვინდა ადგომა, მაგრამ აღარ ვდგებოდით. არ გვინდოდა მთელი ჯამაათის აშლა.

ამ ჩვენმა ნადიმმა ღამის პირველ საათამდე გასტანა.

დასაძინებლად შეგვიყვანეს რაღაცა სახლზე მოდგმულ შენობაში და თუმცა ძალაზე მოქანცულები ვიყავით, იმ ღამეს მაინც არ დაგვიძინია და არც ერთმანეთისათვის გვითქვამს რამე, ვიწექით იატაკზე გაჩუმებულნი, თვითეული ჩვენგანი საკუთარ ფიქრებში გართული. რამდენიმე კაცი შემოვიდა იმ ღამეს და დაგვათვალიერა. როგორც იყო გათენდა. მე და ფილიპემ ერთმანეთს გადავხედეთ და ვსთქვით: „მგონი გადავრჩითო“.

XXIII

შევუდექით ჯომახის უღელტეხილის გადასვლას. ავდიოდით სულ მაღლა და მაღლა, ხან ღრუბლებში შევიმალებოდით. მერე ავცდებოდით ღრუბლებს, გავიდოდით მზეზე. ამ უღელ-ტეხილზე ასვლას მგონი კედელზე აცოცება სჯობია. ხან მე ვარ წინ, ხან ფილიპე. ბევრი ვაი-

გლახის შემდეგ ავედით მწვერვალზე, საიდანაც დავეშვით ნარისკენ. ავედით თუ არა მაღლა, დაუბერა ცივმა ქარმა და ჩავცვივდით წელამდე თოვლში. ნუ დაგავიწყდებათ, ეს იყო მაისის უკანასკნელ რიცხვებში. ისე დავიქანცენით, ფეხები აღარ გვემორჩილებოდა, მაგრამ გაგვამხნევა ერთმა შემთხვევამ.

მაშინ, როდესაც ჩვენ ჩვენი თავების ტარება გვიჭირდებოდა, დავინახეთ ამავე მთაზე ამოსული გლეხები, რომლებსაც მხრებზე ეკიდათ სამ-სამ ფუთიანი ტომრები სიმინდით და მიჰქონდათ ნარიდან ჯომახში. ჯომახში, როგორც კალიმსკში, პური არ მოდის. ასე ზურგით გადმოაქვთ თავიანთი საზრდო. მათმა ტანჯვამ ჩვენც შეგვაწუხა, მაგრამ სამაგიეროდ გაგვამხნევა. როგორც იყო, ჩავედით სოფელ ნარში. აქ უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო, უკეთ რომ ვთქვათ, არავის უფლება, გარდა ვიღაც კომისრისა. იქაც ეჭვის თვალით დაგვიწყეს ცქერა. დატუსაღებაც კი მოგვინდომეს. ფილიპე მათ დაემუქრა —საბჭოთა კომისრებს ვაცნობებო. მაგრამ ეს დამუქრება მაშინ, მგონი, ლოიდ-ჯორჯზე უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე ნარის კომისარზე მოახდინა.

მივმართეთ ხრიკებს. სამხრეთ ოსეთში რომ ყრილობა იყო, ეს იქაც იცოდენ. ამან გამოგვიყვანა გაჭირვებიდან. ფილიპემ უთხრა: „სამხრეთ ოსეთის ყრილობაზე გადაწყდა, რომ კავკავიდან ჯომახზე გზა უნდა გავიდეს. ჩვენ დელეგატები ვართ და მივდივართ კავკავში ამ საქმის შესახებ“-ო. ამ ამბავმა ისინი ძალიან გაახარა, დააავიწყებინა თავიანთი განზრახვა, მოგვცეს ღამის გასათევი ბინა და იმ ღამეს იქ დავრჩით. მეორე დღეს ვიქირავეთ „ტაჩკა“, ჩავსხედით შიგ და გავუდექით გზას.

ძნელია შეუჩვეველი კაცისათვის ამ გზით მოგზაურობა.

წინ და უკან უზარმაზარი თვალუწვდენელი ციცაბო კლდეები, გვერდებზე ბუმბერაზი მთები და, წარმოიდგინეთ, მათ შუა წვრილი გველივით დაკლანკული გზა, რომელსაც გვერდით მისდევს აქაფებული, მოუსვენარი არდონი, და შენც ამ გზაზე სადღაც ობობასავით მიბობღავ.

ვისაც არ გამოუცდია, ვერ წარმოიდგენ რმ სიხარულის და სიამოვნების გრძნობას, რომელიც განვიცადეთ ჩვენ ვაკესთან მიახლოებით და სწორ გზაზე გასვლით. მე რომ მხატვარი ვიყვე, აუცილებლად დავხატავდი იმ სურათს, რომელიც ვიგრძენით იმ მთებში გამოძრომის დროს. ამ გზის უბედურებას თან დაერთო ჩვენი მეტაჩკის უცნაური ინფორმაცია. საცა მოსახვევს მივადგებოდით,—ეს მოსახვევი კი ყოველი ფეხის გადადგმაზე იყო,—გვეუბნებოდა, აქ კაცი მოკლეს, აქ გაცარცვესო და სხვა. მაგრამ ჩვენ ისე ჩავედით კავკავში, რომ ყაჩაღები არა თუ არ გვინახავს, მათ შესახებ არც კი გაგვიგია რამე.

ისეთი კაცი არ შეგვხვედრია არც სოფლებში და არც გზაში, რომელიც „ვინტოვკით“ არ ყოფილიყოს შეიარაღებული.

ჩავედით კავკავში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება იყო. ამ ხელისუფლებაზე ჩვენ უფრო დიდი წარმოდგენა გვქონდა, ვიდრე მაშინ იქ იყო. მოკლეთ ასეთი იყო: კომისარიატის თავმჯდომარედ იყო ამხ. ბუაჩიძე—ძალიან ჭკვიანი კაცი და აგრეთვე ძველი ჯარგი კომუნისტი, სასურსათო კომისარიატის კომისარი—ელერდაშვილი, შინაგან საქმეთა—ფიგატნერი, სამხედრო კომისარი—ბუ-

ტირხინი, ფინანსთა—ანდრეევი. პარტიის წევრი სულ 70 კაცი იყო. იყო წითელი ჯარიც.

ყველაფრის ხელმძღვანელი იყო კომისარიატის თავმჯდომარე ამხ. ბუაჩიძე და მას დიდი გავლენაც ჰქონდა. უნდა აღვნიშნო, რომ ეს გავლენა სამართლიანად ჰქონდა მოპოვებული, რადგან შესანიშნავი ამხანაგი იყო ყოველმხრივ, როგორც ცოდნით, შეგნებით, ისე გაბედულებით. იქ მას ლენინს ადარებდენ და მართლა რომ დიდი ტვინის პატრონი უნდა ყოფილიყო კაცი იქ იმ დროს, რომ ერთმანეთთან მოერიგებია იმდენი სხვა და სხვა ეროვნების ხალხი, რამდენიც ჩრდილოეთ კავკასიაში: ქისტები, ლეკები, ჩეჩნები, ოსები, ყაბარდოელები, ყაზახები და კიდევ ვინ იცის, რამდენი. ყველა ამათ სათავეში ედგა ამხ. ბუაჩიძე და ამ ეროვნებებს თავისი დაუშრეტელი ენერგიით არიგებდა ერთმანეთში. მის სიძლიერეს გრძნობდენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები და ეს არ ასვენებდა მათ. გადასწყიტეს მტრებმა მისი თავიდან მოშორება. ჯერ სხვა პოლიტიკას აწარმოებდენ, უნერგავდენ ხალხს ნაციონალურ შუღლს: „ის ქართველია, რათ უნდა იყვეს აქაო“. მაგრამ ვინაიდან ამ ხრიკებმა ვერ გასჭრეს, მიმართეს უფრო სასტიკ საშუალებას და ეს საშუალება იყო მოკვლა ამხ. ბუაჩიძისა, რაც მოიყვანეს კიდეც სისრულეში.

მისი ავადმყოფობის დროს, როცა იგი ლოგინში იწვა, შეტაკება მოუხდათ ყაზახებსა და ქისტებს. ამ ამბის გაგებისთანავე ამხ. ბუაჩიძე ადგა ლოგინიდან და გაემგზავრა მათ მოსარიგებლად, და სწორედ იქ, ავტომობილიდან გადმოსვლის დროს ესროლეს და მოჰკლეს იგი.

გადმოასვენეს საქართველოში. ყაზბეგში მენშევიკე-

ბის ჯაშუშებმა ამ დიდებული კაცის კუბოც კი გაჩხრიკეს.

ამის შემდეგ დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში შეტაკებები, უკვე დადიოდა ხმები, რომ ყაზახები კავკავის ასაღებად ემზადებიანო.

1918 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიის ყრილობა იყო. ამ ყრილობაზე უნდა შემდგარიყო ახალი მთავრობა, მაგრამ დიდმა განხეთქილებამ იჩინა თავი ყრილობაზე, რასაც მოჰყვა ყაზახების მიერ კავკავის აღება.

6 აგვისტოს ღამის თორმეტ საათზე მოვიდა ს. ქავთარაძე ამ ყრილობიდან (ჩვენ ვცხოვრობდით შტაბის წინ „გრანდ ოტელ"-ში) და მითხრა, რომ კარგი ამბავი არ არისო. საათის ორზე დავიძინეთ. ის თავის ოთახში წავიდა, იქვე გვერდზე იდგა. საათის ხუთზე დილით მოისმა კანტიკუნტათ თოფების სროლა. ირიჟრაჟა კიდეც, გავიხედე ფანჯარაში და დავინახე ყოველ ხესთან ამოფარებული ყაზახი ალექსანდროვის ქუჩაზე. ვინც კავკავში ყოფილა, უნახავს ალბად იქ, როგორ არის ხეები ჩარიგებული მწკრივად.

ესროდენ შტაბს. საათის ათზე დილით გამოირკვა, რომ შტაბის ქვემოთა ნაწილი ეკავათ ყაზახებს, ხოლო ზემოთა—ჩვენებს.

ასტყდა საშინელი სროლა. სთქვეს, რომ ყაზახებმა აიღეს შტაბიო. ჩვენ ვისხედით „გრანდ ოტელ"-ში ჩამწყვდეულნი და ველოდით სიკვდილს: ან ეხლა შემოვლენ და აგვიგებენ წესს, ან ეხლაო.

„გრანდ ოტელის" წინ ერთი პატარა ბაღია. ამ ბაღში დავინახეთ მწოლარე რამდენიმე ჩასაფრებული წითელი არმიელი, ესროდენ ხეებზე ამოფარებულ ყაზახებს.

ეს იყო უკვე დილის 11 საათზედ. რამდენიმე ყაზახი წაიქცა განგმირული წითელ არმიელის ტყვიით, ველარ გაუძლეს ყაზახებმა წითელ არმიის თავდადებულ ბრძოლას, შედრკენ და გაიქცენ. ნახევარი საათის განმავლობაში უკვე აიღეს ჩვენებმა შტაბიც და თვით კავკავიც. ჩვენ— გვეგონა ამით გათავდა ყველაფერი. „გრანდ ოტელი“ დაიკავა წითელმა ჯარმა. გავედით ქუჩაში. ყოველ ფეხის გადადგმაზე ეგდო დაჭრილი, როგორც ერთი მხრივ, ისე მეორე. ზოგიერთი დაჭრილთაგანი საცოდავად იკრუნჩხებოდა. რამდენიმე ალაგს გაჩნდა ცეცხლი. იმ დღეს ვნახეთ ერთმანეთი თითქმის ყველა ამხანაგებმა. ზოგი დარჩა შტაბში. მათ შორის იყო კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, საშა გეგეჭკორი და სხვები. ს. ქავთარაძე წავიდა ფილიპესთან. დანარჩენი წავედით ოთახებში.

მეორე დილით ისევ ყაზახები იყვენ კავკავის ბატონ-პატრონი. ახლა უკვე აღარ ვიცოდით ვინ სად იყო. ფილიპე წაიყვანეს ესერებმა, ვითომ როგორც დატუსაღებული. მე და ს. ქავთარაძე ვიყავით ლომინაძესთან, რადგანაც იმას ყაზახები არ ერჩოდენ, როგორც მენშევიკების წარმომადგენელს. მოვიდნენ იქ ვიღაცები, დაეძებდენ ს. ქავთარაძეს, ცოტა ამან თმები ყალყზე დაგვიყენა მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ისინი ესერები იყვენ და უნდოდათ ქავთარაძის წაყვანა დასამალავად. წაიყვანეს კიდეც, ჩაიყენეს შუაში, როგორც ტუსაღი.

ამის შემდეგ თერთმეტი დღის განმავლობაში არ ვიცოდით, ვინ მკვდარი იყო, ვინ ცოცხალი. ამ თერთმეტ დღე-ღამეში განუწყვეტელი სროლა იყო ზარბაზნებისა, ტყვია მფრქვევებისა, ყუმბარებისა, თოფების, რევოლვერების და ყველაფრის იმის, რითაც სროლა შეიძლება— ხალხის გასაჟლეტად. იწვებოდა სახლები, ინგრეოდა ქუ-

ჩები, ხოლო შენდებოდა ბარიკადები. სროლა იყო ყოველი მხრიდან. საძაგელ მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ, რომლებიც მომწყვდეულები დავრჩით. წინასწარ გამოვეთხოვეთ ამ ქვეყანას. ყოველ წუთს მოველოდით: აი მოვლენ, გაგვიყვანენ და დაგვხვრეტენ. როგორც ზემოთ — ვთქვით, ჩემ მასპინძელს ლომინაძეს არ ერჩოდენ ყაზახები; გროვდებოდენ მის ფანჯრის წინ და მსჯელობდენ. ქალაქი მათ ხელში იყო. მხოლოდ, როგორც ეტყობოდა მათ ლაპარაკს, მუშების უბანში „მალაკნის სლობოდკა"-ში ვერ შევიდნენ. ყაზახები ამბობდნენ, რომ „სლობოდკაში" რამდენიმე ჩინელია, 5-10 კაცი, ჩასაფრებული და ვერაფერი მოუხერხეთო. ჩვენ ეს არ გვჯეროდა, როგორ შეეძლო 10 ჩინელს მთელი ყაზახების ჯარის დამაგრება. შემდეგში გამოირკვა, რომ იქ არა თუ ათი ჩინელი არამედ მუშები იბრძოდენ თავიანთი ცოლშვილით, ჰქონდათ საუკეთესო ბარიკადები, რომლების იერიშით აღება მოიწადინეს ყაზახებმა, მაგრამ უნაყოფოდ, ვერაფერი ვერ მოახერხეს. ისეთი თავდადებით იბრძოდენ ამ მუშათა უბანში ჩინელები, რომ ყაზახები განცვიფრებაში მოვიდენ და ამბობდენ: „რა ხალხია ეს ჩინელები, ვერ გავიგეთ"-ო.

ასეთი შემთხვევა იყო. დატყვევებულ ჩინელს შეეკითხნენ: „რას სჩადიხართ". „კაზაკოვ ბიომ". „რომ დაგხვრიტოთ?" კვლავ შეეკითხნენ ყაზახები. „ადინ კონეც!" —იყო პასუხი.

ხალხი ისე შეეჩვია სისხლს, აღარაფრად აგდებდა. საღამოობით ქალები გასართობად გროვდებოდენ ეზოში და გასროლილ ყუმბარებს სთვლიდენ. ერთხელ გასროლილი ყუმბარების რაოდენობაზე ჩხუბიც კი მოუვიდათ.

ყველა დარწმუნებული იყო ყაზახების საბოლოოდ

გამარჯვებაში. აღარც ჩვენ შეგვდიოდა ეჭვი, რომ დროებით ისინი იყვენ გამარჯვებული.

მაგრამ მეთერთმეტე ღამეს ვაგზალთან არაჩვეულებრივი სროლა ასტყდა. ხმა მოვიდა ჩვენამდე—ბოლშევიკები ისვრიანო, ამან ცოტა იმედი ჩამისახა გულში. დილით, ირიჟრაჟა თუ არა, როცა ცოტა სროლა შენელდა, გავიჭვრიტე ფანჯარაში ქუჩისკენ: სიცალიერე იყო, არ ჩნდა სულიერი ადამიანი, გარდა დახოცილებისა. გაიარა რამდენიმე წამმა და დავინახე ლადო დუმბაძე, თოფით მხარზე გადაკიდებული, აქეთ-იქით იცქირებოდა ფანჯრებისაკენ, ალბად ელოდა, ვინ მესვრისო და გარბოდა გაცხარებული. ერთიც ვიღაც უკან მისდევდა. ეს ორი კაცი სჩანდა ამ წუთს ცოცხალი მთელი როსტოვის ქუჩის სივრცეზე. მინდოდა დამეძახა, მაგრამ მალე მიიმალა. მე ისე გამახარა ამ სანახაობამ, არ ვიცოდი რა მექნა. ლადოს დანახვა ამ დილით ამ ქუჩაზე თოფით ხელში გამარჯვებას ნიშნავდა; თუ არა გამარჯვება, ის აქ ვერ გაივლიდა.

XXV

ყველასთვის გასაგებია, როცა კაცს სიკვდილი სიცოცხლით ეცვლება, თუ რა ძვირფასი განძია ეს.

ეს ამბავი მაშინვე ვახარე ჩემ მასპინძელს, რომ კავკავი უკვე ჩვენებს აუღიათ მეთქი. არ დაიჯერა: „შეუძლებელია“-ო.

მაგრამ როცა ლადოს ნახვის ამბავი გადავეცი, მაშინ კი დაიჯერა, რომ ყაზახების საქმე ცუდათ იყო. სწორედ ლადოს გავლის შემდეგ გაიმართა ამ ქუჩაზე სროლა. ისროდენ ბაზრის მხრიდან ყაზახები, ხოლო ვაგზლის —ბოლშევიკები.

სწორეთ ჩვენ სახლის წინ მიტიკის საავადმყოფო იყო, სადაც წინა დღეებშიაც მოჰყვანდათ დაჭრილები,

მაგრამ იმ დღეს მაინც აუარებელი დაჭრილი მოიყვანეს. საავადმყოფოდან დაჭრილების მისაღებად, გამოვიდა მოსამსახურე ქალი, რომელიც გზადაკარგული ტყვიის მსხვერპლი გახდა.

დილის ათ საათზე დასძახეს ბოლშევიკებმა „ურა“ ყაზახები მთლად გარეკეს კავკავიდან.

ამ ბოლშევიკებში იყვნენ: კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, ვანო დავახეთქე, გეგეჭკორი და სხვები.

ჩვენების დანახვისათანავე, რასაკვირველია, ჩვენც მათში გავერიეთ.

ჩვენ ვიცოდით, რომ ფილიპე და ს. ქავთარაძე სხირტლაძესთან იმალებოდენ. წავედით მათთან. ვინახულეთ. ფილიპე იძახდა: „ეტო ჩუდო“-ო. და მართლაც, რომ სასწაულთმოქმედება მოახდინეს ჩვენებმა.

ქალაქი კონტრევოლიუციენერებისაგან გაიწმინდა საათის თორმეტამდე.

შევუდექით დახოცილების ალაგებას, ქუჩებში ბარიკადების დაშლას და გასწორებას და სწორეთ მაშინ ვნახე „მალაკნის სლაბოდკი“ ს მუშების უბანში მუშებისმიერ გაკეთებული ბარიკადები; როგორც სახლები, ისე ჰქონდათ აშენებული. ზევით დამავიწყდა მეთქვა, რომ თავიანთი დამარცხების და უბედურების უკანასკნელ დღეს ყაზახებმა „სტანიციდან“ მოიტანეს „ბრონევიკი“ და მიადგენ მუშების უბანს. მაგრამ მეორე დღეს ეს ჯავშოსანი უკვე მუშებს ჰქონდათ.

ამით დამთავრდა 1918 წლის აგვისტოში კონტრევოლიუციონერების დამარცხება და ჩვენი გამარჯვება.

ტფილისიდან მომივიდა ცნობა ცოლშვილის ავადმყოფობის შესახებ და მოვინდომე ფარულად წამოსვლა მათ სანახავად. მოდიოდენ ჩემი მასპინძელი ლომინაძე და

სიმონ წერეთელი, რომელიც იმ ბრძოლის დროს ჩვენთან ერთად იყო ლომინაძესთან. ისინი შემპირდენ: „გზაში ჩვენ წაგიყვანთ, ხოლო ტფილისში შენ იცი“.

დაიქირავეს ერთი ფურგუნი, დააწყეს თავიანთი—ბარგი, ჩასხეს ცოლშვილი და ერთი ქისტის მეთაურობით, რომელსაც ყაზახებამდე უნდა მივეცილებინეთ, რათა ყაზახებს არ გავეცარცვეთ, გავუდექით გზას.

ქისტმა მოგვცა პირობა, რომ ის ყველა ყაჩაღს იცნობდა და მასთან ჩვენ ხელს არავინ გვახლებდა. ასეც მოხდა, რაც ძალით უნდა წაერთმიათ, ის ნებით მივეცით და მშვიდობიანად ჩამოგვიყვანა.

ყაზბეგში მისვლისთანავე დაგვატუსაღეს: მე, ჩხუბიანი და პლატონ იობიძე. ს. ქავთარაძეს ეძებდენ. ალბად კავკავიდან იმაზედაც მისცეს ცნობა, მაგრამ ქავთარაძე კავკავში დარჩა.

თუმცა ს. წერეთელმა და ლომინაძემ ვერ შეასრულეს თავიანთი დაპირება—ქალაქში ჩაგიყვანთო, მაგრამ ისინი რომ არ ყოფილიყვენ, უეჭველად ყაზბეგში დაგხვრეტდენ. მოგროვდენ ყაზბეგელი სპეკულიანტები და მოითხოვდენ ჩვენ თავს: „მოგვეცით, დავხვრიტოთო“.

ოფიცერი იყო წერეთელი, რომელზედაც გავლენა იქონია მისმა თანამოგვარემ, ჩვენმა თანამგზავრმა სიმონ წერეთელმა, და დაგვიყენეს ყარაულები, რომ ყაზბეგის ბობოლეებს არ დავეხოცეთ. იმ ღამეს, როგორც იყო, გადავრჩით. დილით, გათენებისას, შემოვიდა ჩვენთან—მთვრალი ოფიცერი, რომლის შემოსვლამაც ჩვენ სრულიად არ გაგვახარა, რადგან გვეგონა, რომ დასახვრეტად უნდა წაგვიყვანოსო. როგორც ეტყობოდა მას ჩვენი დახვრეტა არ აინტერესებდა. მოგვთხოვა, ვისაც რაიმე ფული გვქონდა, მიგვეცა. ჩვენც ამოვიფხიკეთ ჯიბეები და ვისაც რა

გაგვაჩნდა, მივეცით. დილით დაგსვეს გერმანელების „გრუზოვიკებზე“ და წამოგვიყვანეს ტფილისში, სადაც ჩაგვაბრძანეს ორთაჭალის ციხეში.

XXVI

გამოგვიშვეს დროებით, შვილის ავადმყოფობის გამო. ამის შემდეგ რვა თვე ვიმალებოდი. მერე ისევ კედიამ თავისი დამჭაშებით დამიჭირა სახლში, როცა ღამის გასათევად მივედი. 1920 წელს გამომიშვეს და დავდექი რუსეთის მისიაში მომარაგების ნაწილის გამგედ. ვიყავი იქ 1921 წლის თებერვლამდე. 1921 წელს, როცა ჩვენებმა შემოუტიეს, მენშევიკებმა მისიაც მიანგრ-მოანგრიეს. დაიჭირეს პირველად მისიაში ამხ. სერგო ქავთარაძე. ახლა ვიცოდით, რომ ჩვენც ეს ბედი მოგველოდა. მე და არაქელას მიმალვა გვინდოდა, მაგრამ მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი პოსტებისთვის და შეიმანისთვის თავი არ დაგვენებებია, რადგან შეიმანი ძალიან შიშობდა. ამბობდა- „ჩემზე პოგრომს მოახდენენ მენშევიკებიო!“ მაგრამ ჩვენ ვაიმედებდით, ამაღამ ჩვენ დავწვებით შენ ოთახშიო. მაგრამ ეს ჩვენ არ დაგვაცადეს. საათის ათზე მობრძანდენ კედიას თანამშრომლები და დაგვაპატიმრეს მე და არაქელა. გავსწიეთ კედიასთან. ორი საათის შემდეგ შეიმანიც დაატუსაღეს. იმ ღამასვე ჩაგვსვეს ვაგონებში და წაგვიყვანეს ქუთაისის ციხეში. სეგრო ქავთარაძე და შეიმანი სასტუმროში წაიყვანეს, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლები. რამოდენიმე დღის შემდეგ სერიოჟა მოიყვანეს ციხეში და ჩასვეს განსაკუთრებულ კამერაში მარტოკა. დააყენეს თავზე ხიშტიანი ჯარის კაცი და მასთან ახლოს არავის უშვებდენ, მაგრამ ნახვას მაინც ვახერ ებდით. გავრცელდა ხმა, რომ ქავთარაძეს დახვრეტას

უპირობენო. ამან ჩვენ ცოტა შეგვაკრთო, დამარცხებით გაჯავრებულ მენშევიკებისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ამას ჩვენ ქავთარაძეს არ ვეუბნებოდით, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ მას კარგს არაფერს უპირობდენ, ჩვენ ყურები მისი კარებისკენ გვქონდა. როგორც სჩანდა, ეს ხმები მართალი იყო. მაგრამ მენშევიკები ყოველ საათობით მარცხდებოდენ და შეფიქრიანდენ. ყველა მენშევიკი ვერ გაიქცეოდა ოქროებთან ერთად ევროპაში. ეს მათ ძალიან კარგად იცოდენ და შეაყენა ისინი შურისძიების ბრაზმა. იმისი ჯავრი ჯალათებმა იყარეს ამხ. მარდალეიშვილზე და მეორეზე, გვარი არ მახსოვს. გაიყვანეს ქუთაისის ციხიდან, ჯერ ჯალათურად მოკლეს და მერე დაწვეს.

როდესაც ჟლობა თავისი ყაზახებით მამისონის უღელტეხილზე გადმოვიდა, რკინის გზითაც გვირაბს გამოცდენ ჩვენები, ხოლო მენშევიკების გვარდია დადნა შარშანდელი თოვლივით წითელი ჯარის შიშით, ჩვენც, პატიმრები, მენშევიკებმა გადაგვიყვანეს ბათომის ციხეში. ჩვენ არ გვინდოდა ბათომის ციხეში წასვლა, რადგან აქ ყოველ წუთს მოველოდით ჩვენების შემოსვლას და გათავისუფლებას, ბათუმში გადაყვანით კი რამოდენიმე დღით გვიგრძელდებოდა პატიმრობა. ამას როგორც ჩვენ, ისე მენშევიკები გრძნობდენ. მათი ერთად-ერთი იმედი იყო ევროპის ბურჟუაზიული ჯარი, რომელსაც დღე და ღამე მოელოდნენ ბათომში. ეს იმედი, როგორც ვიცით, არ გაუმართლდათ არა იმიტომ, რომ ეს ევროპის ბურჟუაზიას არ უნდოდა, არამედ ცოტა მასაც ეშინოდა წითელი ჯარის და თავისი ქვეყნის რევოლიუციისა.

ქუთაისის სადგურზე ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ბათუმში გადაყვანის შესახებ. მერე კიდევ არ ვჯდებო-

დით ცხენების ვაგონებში. ცოტა შეტაკებაც მოგვიხდა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა „გენერალ-გუბერნატორი“ ჩხიკვიშვილი. გვიწოდა ქურდები, ყაჩაღები, ჯიბგირები და მშიშრები.

ჩაგვიყვანეს ბათომის ციხეში. ასი კაცის მოსათავსებელ ალაგას ჩაგვყარეს ექვსასი კაცი. ჯერ უსუფთაობით ვიხრჩობოდით და მერე შიმშილით. ბევრი ციხე მინახავს, ბევრ ციხეში ვმჯდარვარ, შიმშილიც მინახავს, მაგრამ არაფერი იმნაირი როგორიც იყო მენშევიკების ბათომის ციხე. გვაძლევდენ გირვანქა მჭადს. ჩვენი პატრონებიც არსად იყვენ, რომ რაიმე მოეწოდებიათ. წარმოიდგინეთ, ციხეში რომ მივედით, ნარის ქვეშ რაღაცა ეგდო, ვერავინ გამოიცნო რა იყო, ნაჭერ საპონს ჰგავდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ეს ნაჭერი გამოვიღეთ, გამოვიდა მჭადი. გავასუფთავეთ და შევჭამეთ. ბევრჯერ დამიჭირა ნიკოლოზის მთავრობამ მე, მაგრამ ჩემი ცოლისთვის ხელი არასოდეს არ უხლიათ, რამიშვილმა კი, რომელსაც ჩემი ცოლი არალეგალობის დროს მალავდა ხან სად და ხან სად, დააპატიმრა ჩემი ქუთაისიდან გამგზავრების შემდეგ და დაამწყვდია.

ორი კვირა ქუთაისის ციხეში დავრჩით და ორიც ბათუმისაში. კიდევ ამდენი რომ დავრჩენილიყავით, შიმშილით ამოვწყდებოდით. მაგრამ არ დასცალდათ მენშევიკებს. ტფილისიდან წაგვიყვანეს 18 თებერვალს და სწორედ 18 მარტს მოვიდა წითელი ჯარი ბათომში. ეტყობა, მენშევიკები გამოქცეულან, თორემ ბრძოლა რომ შესძლებოდათ, სადმე მაინც შეაჩერებდენ და ასე ჩქარა მთელ მენშევიკურ სახელმწიფოს წითელი ჯარი ველარ აიღებდა.

სწორედ 18 მარტს ღამე ქავთარაძე წაიყვანეს ცი-

ხიდან ჟორდანიასთან. მიზეზი ის იყო, რომ ჟორდანია თავის დამქაშებით გემში უნდა გადამჯდარიყო და ეშინოდა თავის ხალხის, რომ არაფერი აეტეხათ მისთვის ბათომში მოგროვილ მის მიერ მოტყუილებულ მენშენვიკებს. ჟორდანიას მიემართა ქავთარაძისათვის: „ჩვენ მივდივართ და მენშევიკებს, რომლებიც რჩებიან, თქვენი ეშინიათ და უთხარი რამეო". სერგომ მიუგო: „გზა მშვიდობისა. მხოლოდ მე მათ ვერაფერს ვეტყვი. თუ გინდა, შენც დარჩი. ერას დაგიშავებთო". დილით ადრე, 19 მარტს, ქავთარაძემ ეს ამბავი გვახარა, ციხიდან გამოვედით. ციხის უფროსად დროებით საშა თუმანოვი ავირჩიეთ. გარეთ გამოსვლისას ვნახეთ მენშევიკების უკრუხო წიწილებსავით დარჩენილი ჯარისკაცები, გვარდიელები და ზოგი მათი ოფიცერი.

ისინი სულ იმას კითხულობდენ ხომ არ დაგხვრეტავთო და აგინებდენ თავიანთ გაქცეულ წინამძღოლებს და ხელმძღვანელებს, მოგვატყვილესო. თვითონ მთელი საქართველოს სიმდიდრე მოიტაცეს და ჩვენ ასე დაგვყარესო და სხვ.

მეორე დღესვე ჩვენ წამოვედით ტფილისში. თითქმის ყველა ხიდი აღდგენილი იყო, გარდა საჯევახოსი. ყველა ხიდზე გაცხარებული მუშაობა იყო. ჩვენთან მენშევიკების მუშა გვარდიელებიც მოდიოდენ და რომ ნახეს მთელი მატარებელები მძიმე სახელოსნოებით გამართული, იძახოდნენ: „ჩვენ მარტო ეს დაგვამარცხებდა, გვატყუილებდენ, თორემ მაგათ წინააღმდეგ ბრძოლა როგორ შეგვეძლო, ან საბრძოლველი რა გვქონდაო!"

ჩამოვედი ტფილისში. ავად გავხდი მენშევიკების ციხეში შიმშილობის შემდეგ და ჩავწექი ლოგინად. ორი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან ამხ. მიშა ოკუჯავა ებრა-

ლიძის თანხლებით და გამომიცხადა, რომ შიმშილი მოგველის—ახლავე უნდა ადგე და წახვიდე კავშირში, იქ მზად არის 100.000 ფუთი სიმინდი და როგორც გინდა მოაწყე, დაიქირავე ურმები და სხვა და გადმოგზავნეო. მეც დავეშორჩილე და გავემგზავრე სერაფიონ ლომიძის თანხლებით. მომცეს რწმუნებულის მანდატი სასურსათო კომისარიატიდან. ჩავედით კავკავში. 100.000 ფუთი კი არა, ერთი ფუთიც არ იყო მზად. იქ მაშინ მთავრობის თავჯდომარედ სიმონ თაქოევი იყო. ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა, რომ მოგვეხერხებია სიმინდის გამოგზავნა. ჩვენც დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ სამიოდე ათასი ფუთის გამოგზავნა მოვახერხეთ.

მერე დამნიშნეს საგანგებო რწმუნებულად ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ ავად გავხდი და კინარამ სული ამომძვრა. ამის შემდეგ დამნიშნეს უზენაეს რევტრიბუნალის წევრად. ამავე დროს მომივიდა მოწერილობა სასურსათო კომისარიატიდან დანიშნული ხარ რკინის გზის სასურსათო კომისარიატის თავჯდომარედ, მიიღე საქმეო, მაგრამ ეს საქმე მე არ მიმიღია, რადგან გამგზავნეს უზენაეს ტრიბუნალში. იქ თითქმის ერთ წელიწადს ვასრულებდი უზენაეს რევტრიბუნალის თავჯდომარის მოადგილეობას. მერე დამნიშნეს აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალის თავმჯდომარეთ ამის შემდეგ, როცა აბასთუმანში ვიყავი საექიმოთ, ამიერ-კავკასიის გზის ყრილობამ ამირჩია ამავე გზის კომიტეტის, დორპროფსოჟის თავმჯდომარედ, სრულიად რუსეთის საბჭოთა რკინის გზის მეექვსე ყრილობაზე ამირჩიეს ცენტრალური რკინის გზის კომიტეტის წევრად მერე მექანიკურათ შევდიოდი ამიერ-კავკასის პროფესიონალურ ბიუროს (Закбюро В.Ц.С.П.С.) წევრად. აგრეთვე შევდიოდი ამიერ-კავკასიის რკინის

გაზედ მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად საშეულში. ვიყავი არჩეული მუშათა საბჭოს მეორე და მესამე შემადგენლობაში (პირველში არ ვყოფილვარ). აგრეთვე ვარ არჩეული ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ბაქოში მომხდარ პირველ ყრილობაზე.

ჩემი პატარა მონაწილეობა პრესაში

თავის დღეში მწერლად არ წარმომიდგენია თავი, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის თაყვანისმცემელი და მოტრფიალე ყოველთვის ვიყავი და ვარ. მე მწამდა და მწამს, რომ ბეჭდვითი სიტყვას მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის განვითარებაში დიდი როლი აქვს დაკისრებული და ამ დავალებას ის პირნათლად ასრულებს მაშინ, როდესაც ის სავსებით მიმართულია მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისა და განვითარებისაკენ და აშუქებს მათთვის საჭირბოროტო ამა თუ იმ საკითხებს.

ზემონათქვამიდან გაიგებდით, თუ რა დიდი სწავლა-განათლება მივიღე. მიუხედავად ამისა, მე სულითა და გულით ვცდილობდი, რამდენათაც შემეძლო, პერიოდულ გამოცემებში გამეშუქებია ესა თუ ის საკითხი და ჩემი აზრი გამომეთქვა. ბევჯერ ამიწრიპინებია ჩემი კალამი, წრფელის გულით მითქვამს ის, რასაც ვგრძნობდი და განვიცდიდი. მართალია, ჩემი პატარა წერილები დიდის პათოსით და მხატვრულად არ იყო დაწერილი, მაგრამ იქ უბრალო ენით გამოთქმული იყო ჩემი აზრი მაშინდელ ცხოვრებაზე და ასე თუ ისე გაშუქებული იყო წამოჭრილი საკითხები.

როცა მუშაობისაგან თავისუფალი ვიყავი, ვწერდი. ვწერდი წინად, მაგრამ ჩემმა პრესაში მონაწილეობამ მუდმივი ხასიათი მიიღო 1917 წლიდან, როდესაც მენშევიკების დროს გამოდიოდა ჩვენი ყოველდღიური გაზეთი „ბრძოლა“. სანიმუშოდ მოვიყვან რამდენიმე წერილს, რომლებიც იბეჭდებოდა „ბრძოლა“-ში „მუშათა წერილების“ სახით.

I.

მ ო თ მ ი ნ ე ბ ა?!

მემარჯვენე სოციალისტების ქადაგებამ მოთმინების შესახებ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მუშა, რომელსაც ხელში ჩაქუჩი და სატეხი (ზუბილა) უჭირავს, დაგლეჯილ-დაფლეთილი ჭუჭყიანი ხალათი აცვია და უქმელობისაგან ძვალად და ტყავად გადაქცეულა და რომელიც ქმნის ქვეყანაზე აუარებელ სიმდიდრეს, ბურჟუაზიის ბატონობას და კეთილდღეობას—გამოდის და ქადაგებს უნდა ყველაფერი მოვითმინოთ—ახლა ჩვენ ეკონომიურს, ნივთიერ მდგომარეობის პირობების გაუმჯობესებაზე ლაპარაკის და ფიქრის დრო არ არისო, ამაზე კრინტიც არ უნდა დავსძრათო, თორემ ბურჟუაზია დასუსტდება, გაუჭირდება, ჩვენთვის ორიოდე გროშის მომატებას ვერ შესძლებს, გაჯავრდება და ჩამოგვშორდებაო...

სტოლიპინი რომ აღსდგეს საფლავიდან და ყური დაუგდოს ამნაირი მუშების ქადაგებას, შეშურდება.

სტოლიპინიც ამას ამბობდა: მოითმინეთ, ახლა მთავრობა სუსტია, გავამაგროთ ჯერ მთავრობა და მერე შეღავათებიო. მაგრამ ხომ ვიცით რა ბოგვცა „მაგარმა—მთავრობამ“? პროვოკატორები, ციხე, კატორღა, ბორკილები, სახრჩობელა და ციმბირის ტუნდრები (ჭაობები).

როდესაც ამ მოთმინების შესახებ ბურჟუაზია ან მისი მონათესავე „სოციალისტ-შოვინისტ-ინტელიგენტი“ ლაპარაკობს, სულაც არ არის გასაკვირი, მაგრამ როდესაც გაძვალტყავებული, ხელებ დაკორძებული მუშა ქადაგობს და იცავს ბურჟუებს და მათ ამყოლ დამყოლს, ეს გასაკვირიც არის და სამწუხაროც...

როცა მუშა ამბობს „მოვითმინოთო“ ამას ის თავისით კი არ ამბობს, ამას თუ გასავალი აქვს მუშებში მათ ზევიდან აქვთ შთაგონებული და ან ძალით ემორჩილებიან, ან და რომელიმე პიროვნების გავლენის ქვეშ არიან, ზოგს კიდევ თავის ტყავის ეშინია.

მაგალითად რა უნდა მოვსთხოვოთ ისეთ „შეგნებულ მუშას“, რომელიც ძველი დამყაყებული ნიკოლოზის მთავრობის სესხსაც კი უჭერდა მხარს და თავის გროშებს აძლევდა ბურჟუაზია—ბიუროკრატს, რომ ამ საშუალებით ეჟლიტათ ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი და ამ ჟლეტით კიდევ უფრო გაესქელებინათ თავიანთი ჯიბეები და თანაც ეწარმოებინათ თავიანთი რეაქციონური პოლიტიკა და გადამჭრელი იერიში მიეტანათ მუშათა კლასზე.

როცა კამათი გიხდება მოთმინების მქადაგებლებთან და უმტკიცებ, რომ მოთმინების შესახებ რეზოლიუციებს ნიადაგი არ აქვს და უთითებ მშრომელი ხალხის და ჯარის უკმაყოფილებაზე ასე გიპასუხებენ: რასაკვირველია მეუმრავლესეებს მხარს დაუჭერს მშრომელი ხალხი და ჯარი, რადგან ისინი ყველაფერს იძლევიანო...

სწორედ ნიადაგიც ამას ქვიან. მისმა პარტიამ ხალხს უნდა მისცეს ყველაფერი და სცადოს განახორციელოს ის რაც საჭირო და აუცილებელია მისთვის და ასეთი პარტია იქნას მართლა მისი პარტია. მე დარწმუნებული ვარ ამხანაგებო, რომ ყველა მუშა და ჯარის კაცი ანუ ერთად

მშრომელი ხალხი, ვინც ფეხის ხმას არ არის აყოლილი. მომხრე იქნება იმისი, რომ ახლა ამ წუთში მშრალი პურის მაგივრად ხორციცა და ჩაი შაქარი ჰქონდეს და ექნება კიდეც თუ ამას შეგნებულად, შეკავშირებულად მოითხოვს, თავის საქმეს თვითონ აიღებს ხელში და გააკეთებს იმას, როგორც ეხლა გამოდიან ზოგიერთები, ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ და თავიანთი კი დავიწყებიათ. ბურჟუაზიის დახმარებას იმით ხსნიან, რომ თუ ჩვენ არ დავეხმარეთ მათ, ისე ისინი ვერ შესძლებენ თავიანთი — საქმის მოგვარებას და ქვეყანა დაიღუპებაო...

არა, ამხანაგებო, ბურჟუაზია თავის საქმეს არ დაღუპავს და ქვეყნის ბატონ-პატრონობასაც უსისხლოდ არვის დაუთმობს.

სწორედ ასე შეაშინა ჩვენი ყოფილი ამხანაგები, ეხლა მინისტრები, ბურჟუაზიამ: თუ თქვენ სამინისტროში არ შემოხვალთ ჩვენთან ერთად, ჩვენ ყველანი პორთფელებს დავყრითო. როგორ გგონიათ, ამხანაგებო, მართლა დაყრიდენ?

არაფერ შემთხვევაში არ დათმობდენ და არ დათმობენ ქვეყნის მართვა-გამგეობას. მკითხველო! ვთქვათ მაგალითად შენს სახლში საქმე აწეწი-დაწეწილი გაქვს, სტუმარს ეპატიჟები, რომ საქმე გააკეთებინო და ამით შენი ოჯახი გაამაგრო. ის უარს გეუბნება არ მოდის შენს დასახმარებლად, განა შენც თავს გაანებებ შენს ოჯახს? რასაკვირველია არა! ასეთივე ოჯახი არის დღეს ბურჟუაზიისათვის სამინისტრო და თუ ის იქ გვეპატიჟება იმიტომ რომ თავისი საქმე გაგვაკეთებინოს და საკუთარი — საქმე დაგვავიწყებინოს. მაშ, ამხანაგებო, ბურჟუაზია თავის საქმეს უჩვენოდაც კარგად გააკეთებს და ჩვენი, მუშების, პროლეტარიატის საქმის კეთებაში ის არ მოგვე-

შველება, რადგანაც ეს მისი ინტერესების წინააღმდეგ იქნება. მაშ ნურც ჩვენ მივეშველებით მათ, რადგან ეს ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ იქნება.

ამგვარად თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ უნდა ცალ-ცალკე ვიაროთ და არა ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულნი. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა და ჩვენი ინტერესები იმას მოითხოვს, რომ ჩვენი საკუთარი საქმე ვაკეთოთ, ვეცადოთ ნივთიერად და პოლიტიკურად ჩვენ ვიყოთ ჩვენი თავის პატრონი, ვეცადოთ ჩვენ მიერ შექმნილი სიმდიდრის პატრონნი ჩვენ თვითონ ვიყოთ—ე. ი მთელი ხალხი და არა ერთი მუჭა ექსპლოტატორები. დეე, ისინიც დაემორჩილონ საერთო შრომის ბეგარას და მშრომელ ხალხში გაითქვიფონ. ვეცადოთ, რომ პოლიტიკური ძალაუფლება გადავიდეს მშრომელი ხალხის ხელში და ვეცადოთ რაც შეიძლება ჩქარა მოულოთ ბოლო ამ სისხლის მსმელ ომს. ამისთვის საჭიროა ხელი შეუწყოთ ფრონტებზე მდგომ მოწინააღმდეგე ჯარისკაცების დაძმობილება და მეგობრებას რადგანაც ეს იქნება ჩვენი ლოზუნგის განხორციელება! „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! და იმპერიალისტური ბურჟუაზიისთვის სასიკვდილო ლახვრის ჩაცემა, მისი უკანასკნელი დღე“. („ბრძოლა“ № 2 17 ივნისი. 1917 წ.).

II

პარტიული უთანხმოების შესახებ.

ამხანაგებო! ბევრჯერ გვიხდება ლაპარაკი პროვოკატორების შესახებ. „თავდაცვის“ მომხრე მუშები ამბობენ, რომ (ალბად ზემოდანა აქვთ შთაგონებული) ბოლშევიკური ორგანიზაციების მოწყობის ძველი რეჟიმის

დროს თვითონ მთავრობა უწყობდა ხელსაო. და ამის— დასამტკიცებლად მოჰყავს პროვოკატორი მალინოვსკის გასვლა სახელმწიფო სათათბიროში და სხვა. პროვოკატორების აღმოჩენა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში თავისთავად ცხადია, რომ მთავრობისთვის ფრიად ხელსაყრელი იყო ჩვენს ორგანიზაციებში რაც შეიძლება მეტი მოღალატე და გამცემი ჰყოლოდა, რადგანაც ეს ორგანიზაციები იყო მთავრობისთვის საშიშარი. ისინი მუშაობდენ ფარულად, ჩუმად აწყობდენ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, სადაც მთავრობას სწორედ იმას უმზადებდენ, რაც ეხლა იგემეს. არ ზოგავდენ არავითარ საშუალებას, რომ გაეგოთ სად არიან ბოლშევიკები და რას აკეთებენო.

ეხლა გეკითხებით რაში ეჭირვებოდა მთავრობას ფული ეხარჯა და ჯაშუშ-პროვოკატორები ჰყოლოდა ლიკვიდატორ მენშევიკების ორგანიზაციებში, როცა ისინი თვითონ მოითხოვდენ პარტიის ლიკვიდაციას და ყოველგან ლეგალურს ნიადაგზე მუშაობას და მოქმედებას. რა საჭირო იყო იმათთვის პროვოკატორები, როცა უამისოთაც აშკარათ იცოდენ რას შვრებოდენ და რას აკეთებდენ.

ამხანაგებო! თქვენ კი არ უნდა აჰყვეთ ბურჟუაზიული გაზეთების ცილისმწამებლობას და მათთან ერთად კი არ უნდა ცდილობდეთ ჩირქი მოსცხოთ ნამდვილ ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას, არამედ ყოველღონისძიებას უნდა ხმარობდეთ აღამაღლოთ და გაასპეტაკოთ ერთათ ერთი წმინდა სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური მიმდინარეობა, რომელიც არის ნამდვილი პროლეტარიატის, მუშების, მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი. ამხანაგებო! დღეს თუ ზოგიერთი მუშა, ან შეიძლება ითქვას მუშათა უმრავლე-

სობა ვერ ერკვევა და ვერ ხედავს თავის ინტერესებს, ეს გასაკვირი არ არის, რადგან ძველი სულთამხუთავი მთავრობის ხელში ძნელი იყო გამორკვევა და საკუთარი ინტერესების შეგნება-შეთვისება, მით უმეტეს როდესაც — სოციალისტ-შოვინისტებმა გზა დაუბნიეს მუშებს. შეიდემანებმა და პლეხანოვებმა უფსკრულისკენ გააქანეს მუშები. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როდესაც მუშები და მშრომელი ხალხი იცნობს და დააფასებს მისი ინტერესების ჭეშმარიტ დამცველს, ამით დადგება ნამდვილს ინტერნაციონალურ-პროლეტარულ გზას და თავის პირდაპირ მტერს, ბურჟუაზიას საშუალებას მოუსპობს ააცდინოს ის თავის ჭეშმარიტ გზას და თავის ჯიბეების გასასქელებლად და უფლებების განსამტკიცებელ იარაღად გამოიყენოს. არა, ამხანაგებო, იკითხეთ ორთავე მიმდინარეობის გაზეთები და სხვა თუ არა, უფრო კარგად გაეცნობით თქვენს საკუთარ საქმეს. თუ ასე არ მოიქეცით ისე ზოგიერთების მსჯელობიდან საუბედუროთ ისეთ დასკვნას გამოვიტანთ რომ არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას არ იცნობს, მხოლოდ გაუგონიათ ანარხისტი, ბოლშევიკი, დეზორგანიზატორი და ამითი უნდათ ფონს გავიდენ.

დროა, ამხანაგებო, გონს მოვიდეთ, განვითარებას და შეგნებას ხელი მოვიკიდოთ, რადგანაც ეს იქნება ერთად ერთი სწორე საზომი ამა თუ იმ მიმართულების, ამდენხანს მოგვეტავებოდა არ ცოდნა, სიბნელეში ყოფნა, რადგან მუშის ცოდნა-შეგნება ციხეებში და იატაკ ქვეშ იყო დაშმორებული, ახლა კი ყველასათვის ხელმისაწდომია. მარტოკა ორი გაზეთი რომ გადაათვალიერო დღეში, ერთი ის, რომელსაც შენად სთვლი, ხოლო მეორე — ის, რომელიც უფრო შენია, მაგრამ შენ მტრად სთვლი,

ე. ი. ბოლშევიკური, უკვე გეცოდინება რა ხდება შენს ირგვლივ და ამით უფრო გარკვეულს გზას დავადგებით და მსჯელობის დროს აბდა უბდას აღარ მოვჰყვებით.

იმედია არ შემრისხავთ ამ მცირე შენიშნისთვის რა ვქნა, ქართული ანდაზა მაგონდება: „მოყვარეს პირში— უძრახე მტერს ზურგს უკანაო“ („ბრძოლა. № 4. 25 ივნისი 1917 წ.).

III

სოციალისტი მინისტრები.

მუშებთან კამათის დროს ხშირათ მიხდება მტკიცება იმის შესახებ თუ რაც გააკეთა სოციალისტმა მინისტრებმა ბურჟუაზიისათვის იმას ვერ გააკეთებდა 50 ბურჟუა მინისტრი ბურჟუაზისათვის.

ბურჟუაზიამ ძალიან კარგად იცის, რომ მას მშრომელ ხალხში არავითარი გასავალი და ავტორიტეტი არა აქვს. მას უნდა ხერხისთვის მიემართა და მიმართა კიდეც. ეს ხერხი იყო ბურჟუაზიული სამინისტოს შეკეთება სოციალისტებით და შეაკეთა კიდეც. ის დაეყრდნო ამ ხალხის წარმომადგენელებს, გათამამდა და თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად შეტევაც დაიწყო. ეს შეტევა რომ გამოეცხადებინა რომელიმე გუჩკოვს არ განხორციელდებოდა ისე, როგორც არ განხორდიელდა აპრილში. არ განხორციელდებოდა იმიტომ რომ ბურჟუაზიას არ ენდობა დემოკრატია და სოციალისტებს კი ენდობა. ახლა მუშები ამბობდენ: ალბად საჭირო იყო შეტევა და იმიტომ მიემხრენ ჩვენი ამხანაგი სოციალისტები. ეუბნები მუშებს: იმპერიალისტური ომი პროლეტარიატისათვის არასოდეს სასარგებლო და საჭირო არ ყო-

ფილა და არც იქნება ამის დმსამტკიცებლად მოგვყავს ის
რომ ბრძოლის ველზე იღუპება და იჟლიტება მეტი ნაწი-
ლი მშრომელი ხალხისა—მუშები და გლეხები ამ დროს
ბურჟუაზია ჯიბეს ისქელებს და მათი შვილები სხედან
„ბარიშნების“ ალაგას და რემიგტონებზე უწკაპუნებენ, ამ
დროს კი მუშისა და გლეხის შვილები „ოკოპებში“ სხე-
დან და ბრძოლის ველზე ისრისებიან. უმტკიცებ, რომ
შეტევა ნიშნავს ომის გაგრძელებას და ომის გაგრძელება
რევოლიუციის დასუსტებას და ეუბნები—შეტევა ნი-
შნავს ერთი ქვეყნის მშრომელი ხალხის მეორე ქვეყნის
მშრომელ ხალხზე მისევას საჟლეტად და ეს თავის დღე-
ში სოციალისტებმა არ უნდა იკისრონ. სოციალისტი,
თუ ის მართლა სოციალისტი არის სულ მუდამ იმას
უნდა სცდილობდეს და ფიქრობდეს რომ ქვეყნის მშრო-
მელი ხალხი დაამეგობროს, დააძმობილოს და შე-
აერთოს და არა ერთმანეთი მიუსიოს საჟლეტად.
გიპასუხებენ: ახლა ომია და ასე არის საჭიროო. ახ-
ლა, რადგანაც ომი არის ვჟლიტოთ ერთმანეთი და
მერე დავემოგბრდეთ?! არა, ამხანაგებო, ჩვენ მუდამ უნდა
ვცდილობდეთ შეერთებას და დაკავშირებას. და არა ომს
და როცა შევერთდებით უნდა ვიომოთ არა ბურჟუაზიას-
თან ერთად არამედ ცალკე, რადგან ჩვენი ომი იქნება
ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული მისი ბატონობის
დასამხობად. ბევრი ამისთანა მაგალითებით უმტკიცებ,
რომ „სოციალისტი“ მინისტრები ნებსით თუ უნებლიეთ
ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ და ამის წინააღმდეგ რომ
სათქმელი აღარაფერი აქვთ ასე გიპასუხებენ; „როგორ“
განა შენ წერეთელზე, კერენსკიზე, ჩერნოვზე, სკობელევზე
მეტი გესმის და გაგებებაო; ისინი არ შეცდებიან, იმათ

შენზე უფრო კარგად ესმით ჩვენი ინტერესებ"ო ეი სადამდი მიიყვანა „ობორონცობამ" ზოგიერთი მუშა.

მაგალითად ამბობენ, რომ „ოკოპებში'' ჯდომას და ლოდინს შეტევა სჯობიაო და მოჰყავთ მაგალითი ბურჟუაზიული გაზეთებიდან, რასაც ისინი გაჰკვიან რაც ძალა და ღონე აქვთ, რომ მტერს ამდენი და ამდენი ზარბაზანი წავართვით, ამდენი და ამდენი ტყვე წამოვიყვანეთო და ეს ახარებს ,,ობრონცების" სულსა და გულს. ეს ბურჟუაზიული გაზეთები, როგორც წინად ნიკოლოზის ტახტის არსებობის დროს კრინტს არ სძრავდენ ჩვენს დანაკლისზე, ისე ახლა არაფერს გვეუბნებიან, თუ რა დაგვიჯდა ზარბაზნების წამოღება და ტყვეების გადმოყვანა. დაფიქრთდით როცა ამბობთ, რომ „ოკოპებში'' ჯდომას შეტევა სჯობიაო. დაფიქრთდით იმაზედაც რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი მოყვება ამ შეტევას; აგრეთვე საჭიროა იმაზედაც დაფიქრება, რომ ის წართმეული ზარბაზნები რუსეთის ქვეშედრდომ (თუ სხვისა არ გებრალებათ) რამდენი მუშის და გლეხის გვამებზე გადმოივლიან და ბურჟუაზიის ამ სასიხარულო შეტევის შემდეგ რამდენის დედ-მამა და ცოლ-შვილი ატირდება და დარწმუნდით, ამ დედ-მამის და ცოლ-შვილის უმრავლესობა იქნება მუშები და გლეხები და არა ბურჟუაზია. მე ვამბობდი და ვიტყვი, რომ ომი პროლეტარიატის დამღუპველია და ამიტომ სოციალისტები მუდამ წინააღმდეგი იყვენ ომის, პროლეტარიატის პროლეტარიატზე მისევის და ასე დარჩებოდენ მანამდე, სანამ ისინი მართლა სოციალისტები არიან და არა სოციალისტის ტყავში გახვეული გარეწარი ვინმე. თქვენც, ამხანაგო მუშებო, მუდამ უნდა იყოთ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგი არა მხოლოდ მარტო სიტყვით, არამედ საქმით. დაჰ-

გმეთ ახლავე თქვენი პარტიული ორგანოს საშვალებით სესხი, რომელიც ამწვავებს და ასუფთავებს ომს და ასუსტებს რევოლიუციას, დაჰგმეთ შეტევა, რომელიც ჩირქს სცხებს პროლეტარიატის სისხლში ამოვლებულს წითელ დროშას; დაჰგმეთ ბურჟუაზიასთან ერთად სიარული, რომელიც სცდილობს დაასუსტოს წმინდა პროლეტარული მიმდინარეობა და ამით ბურჟუაზიის გული გაახაროს.

(„ბრძოლა“ № 7—16 ივლისი 1917)

IV

რვა თუ თორმეტი საათი?

მთელს რუსეთში თითქმის განხორციელებულია რვა საათის სამუშაო დღე, მით უმეტეს რკინის გზაზე. რასაკვირველია ეს უკეთესად ქალალდზე არის განხორციელებული, საქმეზე კი უფრო ნაკლებათ. ავიღოთ მაგალითად ტფილისის დეპო. ვისაც უნდა ჰკითხოთ და სადაც უნდა იკითხოთ ყველგან გვეტყვიან, რომ დეპოში მუშებს რვასაათის სამუშაო დღე აქვთო. თეორიაში მართალია რვა საათის სამუშაო დღე სწერია, მაგრამ ავიღოთ პრაქტიკაში, სინამდვილეში მართლა რვა საათს მუშაობენ? არა, თუ არ დაიზარებ მკითხველო და ცოტახან თავს შეიწუხებ და წაიკითხავ ამ წერილს დაინახავ სინამდვილეს. როგორც ვიცით თვეში საშუალო რიცხვი 30 დღე არის დღე და ღამეში კი 24 საათი. თვეში ოთხი თუ ხუთი კვირა დღეა, როდესაც უნდა დაისვენოს მუშა კაცმა. 30 – 4-26 დღე, 26 დღე გავამრავლოთ 24 საათზე მივიღებთ 624 საათს, მასაშადამე სამუშაო თვეში დღე ღამეში არის 624 საათი დეპოში კი თვის გასულს იშვიათად ნახავთ ისეთ მომუშავეს, რომელსაც არ ჰქონდეს გაკეთე-

ბული 500 საათი და მეტი. მკითხველი გაკვირვებით იკითხავს საიდან? ამდენის გაკეთება არ შეიძლებაო. აი ეს როგორ ხდება: მუშაობა იწყება დღის $5^1/_2$ საათზე და გრძელდება შუადღის ორ საათამდე, ნახევარი საათი ეძლევათ საუზმისათვის ასე რომ გამოდის რვა საათი, მაგრამ არასოდეს დეპოში და მთავარ სახელოსნოში მუშაობა ორ საათზე არ თავდება, არამედ საღამოს ექვს საათზე. დეპოში მუშაობა ჩვეულებრივია, მუშები რომ დაინტერესონ და თვალები აუხვიონ ამისათვის იმ ოთხ-საათში, რომელიც ორიდან ექვსამდე რჩება, უწერენ შვიდ საათს. ამითი აინტერესებენ მუშებს და 8 საათის მაგიერ 12 საათს ამუშავებენ. ხაზეინებისთვის ეს ხელსაყრელია, რადგანაც მუშებმა 8 საათის სამუშაო დღეში უნდა აიღონ იმდენი ჯამაგირი რამდენსაც ის იღებს 12 საათის სამუშაო დღეში. რადგანაც ეს ჯამაგირი მისი არსებობისათვის აუცილებელია, რომ მუშამ თავისი დახარჯული ენერგია აღადგინოს თავის ჯამაგირის რაოდენობით. მუშებს კი ჰგონიათ, რომ ზედმეტი სამუშაოსთვის ზედმეტს აძლევენ. მას ჰგონია, რომ თუ ზედმეტი არ ვიმუშავე, იმდენს ჯამაგირს არ მოგვცემენო. არა ამხანაგებო, კაპიტალისტი თავის დღეში მუშას იმდენს არ მისცეს, რომ მას რამე გადარჩეს და ბანკში შეინახოს და თუ რომელიმე მუშა რამოდენიმე კაპეიკს ინახავს ეს იქიდან, რომ აკლებს საზრდოს თავის თავს და თავის ცოლ-შვილს: მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ კაპიტალისტი აძლევს მუშას იმდენს, რამდენიც მისი არსებობისათვის არის საჭირო, რამდენი საათიც არ უნდა იმუშაოს მან და სწორედ ეს ზედმეტი საათები ხაზეინების მიერ არის მოგონილი. მან ძალიან კარგად იცის, რომ მუშამ იმდენი უნდა აიღოს რომ ასე თუ ისე დაიკმაყოფილოს თავისი თავი. მაგა-

ლითად ამისათვის არისი დღეში საჭირო ოთხი მანეთი; ეს ოთხი მანეთი უნდა მისცეს რვა საათში, თუ კი ის მოახერხებს და ამ ოთხ მანეთად 8 საათის მაგიერ 12 გამუშაოს არას ჰკარგავს საათში საათნახევარი კი არა სამი საათიც რომ დაგიწეროს. კიდევ ვიმეორებ იმ ჯამაგირს, რასაც ახლა დეპოში იღებენ თვეში ეს უნდა აიღონ არა 500 საათში; არამედ 208 საათში, ჩვენ კი თვალებს გვიბამენ და სხვადასხვა მახინაციის წყმლობით ერთი საათის მაგიერ ორ საათს გვამუშავებენ. ვამბობთ თვეში 200 მანეთს ვიღებთო, მაგრამ კარგათ, რომ ჩაუკვირდეთ ამას ერთ თვეში კი არ ვიღებთ, არამედ ორთვენახევარში. მაგალითად შენ აიღე 500 საათში 200 მანეთი. ეს 200 მანეთი შენთვის აუცილებელია, რომ შენი თავი და შენი ცოლ-შვილი შევინახო ერთ თვეს. მაშასადამე შენ ეს 200 მანეთი 208 საათში უნდა აიღო და არა 500 საათში. ავიღოთ მაგალითი: დეპოში კაცი რომ დგება და პატარა ჯამაგირს უნიშავენ ის ამბობს: ეს ცოტა არის არ მეყოფაო. მას ასე უპასუხებენ: აქ სამაგიეროთ დღეში ორ დღეს გააკეთებ და თუ ის დღეში ოთხ მანეთ ნაკლებ ვერ დაკმაყოფილდება უნიშნავენ ჯამაგირს ორ მანეთს და ეუბნებიან: სულერთია ოთხ მანეთს გაკეთებო. მართალია გააკეთეს, მაგრამ არა 8 საათში, არამედ 12 საათში. ამას, საუბედუროდ, მუშები არ უწევენ ანგარიშს და ძნელიც არის ანგარიშის გაწევა, რადგანაც დილის 5 საათზე ამდგარი კაცი და სახლიდან გასული საღამოს 7 საათზე ბრუნდება დაღლილ-დაქანცული და საჭმლის ჭამა თუ მოასწრო კარგია უნდა დაიძინოს, რადგან ხვალ ხუთ საათზე უნდა ადგეს და შეუდგეს მუშაობას. მას არა აქვს დრო ან გაზეთი წაიკითხოს ან ლექციას დაეწსროს, ან თავის მდგომარეობაზე იფიქროს. სა-

ზოგადოთ, ხაზეინებისათვის, კაპიტალისტებისათვის, ბურ-ჟუაზიისათვის და მათი ადმინისტრაციისათვის საჭიროა დროზე საქმის შესრულება და რამდენათაც ნაკლებ ფასში და ცოტა მუშით შესრულებს ამ საქმეს მით უმფრო ხელსაყრელია მისთვის მუშისთვის კი დამღუპველია. მუშამ, რომ რვა საათი იმუშაოს თვეში უნდა გააკეთოს 25×8=208 საათი, მას კი ამუშავებენ 508 საათს. 508-ს გამოვაკლოთ 208 დარჩება 300 საათი, გამოდის, რომ ერთ კაცს აკეთებინებენ ორ კაც ნახევრის საქმეს ასე, რომ ხაზეინი ხუთი კაცის მაგივრად ამუშავებს ორ კაცს, სამი კაცი კი რჩება უსაქმოდ, ულუკმაპუროდ, რაც ხაზეინისათვის ხელსაყრელია და მუშებისათვის საზარალო, აი რატომ ხდება ხოლმე, რომ ეს სამი კაცი ხაზეინის კარებზე სდგას და სამუშაოს სთხოვს. რა ქნას შიან. და როცა ის ორი კაცი რაიმე მოთხოვნას დაუყენებს ხაზეინს ის ყვირის: „თუ არ გინდათ მოშორდით, თქვენს ადგილას ბევრი მეხვეწებაო". მაშასადამე ეს საზარალოა მუშებისათვის, რომ ამხანაგები უმუშევრად ჰყავს და კონკურენციას უწევს მათ. ეს ერთი, მეორე ის, რომ ის მუშა, რომელიც თვეში 500 საათს მუშაობს მანქანათ არის გადაქცეული. როგორც ორგანიზმი ისე მისი ტვინი იღლება, აღარ შეუძლია სხვა რაიმე საქმეზე იფიქროს, მაგალითად თავის განათლება-განვითარებაზე, გაზეთის და წიგნების კითხვაზე, ის მარტოკა მხოლოდ მუშაობაზე ფიქრობს, რადგანაც მთელი დღე სხვა არაფერს ხედავს თითქმის სიზმარშიაც ქლიბი, ჩაქუჩი, სატეხი და სხვა სახელსაწყო იარაღებს ხედავს. ასეთ მდგომარეობაში ის იმყოფება იმის წყალობით, რომ 500 საათი მუშაობს თვეში.

(ბრძოლა № 17—20/VIII 17 წ.).

V

„ჭკვიანი ხალხია“

ჭკვიანი ხალხი არიან ბურჟუა-კაპიტალისტები, ფეოდალ-მემამულეები, სასულიერო წოდება მთელი თავისი მღვდელ-ბერ-მონაზნებით და ყველა ბედის ნებიერნი.

ათასი წლობით ცარცვავენ და ყვლეფენ მშრომელ ხალხს, ათას წლობით ანადგურებენ მის ძალას, ათას — წლობით ითვისებენ ხალხის ნაშრომს და ნადაგს და ახრჩობენ მას ციხეებში, კატორღებში, ციმბირში და სხვა. თუ ოდესმე ამ დაჩაგრულმა ხალხმა ხმა ამოიღო და თავისი ნაშრომი მოითხოვა, მაშინვე დაჰკრავენ ბუკსა და ნაღარას მთელი თავისი გაზეთებით და დაქირავებული „სოციალისტებით“: „არიქათ ქვეყანა იღუპება, ანარხიაა, გლეხები მიწებს ეპატრონებიან, მუშები ფაბრიკა ქარხნებსაო, ეს არის ქვეყნის მოსპობაო და აბა ჩქარა უშველეთო“. მართლა, როცა ქვეყანას თვითონ ღუპავენ, მაშინ კი ასტეხენ ყვირილს: „ქვეყანა უნდა გავაბედნიეროთ მოდით მუშებო და გლეხებო შემოგვიერთდითო“.

ავიღოთ თუ გინდ დღევანდელი უმაგალითო ომი, როცა ამ სამი წლის წინად ომი გამოაცხადეს მთელი ქვეყნის ბურჟუაზიულმა გაზეთებმა მოუწოდეს მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს, რომ შეერთებოდენ მდიდრებს და ერთად ეჟლიტად ხალხი. მიზანს მიახწიეს ხალხი მილიონობით გაჟლიტეს და დაასახიჩრეს. ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრე მილიონობით დასწვეს, დასდაგეს, დაანგრიეს, ზღვები სიმდიდრით აავსეს. ვინც დახოცეს დახოცეს, დანარჩენი კი დატანჯეს, შიმშილის კარამდე მიიყვანეს, ნახევარი გირვანქა პურის გულისთვის დღე და ღამე რიგში ჩააყენეს, ქვეყნიერება მოსპობამდე მიიყვანეს და

კიდევ ვერ გაძღენ, კიდევ ომის გაგრძობას მოითხოვენ და ყველაფერი ეს, მათი გაზეთების ჩმახვას რომ დაუჯეროთ, კანონიერია, მშვენიერია, შესანიშნავია. და თუ ხალხმა თავისი შექმნილი პურის ნაწილი მოითხოვა ეს ქვეყნის აოხრება, განადგურება, ანარქია არის და კიდევ ვინ იცის რამდენ რას უწოდებენ და რა სასტიკად არ მოითხოვენ ამ მშიერი ხალხის დასჯას. ავიღოთ თუ გინდ ის, თუ— რა საშუალებას მიმართეს 1905 წელს დამარცხებული ხალხის წინააღმდეგ. წაიკითხეთ ამხ. ალექსანდრეს ახალი წიგნაკი. ამ წიგნში ციფრები ლაპარაკობენ მდიდრების უმანკოების შესახებ. მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებს:

პეტერბურგის მიტროპოლიტი:

ჯამაგირი 5000 მანეთი. სადილის ფული 4000 მან., ნევსკის-ლავრიდან 250.000 მანეთი სულ 259.000 მანეთი.

1897 წელს ტახტის აზნაურები იყვენ 1,220,169, გლეხები 96,896,648. აზნაურებს ჰქონდათ 53,169,008— დესეტინა მიწა, გლეხებს კი რიცხვით 96 ჯერ მეტს მიწა ჰქონდათ ოთხჯერ ნაკლები 13,214,000 დესეტინა. თავადაზნაურობის ხელში ამოდენა მამულების დაგროვება მოხდა მეფეების წყალობით: მაგალითად პეტრე დიდს ლეფერტისათვის უჩუქებია 160 მოსახლე, შეინისთვის 350 მოსახლე, გოლიცინისათვის 350 მოსახლე, შერემეტიევისათვის 1200 სული, პოდაროჟნისათვის 400 სული, მენშიკოვისათვის 160.000 სული. ბურჟუებს მაგალითად პოლიაკოვს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აზოვსკის და დონ იუზის გზა, საჩუქრად ხვდა 1000 დესეტინა მიწა თავის მადნეულობით. 1899 წელს ნევსკის ფოლადის ჩამომსხმელმა ქარხანამ მიიღო დახმარება იმავე ხაზინიდან 10 მილიონი მანეთი. 1908 წელს კავკასიის ნავთის მწარმოებელმა ამხანაგობამ მიიღო დახმარება 15 მილიონი

მანეთი. როცა ამგვარად გამდიდრებული ხალხის წინააღ-
მდეგ ხმა ამოიღო მშიერმა ხალხმა 1905 წელს აი რო-
გორ გაუმასპინძლდენ ეს ბატონი მყვლეფელები და მათი
დამჭაშები, დამსჯელი რაზმებით და ცირკულიარებით.
მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ დაგ-
ზავნა ცირკულიარი: 1) № 9, 1906 წ. დაუყონებლივ გა-
ჟლიტეთ, მოსპეთ ბუნტოვშჩიკები, თუ ვინიცობა წინააღ-
მდეგობა გაგიწიონ, დასწვით მათი საცხოვრებელი. და-
ტუსაღება ველარ აღწევს მიზანს, ასი ათასი კაცის გასა-
მართლება შეუძლებელია, აუცილებლად უნდა შეატყო-
ბინოთ ჯარს ყველა ეს ზემოდ ჩამოთვლილი. 2) ომსკის
გენერალ-გუბერნატორმა სუბოტინმა განაცხადა რომ აუ-
ცილებლად საჭიროა „კრამოლნიკის იარაღით მოსპობა,
რომ სასამართლოს აღარა დარჩეს რა სახელმძღვანელოდ
3) ტამბოვის გუბერნიის ისპრავნიკმა ლოტინსკიმ ბრძა-
ნება მისცა პრისტავებს! თავი დაანებეთ რწმენას, იმოქ-
მედეთ ცეცხლით, რაც მეტი გეყოლებათ დახოცილები,
მით უფრო მეტს სახელს დაიმსახურებთ უფროსების წი-
ნაშე. 4) ვიცე გუბერნატორი თავის მხრით ამ ისპრავნიკს
ეუბნებოდა: „ცოტა დაატუსაღეთ, ბევრი გაჟლიტეთ“.
5) 14 ოქტომბერს 1905 წელს ტრეპოვმა ბრძანა: „ჩაახ-
რჩვეთ შეუბრალებელი მოქმედებით ყოველივე გამოსვლა“
უტყვიოთ თოფებს ნუ გაისვრით, პატრონები არ დაინა-
ნოთ, 6) იგივე სწერდა ცირკულიარში: პოლიციის მხრივ
იარაღის ხმარება ამის შემდეგ არ ჩაითვლება დანაშაუ-
ლად, პირიქით როცა არ იხმარს ის არის დანაშაულობა.
7) დამსჯელი ექსპედიციის უფროსმა მინმა 15 დეკემბერს
1905 წელს ასეთი ბრძანება გასცა: „დატუსაღებულები არ
იყოლიოთ, იმოქმედეთ უმოწყალოდ, შეუბრალებლად; —
ჯარმა დასტოვა 150 დახოცილი. 8) ადესის ოლქის ჯა-

რების უფროსმა კალუბერმა ბრძანა: „ვისაც დაბრალდება იარაღის ხმარება, შენახვა, შეძენა ან ტარება სასიკვდილოთ ნუ დაინდობთ. 9) ბაუერმა დუშეთის და გორის მცხოვრებთათვის შემდეგი ბრძანება გამოსცა: „უბრალო ბრძანების შეუსრულებლობისათვის დაქცეული და მოსპობილი იქნება მთელი სოფლები, მიუხედავად იმისა დამნაშავეა თუ მართალი. ჯარი იქნება გაგზავნილი არა ეგზეკუციისათვის, არამედ მთელი სოფლების ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებათ, 10) რენენკამპფმა ბრძანა: „თუ ჩემს მხლებელს ვინმემ რამე დაუშავა ერთი საათის განმავლობაში დამნაშავეს სიცოცხლე მოუსპეთ. 11) ბალტიის მხარეზე ორლოვის ბრძანებით დაიჭირეს სუყველა მოჯამაგირეები ქალები და კაცები. საწყალი მღვდელი ძლივს ასწრებდა ზიარებას დამსჯელი ექსპედიციის მსხვერპლებისას. დახოცილების რიცხვი იქ 10.000 ავიდა.

1905 წელს მოკლულია 14.150, დაჭრილი 18.052. ყველა ამის შემდეგ ეს საზიზღარი ადამიანები, ეს კაცჭამიები ჰბედავენ, გამოდიან და მუშებს და გლეხებს ელაპარაკებიან ზნეობის შესახებ. ვაი, სირცხვილო სად არის სიწითლე შენი?! (ბრძოლა № 24 2 ნოემბერი 1917 წ.).

VI

მიტინგი

(ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციის მოხსენება)

6 დეკემბერს მთავარ სახელოსნოში მოხდა მიტინგი. მიტინგის მოწვევის მიზეზი იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული დელეგაცია. მთავარი სახელოსნოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წევრის თანხლებით ეს დელეგაცია მოვიდა დეპოში. კრება დანიშნული იყო

4 საათზე ჩვენ გადავწყვიტეთ სამ საათზე შეგვეკრიბა ხალხი. ჩვენ ეს ამბავი ვაცნობეთ ადგილობრივ კომიტეტს და დავავალეთ დანიშნულ დროზე მოეწვიათ მიტინგი. ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამას, რადგან ბოლშევიკები ხელმძღვანელობდენ და უარი გვითხრეს. ჯერ ჩვენ უნდა გავიგოთ რა ხალხია და რაზე უნდა ილაპარაკოს დელეგაციამ და მერე მიტინგს დავნიშნავთო. ჩვენ ბევრი ვუმტკიცეთ, რომ დელეგაცია მუშებს არას დაუშავებს და იგი შესდგება მუშებისაგან, როგორც ბოლშევიკებისა ისე მენშევიკებისაგან და ესერებისაგან. დიდი ბრძოლის შემდეგ როგორც იყო დავითანხმეთ მიტინგი გაიხსნა სწორედ სამ საათზე. დელეგაციამ დაასურათა ჩრდილოეთ კავკასიის უმწეო მდგომარეობა, დელეგაციამ ერთხმად აღიარა: ჩაჩნები რეგულიარულ ჯარზე უფრო კარგად შეიარაღებული არიან, აქვთ საუკეთესო თოფები, ტყვიის მფრქვეველები და პატრონები. ჩაჩნებს აიარაღებს რამდენიმე მილიონერი, კარაულოვი, კრაევოი კომიტეტი და დონსკოი. ერთი შეეკითხა მომხსენებელს საიდან მოაქვთ იარაღიო. პასუხად მიიღო, თქვენგან ტფილისიდანო. ამ პასუხმა ხალხი ძალიან ააღელვა. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში მოჰკლეს ორი სალდათი, დასჭრეს რამდენიმე მუშა. ცარცვა-გლეჯას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. 24-ს თუ 25 ნოემბერს ხალხს შეუნიშნავს საეჭვო ვაგონი, გაუსინჯავთ და იარაღი აღმოუჩენიათ, ვინტოვკები და პატრონები. ამ იარაღს სდარაჯობდა რამდენიმე ჩაჩანი თატოევის მეთაურობით.—ეს თატოევი კარაულოვის ერთი კომპანიონთაგანი არის. ხალხი აღშფოთდა. მოინდომეს იარაღის დატაცება, მაგრამ ჩაჩნები ისვრიან მაღლა და ხალხი იფანტება. მეორე მხრიდან უცბად გავარდა თოფი

და თატოევი დაიჭრა სასიკვდილოთ. თატოევი მოჰკლა ყაზახმა—ამბობს ორატორი—და აქედან იწყება ტრაგედია. რამოდენიმე ათასი ჩაჩანი მდიდრების მეთაურობით შეესია გროზნას და სრულიად აიკლო. ნავთის ჭებს ცეცხლი წაუკიდეს, მცხოვრებლები დახოცეს, გაძარცვეს ყველა, გაატიტვლეს ქალები და ბავშვები. ვინც სახლში დარჩა, ჩაიკეტა და არ გამოდის მათთვის თავს არ იწუხებს ბრბო, მოაქვთ ნავთი, ასხამენ სახლს და უკიდებენ ცეცხლს და როდესაც ცეცხლ მოკიდებული სახლებიდან გამორბიან მუშები და მათი ცოლ-შვილი ესვრიან თოფებს და ჩიტებივით ჰკლავენ. ეს ნადირობაა მუშებზე გაბოროტებული მდიდრების, ბნელი ხალხის საშუალებით. ბრბომ დაანგრია რკინის გზა, დასწვა სადგურები.

არ ინდობენ არავის. დაიტაცეს ქალები და წაიყვანეს ვინ იცის სად. აი ასე ასურათებს დელეგაცია ჩრდილოეთ კავკასიის ამბებს და განსაკუთრებით გროზნისას". სადაც 50,000 მუშა მუშაობდა ნავთზე და ახლა აღარ დარჩა არც ერთი. 7.000 ოჯახი დარჩენილია უსახლკაროდ—დაასრულა ორატორმა.

ამ დროს თავმჯდომარე უცხადებს, აღმასრულებელი კომიტეტის წევრს უნდა რიგს გარეშე განცხადება გააკეთოსო. ტრიბუნაზე ადის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და იწყებს არტისტულად ლაპარაკს: ჩვენი იმედი, ჩვენი ბედნიერება, ჩვენი გამომყვანი ყველა გაჭირვებიდან, რომელსაც ასე მოელოდა კაცობრიობა. ძლივს გვეღირსა და ახლა, როგორც ამბავი მოგვივიდა, გაურეკიათო. ალბად კადეტური იყო—მოისმის მუშების ხმა. ორატორი ამბობს: სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს, თუ გინდა კადეტური იგი ხელშეუხლებელიაო. ამ დროს ასტყდა ხმაურობა, ისმის აქეთ იქიდან ეს

ვიღაც არის მოსყიდულიაო ენდა მიტინგი ჩაგვიშალოსო. ჯერ არც კი ვიცით ნამდვილად გარეკილია თუ არა. იგივე კადეტები კარაულოვის მეთაურობით მუშებს რომ იწვევენ, მათ საბჭოებს ანადგურებენ, რატომ ამის შესახებ ორატორი ხმას არ იღებსო. კადეტობაზე მტირალს ორატორს გააწყვეტინეს ლაპარაკი და ჩამოაბრძანეს ტრიბუნიდან. (ბრძ. № 52 10 დეკ. 1917 წ.).

VII

ძალა უფლება

ძალა-უფლებისთვის იბრძვიან ყველა პარტიები, კადეტები, მენშევიკები, ესერები, ესფერები, დაშნაკები, ნ. დემოკრატები, კალედინ-კარნილოვი და სხვები.

რასაკვირველია ძალა-უფლებისათვის იბრძოდენ— ბოლშევიკებიც.

ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, მაგრამ მაინც ვერ გამიგია რატომ ბოლშევიკებს უკიჟინებდენ თქვენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება გინდათ და იმიტომ იბრძვითო. მაგალითად ამბ. ლენინზე და ტროცკიზე ამბობენ, ისინი ავანტიურისტები არიან, რადგან ძალა-უფლება ხელში ჩაიგდესო.

ერთი ვკითხოთ ამ ჭკვიან ხალხს, რისთვის იბრძოდა კალედინი, წერეთელი, კორნილოვი, ჟორდანია და კერენსკი? რასაკვირველია ძალა-უფლებისათვის. მაშ რალად ეძახიან სხვებს ავანტიურისტებს? იმიტომ, რომ მათ ვერ შესძლეს ამ ძალა-უფლების შენარჩუნება.

ეს, ეჭვს გარეშეა, ასეა ამხანაგო მუშებო, მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერ ვამჩნევთ, ვის ხელში სჯობს ეს ძალა-უფ-

ლება იყოს. ამას ჩვენ მუშურის თვალით და გონებით უნდა შევხედოთ, კარგად ავწონ დავწონოთ, ამხანაგური ხელი გაუწოდოთ ერთმანეთს, რადგანაც ჩვენ, მუშები ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით, განურჩევლად იმისა თუ რომელ პარტიას ვეკუთვნით.

მოდი ცოტა ხნით გადავდოთ პარტიული ჟინიანობა და ისე გავერკვიოთ ამ საკითხში რომელი სჯობია ჩვენთვის ვის ხელში იყოს ძალა-უფლება? მხოლოდ გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ მუშებმა, ღარიბმა გლეხებმა და მათმა შვილებმა—ჯარისკაცებმა თუ მხარი არ დაუჭირეთ ისე არავის არ შეუძლიან ძალა-უფლება შეინარჩუნოს.

ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე პარტიაზე ვილაპარაკოთ: მენშევიკებზე, ესერებზე, დაშნაკელებზე, ს. ფედერალისტებზე.

კადეტებსა და სხვა პარტიებზე ლაპარაკი აქ ზედმეტად მიმაჩნია, რადგანაც ამ პარტიებს მშრომელი ხალხი კარგათ იცნობს და არვინ მათგანი მას არ მიჰყვება.

ავიღოთ დაშნაკელები. როგორც მე მახსოვს 1896 წლიდან ჩვენ მაგათ ვებრძვით, როგორც შოვინისტურ-ნაციონალისტურ პარტიას. ჩვენ მუშები სულ იმას ვუმტკიცებდით და ვუქადაგებდით სომხის მშრომელ ხალხს რომ დაშნაკი იცავს სომხის ბურჟუაზიის ინტერესებს ეს სიმართლე იყო ნიკოლოზის დროს და სიმართლეა დღესაც. აგრეთვე ვებრძვით ქართველ ს. ფედერალისტებს, დღიდან მათი პარტიის აღმოცენებისა, როგორც ქართველ შოვინისტებს. ყველაზე მეტი ტყვია-წამალი ამ ნაციონალისტებთან ბრძოლაში მენშევიკებმა დახარჯეს.

დიდი ხანი არ არის რაც ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დაშნაკელებმა მენშევიკებს დაუძახეს: თქ-

ვენ ქართველი შოვინისტები ხართო, რამაც ჟორდანიას დიდი გულისწყრომა გამოიწვია, წამოხტა ზეზე და სულ მუშტებით უმტკიცებდა, რომ მენშევიკები შოვინისტები არ არიანო.

ვერ წარმომედგინა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მენშევიკების ლიდერები ქართველ ნაციონალისტებად გადაიქცეოდენ, არ გასულა დიდი ხანი რაც ეს საქმით დამტკიცდა. მენშევიკების ინტელიგენცია ჟორდანიას და ჩხენკელის მეთაურობით გვერდში ამოუდგა ოცი წლის მათ მიერ ნაძაგებს ს.-ფედერალისტებს და ნაც.-დემოკრატებს და ამათივე მეთაურობით შეუერთდა დაშნაკებსაც კი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ესერებზე არ ვლაპარაკობ რადგან ესერების პარტია ჩვენში მარტში დაიბადა და მაშინვე შეეზარდა მენშევიკებს. აი ამათ შეადგინეს კავკასიის დროებითი მთავრობა კავკასიის დემოკრატიის ინტერესების „დასაცველად„.

ნუ თუ, ამხანაგებო, დაშნაკელი ნაციონალისტ ბურჟუები, ს.-ფედერალისტები, ნაციონალისტები, ესერ-კადეტები მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველები გახდენ, როცა ეს მენშევიკ ინტელიგენტებს დასჭირდათ თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად? მენშევიკ ინტელიგენტებს მოესურვათ „კავკ. რაბოჩი"-ს „ბრძოლა"-ს და „ბანვორი კრივ„-ის დახურვა და დარბევა და დაშნაკელი ზინვორები გააგზავნეს მათ დასარბევათ რას ნიშნავს ეს თუ არა ღალატს? ღალატს მუშებისადმი?! მე ჩემის თვალით ვნახე როგორ ჩააყენეს რიგში 30 ნოემბერს მუშების გაზეთის რედაქციაში დაჭერილი ხალხი და „ეტაპით" გზას გაუყენეს სასახლისკენ. თქვენ კარგად იცით, ამხანაგებო, როგორ იცავდენ, საზოგადოთ, მუშათა

ინტერესებს ნაციონალისტური პარტიები და როგორ იცავენ ეხლაც.

ახლა ავიღოთ მენშევიკ-ესერების პარტია, ეს ვითომდა სოციალისტები და მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველები. ისინი ყველა თავიანთი მოწოდებებით მუშების და გლეხების გაბედნიერებაზე ლაპარაკობენ. ლაპარაკით კადეტებიც ხომ ლაპარაკობენ მუშების გაბედნიერებაზე, მაგრამ ჩვენ ვიცით მარტოკა ლაპარაკით თავის დღეში არაფერი გაკეთებულა. საქმე ის არის პროგრამა და ქადაგება სისრულეში მოიყვანო, როცა ძალაუფლება შენს ხელში არის. აასრულეს ეს მენშევიკ-ესერებმა?

მე ვიტყვი და თქვენც დამეთანხმებით, რომ მთელი ის ძალა-უფლება, რომლისთვისაც ყველა პარტიები იბრძვიან რვა თვე მენშევიკ-ესერების ხელში იყო. რა მისცეს მერე მუშებს? არაფერი. როცა მუშებმა რვა საათის დაკანონება მოითხოვეს უთხრეს: მოიცადეთ დამფუძნებელ კრებამდე, თორემ ბურჟუაზია ჩამოგვშორდებაო. გლეხებმა მოითხოვეს მიწა და ზოგან ძალად აიღეს კიდეც. მენშევიკ-ესერებმა დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა და გლეხთა კომიტეტები ციხეში ჩააბრძანა.

მთელი ქვეყნის დემოკრატია რუსეთის რევოლიუციონური მთავრობისგან ომის გათავებას მოელოდა. მერე რა გააკეთეს მათ ამ მხრით? მენშევიკ-ესერებმა, კერენსკის მეთაურობით ბურჟუა იმპერიალისტების გასაძლიერებლად და საკეთილდღეოთ ახალი ომი გააჩაღეს. ივნისის შეტევა ესერებ-კერენსკის და მენშევიკების ლოცვა კურთხევით დაიწო. მაგათივე წყალობით ჩამოერთვა მუშებს იარაღი და მუშების და გლეხების ინტერესების ნამდვილი დამცველებით ციხეები აავსეს. მაშასადამე ჩვენ

გულახდილად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მაგათ ხელში ძალა-უფლებას ჩვენთვის ზარალისა და შევიწროების მეტი არა მოუცია რა, ამიტომ მათ მხარს ვერ დავუჭერთ.

ბევრი თქვენგანი გაიძახის ბოლშევიკურმა მთავრობამ ცარიელი დეკრეტების მეტი არა მოგვცა რაო, თუ გონებრივათ განსჭვრეტთ და არა ფანატიკურად ადვილად დაინახავთ, რომ ბოლშევიკურმა მთავრობამ ბევრი რამ მოგცათ.

ავიღოთ თუ გინდა მიწების შესახებ დეკრეტი. ცარიელი დეკრეტია ის სხვა არაფერი? არა, ამხანაგებო, ისე ეუბნება უმიწაწყლო გლეხებს: მიწები თქვენია ის უსასყიდლოთ უნდა ჩამოართვათ მემამულეებს; გლეხებს, რასაკვირველია, საშუალება მიეცათ თავიანთი დიდი ხნის სურვილის განხორციელების. ეს არ მოსწონთ მემამულეებს, ისინი იბრძვიან გლეხების წინააღმდეგ და დღევანდელი სახალხო კომისრები გლეხებს უჭერენ მხარს და არა მემამულეებს, როგორც ამას სჩადიოდა ესერებ-მენშევიკების მთავრობა. გლეხებს ატუსაღებდა თქვენ ანარქისტები ხართო. ეხლანდელი მთავრობა კი მემამულეებს ატუსაღებს და არა გლეხებს. მაშასადამე ეს ცარიელი დეკრეტი არ არის. დეკრეტი ქარხანა-ფაბრიკების კონტროლის შესახებ უკვე სისრულეში მოჰყავთ, რაც მიმართულია ბურჟუების წინააღმდეგ და მუშების სასარგებლოდ. მაშინ არც ეს არის ცარიელი სიტყვები. დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ უკვე განახორციელეს მშრომელი ხალხის სასარგებლოდ და ბანკირების სავალალოდ. ისინი ციხეებში ჩააბრძანეს და არა მშრომელი ხალხი, როგორც ამას შვრება წინანდელი მთავრობა. მაშ ესეც ცარიელი სიტყვები არ არის. რვა საათის სამუშაო დღე უკვე დააკანონეს. ამისთვის დამფუძ-

ნებელი კრებისთვის არ უცდიათ, როგორც ამას მენშევიკ-ესერები შვრებოდენ.

ჯარში უკვე დემოკრატიული პირობები განახორციელეს. იქ არ არის გენერალი, პოლკოვნიკი, მათი ბრწყინვალება და მათი კეთილშობილება, არამედ ყველა კეთილშობილი მოქალაქეა. მოსპეს ყველა ზიზილ-პიპილები, რომელიც აფრთხობდა ისედაც დაბეჩავებულს ხალხს, ყველა თანასწორია, ყველა ადამიანია.

რაც შეეხება ზავის საკითხს ჩვენ ვიცით, რომ დროებითი ზავი უკვე შეკრულია და მოლაპარაკებაა გამართული სამუდამო და საყოველთაო დემოკრატიული ზავის შესაკვრელად. მაშ არც ეს არის ცარიელი სიტყვები. ამასგარდა კიდევ ბევრი რამ გააკეთეს სახალხო კომისრებმა, დანარჩენს თავი დავანებოთ და მარტოკა იმაზე ვილაპარაკოთ რაც ზემოდ ჩამოვთვალეთ. ყველაფერი ეს მშრომელი, ჩაგრული ხალხის სასარგებლოა თუ არა?

რომელი ჭკვათამყოფელი ადამიანი იტყვის, რომ ეს მშრომელი ხალხის სასარგებლო არ არის.

ამგვარად როგორც ვხედავთ ყველაფერი ეს მიმართულია მშრომელი ხალხის სასარგებლოდ.

მაშ როგორ სჯობია ჩვენ მუშების, გლეხების და ჯარისთვის ვის ხელში უნდა იყოს ძალა-უფლება? პასუხი ერთია დღევანდელი კომისრების ე. ი. ბოლშევიკების ხელში.

ყველა ამას კარგად დაუკვირდით ქართველო მუშებო და გლეხებო. სხვა პარტიაში თქვენ ალაგი არ გაქვთ. ერთათ-ერთი პარტია—ბოლშევიკებისა, რომელიც ნამდვილად იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს და ყველა მისი დროშის ქვეშ უნდა დადგეთ და არა ნაციონალური პარტიების, სადაც მენშევიკები გადაბარგდენ.

და რაც უფრო ადრე შეიგნებთ თქვენ ინტერესებს და დადგებით ინტერნაციონალურ სისხლში ამოვლებულ დროშის ქვეშ მით უფრო ჩქარა შეასრულებთ თქვენ პირად მოვალეობას.

(ბრძოლა № 7—11/I 1918 წ.)

ᲜᲘ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.
1176
285
408/29